არ ვსდევთ ჟამთა სვლას - საათი გაჩერდა A2 | რევოლუციის შემდეგ A8 | ტერორიზმის მრავალფეროვნება B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — სამშაბათი, 11 იანვარი, 2005 წელი. №4 (864) — ფასი 50 თეთრი

# რუსული სცენარი

## ხაჯიმბა-ბაგაფშის არჩევნები

*სოხუმის მოქმედი პრემიერ-მინისტრის ნოდარ ხაშბას განკარგულებით, საპრეზიდენტო არჩევნების დღე - 12 იანვარი თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში არასამუშაო დღედ გამოცხადდა.*

ნინო გომართელი

აფხაზეთის მოსახლეობაზე უპრეცედენტო ზეწოლის ფასად, რუსეთის წარმომადგენლებმა ხაჯიმბა და ბაგაფში აიძულეს, ხელი მოეწერათ შერიგებაზე, დათანხმებულიყვნენ განმეორებით არჩევნებზე და მასში მონაწილეობა ერთიანი ძალით (პრეზიდენტი-ვიცე-პრეზიდენტი) მიეღოთ. ამასთან, წინასწარ განესაზღვრათ თითოეულის უფლებები ქვეყნის სათავეში მოსვლის შემდეგ.

შედეგად კი, ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტზე მაღლა იდგება და მის უფლებებში შევა: ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელობა, ბიუჯეტის 40 პროცენტის განკარგვა და, რაც მთავარია, პრეზიდენტის ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლების გამოყენება.

მოსკოვი მისთვის სასურველი შედეგის საბოლოო გაფორმებისთვის ხვალინდელ არჩევნებზე დამკვირვებლებსაც აგზავნის. არჩევნების დღეს აფხაზეთში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრები ჩავლენ, რომლებიც კენჭისყრის პროცესს მონიტორინგს გაუწევენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თვითაღიარებულ რესპუბლიკაში გუშინ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერი სერგეი ბაბურინი და რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმირ კოლესნიკოვი ჩაფრინდნენ. ეს ის პირები არიან, რომელთაც ხაჯიმბა-ბაგაფშთან ერთად, 6 დეკემბერს მოაწერეს ხელი შერიგების დოკუმენტს.

**"რესპუბლიკისთვის აუცილებელია მთელი ქონების ინვენტარიზაცია და ბიუროკრატიის შემცირება. დღეს აქ უფრო მეტი მინისტრია, ვიდრე რუსეთში. სოფლის მეურნეობის განვითარება ეკონომიკური წინსვლის უმთავრესი ნაბიჯია. უნდა გაიზარდოს ხელფასები და ჩვენ ამას აუცილებლად გავაკეთებთ,"** - წინასაარჩევნო დაპირებას იძლევა სერგეი ბაგაფში.

იგი არც რუსეთის "კეთილმეზობლობას" ივიწყებს და მოსკოვთან თანამშრომლობის განვითარებისა და გაღრმავების სურვილს კიდევ ერთხელ აჟღერებს.

**"დღეს თუ აფხაზეთში მშვიდობაა, ეს რუსეთის ფედერაციის დამსახურებაა. სწორედ რუსეთის სამხედრო ძალები დგანან გამყოფ ხაზზე და სამშვიდობო მისიას ასრულებენ,"** - აცხადებს

გაგრძელება A2 გვერდზე

## პოლიტიკა

### "საქართველოს ფედერალიზაცია - ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა"



ამ დღეებში, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარის, ყოფილი პარლამენტარის, მიხეილ ნანეიშვილის ინიციატივით, ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება - "უნიტარული საქართველო" დაფუძნდა. "24 საათმა" ბატონ ნანეიშვილს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

A3

## ეკონომიკა

### საქართველო-რუსეთს შორის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა 10 დღეში დაიწყება



გუშინვე, საბორნე მიმოსვლის დაწყების მიზნით, საქართველოს და რუსეთის მთავრობებს შორის სამი შეთანხმება გაფორმდა.

A4

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

## ამინდი

| | 11/1 | 12/1 |
|---|---|---|
| თბილისი | 6 | 8 |
| ქუთაისი | 7 | 10 |
| ბათუმი | 10 | 13 |
| სოხუმი | 6 | 9 |
| ფოთი | 9 | 12 |
| თელავი | 4 | 7 |
| ზუგდიდი | 8 | 10 |
| გორი | 2 | 6 |
| ახმეტა | 4 | 7 |
| ჭიათურა | 4 | 7 |
| გაგრა | 3 | 8 |
| სამტრედია | 8 | 11 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8150 |
| ევრო | 2.3760 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3986 |
| რუბლი | 0.0654 |

# პალესტინელებმა არჩევანი გააკეთეს

## დამყარდება თუ არა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში?



*პალესტინელებმა მშვიდობიანი მოლაპარაკებების მომხრე ლიდერი აირჩიეს*

*კვირას გამართულ პალესტინის ავტონომიის მეთაურის არჩევნებში, სავარაუდოდ, პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის თავმჯდომარემ მაჰმუდ აბასმა გაიმარჯვა. წინასწარი მონაცემების თანახმად, მაჰმუდ აბასმა ხმების 66 პროცენტზე მეტი დააგროვა, მისმა მთავარმა მეტოქემ მუსტაფა ბარგუთიმ კი - დაახლოებით 20 პროცენტი.*

პალესტინის საპრეზიდენტო არჩევნებში მაჰმუდ აბასის გამარჯვება პალესტინის ხელისუფლებისთვის სერიოზულ გამოცდას წარმოადგენდა. არაფატის გარდაცვალებიდან რამოდენიმე საათში პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ აბასის არჩევა, ერთგვარი გარანტია იყო,

გაგრძელება A5 გვერდზე

იწყება ხელმოწერის კამპანია გაზეთ "24 საათზე"

იკითხეთ "24 საათი" და თქვენ გექნებათ პოზიცია!

ხელმოწერის ფასები:
1 თვით 13 ლარი;
3 თვით 39 ლარი;
6 თვით 78 ლარი;
ერთი წლით 156 ლარი.

ყურადღება!
თუ ხელშეკრულება გაფორმდება უშუალოდ რედაქციასთან, ხელმომწერი მიიღებს მეტად შეღავათებს.

6-თვიან ხელმოწერაზე 10 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 78 ლარის ნაცვლად 70.20 ლარი; ერთწლიან ხელმოწერაზე 20 პროცენტი ფასდაკლება, ანუ 156 ლარის ნაცვლად 124.80 ლარი.

რედაქციის მისამართი:
ვაჟა ფშაველას №45
ტელ: 20 24 24



# რას აირჩევს პრეზიდენტი

## "პოლიტიკურ ფანტაზიებს" თუ რეალურ პოლიტიკას?

გურამ მაღლაკელიძე

მიმდინარე წლის 6 იანვარს "24 საათში" გამოქვეყნებულ სტატიაში "იძებნება ... აფხაზეთი!" გიორგი ასანიშვილი წერდა: "აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით მიმდინარეობს ცხარე კამათი, "იხარშება" ძველი და იწერება ახალი კონცეფციები. ყველას უნდა, რომ აფხაზეთის ხელახლა "აღმომჩენთა" წინა რიგებში იყოს". ახალ კონცეფციებთან დაკავშირებით ბატონ გიორგის ვერ დავეთანხმები, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებას ისინი არ უხილავს, ხოლო რაც შეეხება ძველის "მოხარშვას", აქ ავტორი აბსოლუტურად მართალია. მეტიც, გაზეთის იმავე ნომერში "ძველის ხარშვის" ლოგიკურმა გაგრძელებამ და მისი თეორიული დასაბუთების მცდელობამ საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვის ფორმაც მიიღო (მიუხედავად იმისა, რომ მიმართვის ხელმომწერთა შორის არ არიან "საქართველოს სახელმწიფოში აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" კონცეფციის ავტორები, "მიმმართველთა" სიმპათიები ადვილად იკითხება).

გაგრძელება A3 გვერდზე

# პრეზიდენტი მოატყუეს?!

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*თელავის საკრებულოში ვნებათაღელვა არ ცხრება. ამჯერად აქ ახალმა დაპირისპირებამ იჩინა თავი. საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის მებრძოლი ორი კანდიდატი, ლექსო ძულიაშვილი და მაია დავითაშვილი ერთმანეთის კომპრომეტირებისთვის ყველანაირ მეთოდს მიმართავენ. ახალი ქაოსის მიზეზი, საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს - საჯარო სამსახურის საბჭოს დაფუძნებაა. აღნიშნულ საბჭოში მაია დავითაშვილი, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, ისეა შეყვანილი.*

გაგრძელება A2 გვერდზე

# დსთ: ბრძოლა დემოკრატიის იმიტაციასთან

მიხაელ ლიუდვიგი
ფრანკფურტე ალგემაინე

დსთ-ში მოჩვენება დაძრწის სახელად - დემოკრატია. ბელორუსის, მოლდოვისა და შუა აზიის ლიდერებში ეს სახელი იმის შიშს იწვევს, რომ მათი მოქალაქეები, საქართველოსა და უკრაინის მაგალითზე, თავიანთი ბედის გადაწყვეტას თავად შეეცდებიან და თავისუფალ, სამართლიან არჩევნებს მოითხოვენ.

უკრაინაში ვიქტორ იუშენკოს გამარჯვების შემდეგ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი ერთდროულად სიამაყესა და შვებას განიცდიდა, რომ საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიის ერთადერთ პლაცდარმს აღარ წარმოადგენდა. გარდა ამისა, უკრაინის მოვლენები რუსეთს საკუთარ მომავალზე დააფიქრებს. აგრეთვე იმაზეც მოუწევს რუსეთს დაფიქრება, როგორ წარმოუდგენია მომავალში საკუთარი თავი - იმპერიული თუ ნორმალურ სახელმწიფოდ, - ამბობს ქართველი მინისტრი.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 თვალსაზრისი
B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 ტერორიზმი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რუსული სცენარი

პირველი გვერდიდან

იგი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას.

ამასთან, ბაგაფში ხაზს უსვამს, რომ აფხაზეთი "ხელგაწვდილი არ უნდა დადიოდეს", მოსახლეობამ უნდა იმუშაოს, რათა განვითარდეს მცირე და საშუალო ბიზნესი, საკრედიტო-საფინანსო სისტემა.

აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, სახალხო პარტიის თავმჯდომარე იაკუბ ლაკობა პატივს სცემს მისი ოპონენტების ვაჟკაცობას. ისინი - გუშინდელი ოპონენტები - მშვიდობის შესანარჩუნებლად გაერთიანდნენ.

ლაკობა, გამარჯვების შემთხვევაში, ამომრჩეველს "აფხაზეთზე რუსეთის პროტექტორატს" ჰპირდება.

მისი თქმით, პრეზიდენტობის კანდიდატ სერგეი ბაგაფშისაგან განსხვავებით, **"რუსეთის პოლიტიკურ წრეებში და ხელმძღვანელობაში გავლენიანი მეგობრები და მხარდამჭერები ჰყავს, რომელთა მეშვეობით იგი, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, აფხაზეთზე რუსეთის პროტექტორატის ოფიციალურად გაფორმებას შეძლებს."**

ლაკობას თქმით, მისი კონკურენტი ის პოლიტიკოსი არ არის, რომელსაც **"აფხაზთა ისტორიული ოცნების"** - რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის გაერთიანების უნარი შესწევს.

ლაკობა ირწმუნება, რომ აღნიშნული ისტორიული მისიის განსახორციელებლად აფხაზ ხალხს **"სწორედ იგი მოევლინა"** და 12 იანვრისთვის დაგეგმილ არჩევნებში მოსახლეობამ სწორედ მას უნდა მისცეს ხმა.

**"ვფიქრობ, არჩევნები მშვიდ ვითარებაში ჩატარდება,"** - იმედს იძლევა ვლადიმირ პუტინის მიერ აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში პრემიერ-მინისტრად დასმული ნოდარ ხაჟბა.

# პრეზიდენტი მოატყუეს?!

პირველი გვერდიდან

ამ ფაქტმა საკრებულოს მოქმედი თავმჯდომარე ალექსანდრე ძულიაშვილი ძალზე აღაშფოთა. საჯარო საბჭოს დაფუძნებაზე და მაია დავითაშვილის საკრებულოს თავმჯდომარედ "გაფორმების" შესახებ, საკრებულოს მოქმედმა თავმჯდომარემ ლექსო ძულიაშვილმა პრეზიდენტის განკარგულების მიღების შემდეგ გაიგო. როგორც ძულიაშვილი ამბობს, პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანის გამო, იგი გაჩუმებას არ აპირებს და სათანადო ორგანოებისგან ამ საკითხით დაინტერესებას მოითხოვს.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება საჯარო სამსახურის საბჭოს შესახებ 16 აგვისტოდანაა ძალაში შესული. ის მიზნად ისახავს საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას, ამავე სამსახურთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინაციას და საჯარო სფეროში კანონით განსაზღვრულ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მომზადებას. აღნიშნულ საბჭოს შემადგენლობაში გაწევრიანების უფლება კი მხოლოდ პარლამენტარებს, ფინანსთა, იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებს, საოლქო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს აქვთ. საჯარო სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში შედიან, აგრეთვე, საქართველოს სხვადასხვა რაიონების და ქალაქების საკრებულოს თავმჯდომარეებიც. სიაში მაია დავითაშვილი რიგით მეთერთმეტეა. იგი ამაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს, ამ საკითხით დაინტერესებულ ჟურნალისტებს კი დამშვიდებას ურჩევს. **"მე ამ სამსახურის შემადგენლობაში კახეთის გუბერნიის აპარატმა წარმადგინა, რადგან იმ დროს ხმათა უმრავლესობით, საკრებულოს თავმჯდომარედ მე ვითვლებოდი. თუ ასეთი შეცდომა ჩავიდინე, რატომ აქამდე არ დაინტერესდით?"** - ამბობს დავითაშვილი.

მაგრამ, როდესაც მაია დავითაშვილი საჯარო სამსახურის საბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს, მას საკრებულოს თავმჯდომარეობის უფლებამოსილება შეწყვეტილი ჰქონდა სასამართლოს მიერ, რადგან მისი ამ თანამდებობაზე არჩევიდან მეორე დღეს, ლექსო ძულიაშვილმა თელავის რაიონულ სასამართლოს მიმართა და დავითაშვილის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნა გააპროტესტა, რის გამოც მაია დავითაშვილს ავტომატურად მოეხსნა თავმჯდომარეობის სტატუსი.

პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატის ყოფილი უფროსი ზურაბ ბეჟანიშვილი ხელს თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის, გოჩა მამაცაშვილისკენ იშვერს და ამბობს, რომ ასეთ გაუგებრობაში უნებლიეთ მოხვდა. **"განცხადებით მხოლოდ ოთხი რაიონის საკრებულოს თავმჯდომარეებმა მოგვმართეს, მათ შორის იყო მაია დავითაშვილი, რომლის შესახებაც ინფორმაცია თელავის გამგეობამ გადმოგვცა,"** - ირწმუნება ბეჟანიშვილი.

თელავის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი ჩვენთან სატელეფონო საუბარში აცხადებს, რომ იგი ამ საქმეში არაფერ შუაშია, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ იმ დროს მაია დავითაშვილს საჯარო სამსახურის საბჭოში გაწევრიანების სრული უფლება ჰქონდა. **"კომისია იმ დროს იქმნებოდა, როცა დავითაშვილი ხმათა უმრავლესობით საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ჩემი პროტეჟეობა დავითაშვილთან ამ საკითხში კი სრული აბსურდია... ისე, ჩემზე იმასაც ამბობენ, რომ ჟურნალისტებს დანებით დასდევსო - მართალია?"** - კითხულობს მამაცაშვილი.

სულ მალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება. სახელისუფლებო ბლოკის მიმართ რადიკალურად განწყობილი ოპოზიციური პარტიის წევრები კი ამბობენ, რომ თელავის საზოგადოებაში არსებული განწყობილების მიხედვით, ძნელია პროგნოზის გაკეთება, თუ რამდენად მიანიჭებს ნდობის მანდატს საკრებულოს შემადგენლობის უმრავლესობას რაიონის მოსახლეობა.

# გამგებელი საკრებულოს წევრიცაა

## ასე გადაწყვიტეს რუსთაველმა კანონმდებლებმა

მაია მოსიაშვილი

რუსთაველი კანონმდებლები კანონებსა და საკუთარ სურვილებს შორის არჩევანს ერთი ხელის მოსმით აკეთებენ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, ქალაქის საკრებულომ ვერაფრით მოახერხა ელემენტარული საკითხის გარკვევა - უნდა შეუწყვიტონ თუ არა საკრებულოს წევრობის უფლებამოსილება თავიანთ კოლეგას იმ შემთხვევაში, თუ ის აღმასრულებელ ხელისუფლებაში მაღალ თანამდებობაზე გადავა.

საქმე ისაა, რომ რუსთავის საკრებულოს წევრი ბაკურ მგელაძე დაახლოებით ორი თვის წინ დმანისის გამგებლად დაინიშნა. ამ ხნის მანძილზე ის რუსთავის საკრებულოს წევრის სტატუსსაც ინარჩუნებდა. გუშინ საკრებულოს სხდომაზე იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ალეკო აბაშიძემ მგელაძის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი კენჭისყრაზე დააყენა. მისი თქმით, თავად თანამდებობრივ შეუთავსებლობას ვერ ხედავს, თუმცა არსებობს ცესკოდან მიღებული დოკუმენტი, რომელიც საპირისპიროს ამტკიცებს.

რუსთავის საკრებულოს რამდენიმე წევრმა ეს ამბავი გააპროტესტა და ისიც გაიხსენა, რომ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე კახა ბარათაშვილი ასევე საკრებულოს წევრია და მისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე საკითხი დღის წესრიგში არც კი დამდგარა.

**"თუ ვიცე-გუბერნატორი შეიძლება იყოს რუსთავის საკრებულოს წევრი, დმანისის გამგებელმა რაღა დააშავა?! თანაც უნდა ბიჭს საკრებულოს წევრობა,"** - ასეთი რეპლიკების ფონზე მგელაძისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი კენჭისყრაზე ჩავარდა - თუ უნდა ბიჭს საკრებულოს წევრობა, მისი სურვილი საკმარისია მისი საკრებულოელი მეგობრებისათვის.

თავად ბაკურ მგელაძე ამ სხდომას არ დასწრებია. ის გამგებლად დანიშვნის შემდეგ სხდომებზე აღარც გამოჩენილა. **"როგორც ჩანს, სასამართლოში მოგვიწევს სირბილი,"** - არცთუ უსაფუძვლო დასკვნა გააკეთა კამათის ბოლოს საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჩიქოვანმა. შესაძლოა, შალვა ნათელაშვილმა ჯერ არაფერი უწყის, მაგრამ ჩიქოვანმა ხომ იცის, რომ მგელაძის საკრებულოდან წასვლის შემთხვევაში გამოთავისუფლებული ადგილის დასაკავებლად რიგში ლეიბორისტთა კანდიდატია.

რუსთავის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე მომხდარი ამ ამბის მორალი მოკლეა - შეიძლება იყო დმანისის გამგებელი ან მხარის ვიცე-გუბერნატორი და პარალელურად რუსთავის საკებულოს წევრიც, ეს სულაც არ ქმნის უხერხულობას კანონთან, რადგან ასე გადაწყვიტეს რუსთაველმა კანონმდებლებმა.

# არ ვსდევთ ჟამთა სვლას - საათი გაჩერდა



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მათ აქვთ საქართველოს გაერთიანების "რეცეპტი"*

*მათი საათი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გაჩერდა. განვლილ პერიოდში მათთვის თითქმის არაფერი შეცვლილა: იგივე ამბიცია, იგივე ტონალობა, ისეთივე კატეგორიულობა, ისეთივე შეფასებები... სახელმწიფო სიმბოლიკაც კი ძველი აქვთ - აღიარებენ შინდისფერ დროშას და გერბს თეთრი გიორგის გამოსახულებით... მათ მხოლოდ სახელი შეიცვალეს - წინათ "მრგვალ მაგიდად" იწოდებოდნენ, ახლა "დიდი ეროვნული გაერთიანება" ჰქვიათ.*

გიორგი ასანიშვილი

ოდესღაც მძლავრი "ზვიადისტური" მოძრაობისგან დღეს მხოლოდ აჩრდილიღაა დარჩენილი. თუმცა, მის წევრებს ეს სულაც არ უშლის ხელს, მთელი საქართველოს სახელით ილაპარაკონ. სწორედ ამისკენ მოუწოდებდა გუშინ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას თანამებრძოლებს ნოდარ ნათაძე. ეს უკანასკნელი "დიდ ეროვნულ გაერთიანებაში" დღეს თავს უკვე უსაფრთხოდ გრძნობს - თუ წინათ ე.წ "კარვის ქალები" მას საცემრად დასდევდნენ, სახალხო ფრონტის ლიდერის მოსაზრებებსა და რჩევებს იგივე ქალბატონები ახლა უკვე ყურადღებით ისმენენ.

ნოდარ ნათაძე და მანანა არჩვეძე-გამსახურდია ერთად ბჭობენ, თუ როგორ ჩაშალონ დღევანდელი ხელისუფლების ბოროტი ზრახვები, რომელიც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გასხვისებას ითვალისწინებს.

ნოდარ ნათაძე ღრმად არის დარწმუნებული, რომ **"სიმართლე და ინტელექტუალური უპირატესობა მათ მხარეზეა და ხელისუფლების მხარდამჭერი ლაწირაკი ხუნვეიბინები ვერაფერს გახდებიან".**

**"ფედერალური მოწყობის შემთხვევაში, ორი-სამი თაობის შემდეგ საქართველოს დაშლა გარდაუვალი იქნება,"** - ამტკიცებს სახალხო ფრონტის თავკაცი. ფედერალიზმის შესახებ მას საკმაოდ ორიგინალური შეხედულება აქვს.

**"მეორე მსოფლიო ომში დამარცხებულ გერმანიას გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა სასჯელად ფედერალური მოწყობა დაუწესეს. თუმცა, ჭკვიანმა გერმანელმა იურისტებმა ისე წაიყვანეს საქმე, რომ ქვეყანას დაშლის საფრთხე ააცილეს. არისტოკრატიისა და წარჩინებულთა შთამომავლებს გერმანიის ერთიანობა ახლაც არ უნდათ, მაგრამ იმდენი გავლენა არა აქვთ, რომ ფედერალური სახელმწიფო დააქუცმაცონ,"** - აცხადებს ნოდარ ნათაძე.

იგი საზოგადოებას იმ საფრთხის შესახებაც აუწყებს, რომელიც საქართველოს ფედერალიზაციის შემთხვევაში დაემუქრება. **"აფხაზებს საშუალება მიეცემათ, საქართველოში სამი მილიონი თურქი ჩამოასახლონ,"** - ვარაუდობს სახალხოფრონტელი.

ნოდარ ნათაძე აღფრთოვანებულია იმ დოკუმენტით, რომელიც "დიდმა ეროვნულმა გაერთიანებამ" საქართველოს ფედერალიზაციის გეგმის წინააღმდეგ შეიმუშავა. იგი მოითხოვს, რომ დოკუმენტი ინგლისურად ითარგმნოს და სხვადასხვა საელჩოებს დაურიგდეთ.

მაინც რით მოიხიბლა ნათაძე, რა ღონისძიებების გატარებას მიიჩნევენ საჭიროდ "ზვიადისტური" ფრთის წარმომადგენლები საქართველოს დაშლის საფრთხის თავიდან ასაცილებლად?

მათი აზრით, **"აფხაზეთისა და შიდა ქართლის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დაბრუნების საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ: ა) საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სამართალმემკვიდრეობის აღდგენის გზით; ბ) 1991-93 წლების პუტჩის სამართლიანი და ობიექტური გამოძიების გზით; გ) შიდა ქართლსა და აფხაზეთში საომარი მოქმედებების ინსპირატორთა და ორივე რეგიონის რუსეთისთვის ჩაბარების ორგანიზატორთა გამოვლენითა და მკაცრი დასჯით; დ) აფხაზურ და ოსურ მხარეებთან ლეგიტიმური ხელისუფლების უშუალო მოლაპარაკებათა მეშვეობით".**

ყველაფერი გენიალური ძალიან მარტივია, ისევე როგორც "დიდი ეროვნული გაერთიანების" მიერ შემოთავაზებული ოთხპუნქტიანი გამოსავალი. მართლაც, ნუთუ ქვეყნის გამთლიანების ფასად არ ღირს, რომ დღევანდელი ხელისუფლება გადადგეს და ძალაუფლება უზენაეს საბჭოს გადაულოცოს, რომელიც კაცმა არ იცის, როგორ უნდა შეიკრიბოს? ანდაც, რა პრობლემას უნდა წარმოადგენდეს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ომების ინიციატორთა "გამოვლენა და მკაცრი დასჯა?" ომების ინსპირატორთა შეპყრობისა და დასჯის შემდეგ ძნელი გასარკვევი მხოლოდ ის იქნება, ვისთან უნდა მიუჯდეს მოლაპარაკებების მაგიდას "ლეგიტიმური ხელისუფლება".

ერთი სიტყვით, "დიდი ეროვნული დარბაზი" საზოგადოებას სთავაზობს, რომ ქვეყანა 12-15 წლის წინანდელ მდგომარეობას, ანუ იმ დროს დაუბრუნდეს, როდესაც მათი საათი გაჩერდა.

# სს "მაუდის" თანამშრომლები - პატარკაციშვილის წინააღმდეგ

გუშინ სახელმწიფო კანცელარიასთან სს "მაუდის" თანამშრომლების საპროტესტო აქცია გაიმართა. თანამშრომლები ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მიერ აღნიშნულ საწარმოსთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას აპროტესტებენ და საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას ითხოვენ.



*"მაუდის" თანამშრომლების აქცია კანცელარიასთან.*

როგორც აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, პატარკაციშვილმა არ შეასრულა 1998 წელს დადებული ხელშეკრულება, რომელიც საწარმოსთვის პროფილის შენარჩუნებას და მუშახელის დასაქმებას ითვალისწინებდა - საწარმო ამჟამად შაქარს აწარმოებს, თანამშრომლების ნაწილი კი უკვე ხუთი წელია, რაც უხელფასო შვებულებაში იმყოფება.

აქციის მონაწილეთა თქმით, ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მათ გასულ წელს საოლქო და უზენაეს სასამართლოებსაც მიმართეს, მაგრამ უარყოფითი პასუხები მიიღეს.

ამასთან, მათ საოლქო სასამართლოს კომპენსაციების მიღების თაობაზეც მიმართეს, საოლქო სასამართლოს დადებითი გადაწყვეტილება კი გასული წლის 27 დეკემბერს უზენაესმა სასამართლომ მხარეების დაუსწრებლად გააუქმა.

სს "მაუდიდან" დაახლოებით 1000 ადამიანია გათავისუფლებული. საპროტესტო აქციის მონაწილეებს კანცელარიიდან, ჯერჯერობით, არავინ გამოხმაურებია.

*პრაიმ-ნიუსი*

## მოკლედ

### ერაყში 500 ქართველი სამშვიდობო ჯარისკაცი გაემგზავრება

მორიგი ქართული სამშვიდობო შენაერთი ერაყში 20 იანვრამდე გაემგზავრება. შავნაბადას ბატალიონის 500 სამხედრო მოსამსახურე ბაღდადში განლაგდება და მათი ძირითადი ამოცანა გაეროს მისიის დაცვის უზრუნველყოფა იქნება. ქართველი სამშვიდობოები ამერიკული სამხედრო თვითმფრინავით ჯერ კუვეიტში ჩავლენ, სადაც ორკვირიან დამატებით მომზადებას გაივლიან, და ბაღდადში ამის შემდეგ გაემგზავრებიან. შავნაბადას ბატალიონის წევრები ერაყში ექვს თვეს დარჩებიან. **მედია-ნიუსი**

### ნატო-ს სტანდარტებზე გადასასვლელად

საქართველოში სამუშაო ვიზიტით მყოფმა, ამერიკის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის 12-კაციანმა დელეგაციამ, რომელსაც გენერალი დევიდ პოიტრისი ხელმძღვანელობს, გუშინ საქართველოს ეროვნული გვარდიის სარდლობასთან მოლაპარაკებები გამართა.

მოლაპარაკებებს საქართველოს მხრიდან ეროვნული გვარდიის სარდალი, ბრიგადის გენერალი სოსო ქუთათელაძე ხელმძღვანელობდა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის გეგმების და 2005 წელს განსახორციელებელი კონკრეტული პროექტების შესახებ იმსჯელეს. ჯორჯიის შტატის დელეგაციის ვიზიტის მთავარ მიზანს, საქართველოს ეროვნულ გვარდიაში რეზერვისტთა მომზადების და მობილიზაციის საკითხებში ქართული მხარისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება წარმოადგენს. ამერიკის მხარე საქართველოს ეროვნულ გვარდიას ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლაში დაეხმარება და, ამ მხრივ, საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებს.

როგორც გენერალმა პოიტრისმა ჟურნალისტებს განუცხადა, ამ თვალსაზრისით სოსო ქუთათელაძეს "კარგი ხედვა და გეგმები გააჩნია, რაც ორ ქვეყანას შორის შემდგომ თანამშრომლობას გააიოლებს." ჯორჯიის შტატის დელეგაცია საქართველოში 14 იანვრამდე დარჩება. შეიქმნება ორმხრივი სამუშაო ჯგუფები, რომლებიც გვარდიის რეზერვის მომზადების მიზნით კონკრეტულ წინადადებებს შეიმუშავებენ. **ინტერ-პრესი**

### პრეზიდენტის მრჩეველი: საქართველოს უნიტარიზმის ტრადიცია თითქმის არ ჰქონია

საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველი, პროფესორი იგორ კვესელავა თვლის, რომ საქართველოს უნიტარიზმის ტრადიცია თითქმის არ ჰქონია და ფედერალიზმი ქვეყნის მოწყობის ერთადერთი მისაღები ფორმაა.

კვესელავას აზრით, კლასიკური გაგებით, საქართველო მკაცრად ცენტრალიზებული, უნიტარული სახელმწიფო არასოდეს ყოფილა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მე-12 საუკუნეში დავით აღმაშენებლისა და მე-15 საუკუნეში გიორგი ბრწყინვალის მმართველობათა მცირე მონაკვეთებს.

პროფესორის თქმით, მე-15 საუკუნის შემდეგ საქართველო არასდროს ყოფილა უნიტარული სახელმწიფო და იგი სამეფო-სამთავროებად იყო დაშლილი. რაც შეეხება საბჭოთა პერიოდს, კვესელავას განმარტებით, 1921-1931 წლებში საქართველოსა და აფხაზეთს სამოკავშირეო ხელშეკრულება ჰქონდათ დადებული.

პრეზიდენტის მრჩევლის აზრით, საქართველოს ფედერალიზაცია "აფხაზური პრობლემის მოსაგვარებლად და ტრადიციული ქართულ-აფხაზური ურთიერთობების აღსადგენად ერთგვარი ხსნაც შეიძლება იყოს."

კვესელავა მიიჩნევს, რომ საქართველოს უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებაზე საუბარმაც კი შეიძლება გაართულოს აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკებების პროცესი, რომელთაც რეგიონის სტატუსზე საუბარი ისედაც არ სურთ.

პროფესორის თქმით, ქვეყნის ფედერალურ მოწყობაზე გადასვლა და აფხაზური მხარისთვის საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის შეთავაზება კონფლიქტის მოგვარებას გააიოლებს.

ამასთან, მისი აზრით, ქართულმა მხარემ ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ფედერალურ სახელმწიფოში გაერთიანებულ აფხაზეთში აფხაზები უმცირესობას არ უნდა წარმოადგენდნენ. ამიტომ, ოფიციალურმა თბილისმა თავად უნდა თქვას უარი აფხაზეთიდან დევნილთა იმ რაოდენობის დაბრუნებაზე, რამდენმაც 1992-1993 წლებში დატოვა რეგიონი. **ინტერ-პრესი**


# შპს "საქაერონავიგაცია"

## განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ

1. შპს "საქაერონავიგაცია" აცხადებს ღია კონკურსს დიზელ-გენერატორების შესყიდვის მიზნით და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დიზელ-გენერატორების დანიშნულებაა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიო ტექნიკური და სანავიგაციო ობიექტების სათარიგო ენერგოწყაროებით უზრუნველყოფა. კონკურსში მონაწილეს საქართველოში უნდა გააჩნდეს მოსაწოდებელი დიზელ-გენერატორების სერვისული მომსახურების ცენტრი. შპს "საქაერონავიგაცია" საორიენტაციოდ შეისყიდის სხვადასხვა სიმძლავრის ავტომატიზირებულ დიზელ-გენერატორებს დისტანციური მართვითა და კონტროლით. ქვემოთ მოყვანილია სავარაუდო რაოდენობები და სიმძლავრეები:

10კვტ დიზელ-გენერატორი - 12 ცალი,
20კვტ დიზელ-გენერატორი - 12 ცალი,
75 კვტ დიზელ-გენერატორი - 1 ცალი,
100კვტ დიზელ-გენერატორი - 2 ცალი,
200კვტ დიზელ-გენერატორი - 2 ცალი,
250კვტ დიზელ-გენერატორი - 2 ცალი,
100 კვტ გადასატანი დიზელ-გენერატორი - 1 ცალი.

3. კონკურსში გამარჯვებულმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღწერილი დიზელ-გენერატორების მოწოდება და მონტაჟი შპს "საქაერონავიგაციის" მოთხოვნით განსაზღვრულ ვადებში და ადგილზე.

4. დიზელ-გენერატორების მოწოდება-მონტაჟი უნდა განხორციელდეს 2005 წლის განმავლობაში შპს "საქაერონავიგაციის" მოთხოვნის მიხედვით. ამასთან, ამ განცხადების მე-2 პუნქტში მითითებული რაოდენობები და სიმძლავრეები შეიძლება შეიცვალოს. შესასყიდი ობიექტების აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება კონკურსში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, შეეძლებათ 2005 წლის 12 იანვრიდან: 0158, საქართველო, ქ. თბილისი, აეროპორტი, შპს "საქაერონავიგაცია".

6. ამ განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე და შესაბამისად დაინტერესებულმა პირებმა უნდა შეადგინონ მათი საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები (საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოადგენს საკონკურსო წინადადების შემადგენელ ნაწილს). საკონკურსო წინადადებები და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნას წარმოდგენილი ამ განცხადების მე-5 მუხლში აღნიშნულ მისამართზე 2005 წლის 12 იანვრიდან 2005 წლის 18 თებერვლის 1700 საათამდე. შპს "საქაერონავიგაციას" უფლება აქვს კონკურსის მონაწილეებს მოთხოვოს დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა.

7. კონკურსის თაობაზე დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ამ განცხადების მე-5 მუხლში მითითებულ მისამართზე. ვებ გვერდი: http://www.airnav.ge ტელეფონი: (+995) (99) 31-74-67, (+995) (32) 94-77-39. საკონტაქტო პირი გიორგი ედიშერაშვილი.


გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი, ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი).
დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია.
რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო მწვანე ტალღის ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას ღილის სასამართლო. გაესამართლეთ სხვადასხვა მოვლენები,ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი,რადგანაც 12 ნაფიცი მსმენელი იქნებით თქვენ.

### საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პერსპექტივები

სასამართლოზე გამოტანილი საქმე - საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის პერსპექტივები საკონსტიტუციო მონარქია თუ საპარლამენტო რესპუბლიკა.



საკონსტიტუციო მონარქიის ადვოკატი - ზურაბ სანიკიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. — „ქონდა მოკვდა მეფეთათვის, მათი სულნი შვენ რბიან" — ვეფხისტყაოსანი".

საპარლამენტო რესპუბლიკის ადვოკატი ლევან ბერძენიშვილი პარლამენტარი, რესპუბლიკური პარტიის წევრი — საქართველოს დღესაც და მომავალშიც სჭირდება საპარლამენტო რესპუბლიკური წყობის ჩამოყალიბება და განმტკიცება.

12 ნაფიცი მსმენელი :

- სოფიო ვარდოსანიძე (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ანონიმი (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ალეკო ჯიორჯაძე (საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე)
- ფსევდონიმი "პრინცი" (საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე)
- გიორგი ხარაძე (საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე)
- იური ცინცაძე (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ლელა გოხელიშვილი (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- გურანდა ძელაია (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ფსევდონიმი "მურაბა" (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ფსევდონიმი "ხულხანი" (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- დიტო ქართველი (საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე)
- ალეკო ხუნაველი (საკონსტიტუციო მონარქიის მომხრე)

# რას აირჩევს პრეზიდენტი

პირველი გვერდიდან

28 ოქტომბერს გამოქვეყნებულ სტატიაში - "ქარიშხალი ჭიქაში" - აღვნიშნავდი, რომ, "რასაკვირველია, ისე, როგორც პოლიტიკურ ანალიზს, პოლიტიკურ მკითხაობასაც აქვს არსებობის უფლება და, სამწუხაროდ, გაცილებით მეტი მომხმარებელიც ჰყავს მკითხველისა და ტელემაყურებლის სახით, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თანდათანობით სიტუაცია დალაგდება და ყველაფერი თავის ადგილზე დადგება". იძულებული ვარ, ვაღიარო, რომ ჩემი პროგნოზი არ გამართლდა და საქმე გაცილებით უფრო ცუდად გვქონია, ვიდრე მე ვფიქრობდი.

"ჩვენი პოლიტიკური და პოლიტოლოგიური ფანტაზიები იურიდიულ ჩარჩოებში მოვაქციეთ და კონცეფციის სახით ჩამოვაყალიბეთ. არა გვგონია, მისი მთლიანად განხორციელება შესაძლებელი იყოს. იგი უფრო აფხაზეთის საკითხის პროვოცირებას ემსახურება და მაქსიმალურად ითვალისწინებს იმ რისკფაქტორებს, რომლებმაც, შეიძლება, საქართველო დააზარალოს... წლევანდელი წელი აფხაზეთის დაბრუნების წელი ნამდვილად ვერ იქნება. თუმცა, აფხაზეთის დაბრუნების მკვდარი წერტილიდან დაძვრის წლად აუცილებლად უნდა იქცეს." - ეს განცხადება ბატონმა პაატა ზაქარეიშვილმა პოლიტოლოგიის ინსტიტუტში 5 იანვარს გამართულ დისკუსიაზე გააკეთა. სანამ იმის შესახებ მოგახსენებდეთ, როგორ აპირებენ აფხაზეთის პრობლემის "მკვდარი წერტილიდან დაძვრას" და რა რეკომენდაციებს სთავაზობენ პრეზიდენტს, თავს უფლებას მივცემ, ორი კომენტარი გავაკეთო: პირველი - ავტორები მიიჩნევენ, რომ მათი კონცეფციის განხორციელება მთლიანობაში შეუძლებელია, რაც უდავოდ სიმართლეა; მეორე - მათი განცხადება იმის შესახებ, რომ ის "მაქსიმალურად ითვალისწინებს იმ რისკფაქტორებს, რომლებმაც, შეიძლება, საქართველო დააზარალოს", არა მარტო მცდარია, არამედ განხორციელების მცდელობის შემთხვევაში სახიფათოა, რადგან "შეთანხმება კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ", ფედერალური შეთანხმება "აფხაზეთის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ" და მათი რეალიზაციის გეგმა არ იძლევა იმის მტკიცე გარანტიას, რომ აფხაზეთი საქართველოს კონსტიტუციურ სივრცეში დაბრუნდება და მისი შემადგენელი ნაწილი იქნება, ხოლო ამ გეგმის ჩავარდნამ შეიძლება, სამართლებრივად საბოლოოდ მოწყვიტოს აფხაზეთი საქართველოს (უფრო დაწვრილებით იხილეთ "24 საათი", 2004 წ. 12 ივლისი, "ერთად ვეძებოთ გამოსავალი"), ხოლო კომენტარი იმაზე, რომ კონცეფცია ავტორთა "პოლიტიკური და პოლიტოლოგიური ფანტაზიების" ნაყოფია და რა სიკეთეს მოუტანს ქვეყანას "ფანტაზიებზე" აგებული სახელმწიფო პოლიტიკა - მკითხველისთვის მიმინდვია.

ახლა პრეზიდენტისადმი მიმართვის შესახებ:

ავტორთა განცხადებით, "ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ტრანსფორმაცია და შესაბამისი მოლაპარაკებები კონსტრუქციულად შეიძლება წარიმართოს მხოლოდ გარკვეული წინაპირობების შემთხვევაში" და მათ "ეფექტი ექნება მხოლოდ მაშინ, თუ ქართულ-აფხაზური დიალოგი განვითარდება ნდობის მშენებლობის ზემოთ აღწერილი გზით". მაინც რა წინაპირობებს სთავაზობენ საქართველოს პრეზიდენტს.

"წინაპირობა I: ქართულმა მხარემ უნდა განაცხადოს, რომ იგი არ შეეცდება ქართულ-აფხაზური პრობლემის გადაჭრას შეიარაღებული გზით". თეზისი იმის შესახებ, რომ "ჩვენ მზად ვართ, კონფლიქტი გადავწყვიტოთ მშვიდობიანი, პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით, მაგრამ თუ არ გამოგვდის, მაშინ სამხედრო ძალას მივმართავთ", მიმართვის ავტორთათვის აბსოლუტურად მიუღებელია, რადგან, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, აფხაზურ საზოგადოებაში "ეროვნული გრძნობების შეურაცხყოფის განცდასაც იწვევს". ის, რომ ავტორები არაფერს ამბობენ ჩვენს ეროვნულ გრძნობებზე და თავმოყვარეობაზე, ალბათ, "წინგადადგმულ" ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ ის მაინც ვთქვათ, როგორი ფორმით უნდა დაარწმუნოს ქართულმა მხარემ აფხაზები, რომ არ შეეცდება "პრობლემის გადაჭრას შეიარაღებული გზით". როგორც ეტყობა, ზეპირი დეკლარირება "საკმარისი" არ იქნება. ალბათ, შეპარვით გვთავაზობენ ნორმატიული აქტის მიღებას - ხელშეკრულების ფორმით, რომლის გარანტად სხვა საერთაშორისო სამართლის სუბიექტებიც იქნებიან. ჯერ ერთი: რომც წარმოვიდგინოთ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ასეთი ნაბიჯი, როგორ ფიქრობთ, არ იქნება ის საკმარისი პირობა იმპიჩმენტის პროცედურის დასაწყებად? მეორე, სად წაიკითხეს ან გაიგონეს მიმართვის ავტორებმა საქართველოს ხელმძღვანელობის პოზიცია იმის შესახებ, რომ ჩვენი მშენებარე ჯარის მისიათა ჩამონათვალში შეიძლება იყოს "აფხაზ ხალხთან სამხედრო დაპირისპირება". იმას, რასაც ისინი "ხალხთან სამხედრო დაპირისპირებაში" გულისხმობენ, როგორც ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოს, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით, კონსტიტუციური წყობის აღდგენა და ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება ეწოდება;

"წინაპირობა II: ქართულმა მხარემ უნდა მოახდინოს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ამომწურავი შეფასება". რა შეიძლება გვქონდეს ამის საწინააღმდეგო, მით უმეტეს, ავტორები გვთავაზობენ, რომ "მხარეთა შორის დისკურსმა ვექტორი შეიცვალოს და წარსულის ხედვიდან მომავლის ხედვისაკენ გადაინაცვლოს". მაგრამ მკითხველს ვთხოვ, დასკვნებს ნაჩქარევად ნუ გააკეთებს, რადგან, როგორც ირკვევა, "ამ შეფასების ქვაკუთხედი უნდა იყოს ის, რომ "...ქართულმა მხარემ თავის შეფასებაში პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ შეცდომებზე და თავი შეიკავოს საპირისპირო მხარის შეფასებებისაგან". კი, ბატონო, ნუ მოვერიდებით ნურაფერს, თავზე ნაცარი დავიყაროთ და ვიძახოთ, რომ ყველაფერი ჩვენი ბრალია, მაგრამ მიმართვის ავტორებს ეგებ "მაქსიმალურად ობიექტური" შეფასების მეთოდოლოგიური რეცეპტიც გამოეყოლებინათ. სხვანაირად გაუგებარია, როგორ შეიძლება მოხდეს ქართულ-აფხაზური ან ნებისმიერი სხვა კონფლიქტის "ამომწურავი შეფასება" მხოლოდ ერთი მხარის მოქმედებებზე და შეცდომებზე საუბრით. ეს კიდევ არაფერი, საყურადღებო დებულების პირველი ნაწილია, რომლის მიხედვით "ამ შეფასების ქვაკუთხედი უნდა იყოს ის, რომ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი ნაციონალური იდეა". იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად გავიგოთ, რას გულისხმობენ ავტორები, მოგვიწევს დროებით გადავინაცვლოთ მიმართვის მესამე ნაწილში. "... ფორმულა უნდა ეფუძნებოდეს შემდეგ პრინციპს: ჩვენ ვართ საზიარო ისტორიული სივრცის მქონე საზოგადოებები, ორი ძველი ეთნოსი. ჩვენ ორივეს გვაქვს თვითგამორკვევის დაუოკებელი სურვილი, მაგრამ ვაცნობიერებთ, რომ იგი არ უნდა ხორციელდებოდეს ერთმანეთის ინტერესების შელახვის ხარჯზე". ვერ ვხვდები, ქართველი ერის რომელ "თვითგამორკვევის დაუოკებელ სურვილზეა" მინიშნება, მაგრამ როდესაც ვსაუბრობთ "საზიარო ისტორიულ სივრცეზე", "ორ ნაციონალურ იდეაზე", "ორივეს თვითგამორკვევის დაუოკებელ სურვილზე", თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ დე-ფაქტო მდგომარეობის აღიარებამდე ხომ არ მივდივართ? ხოლო იმის კონსტატაცია, "რომ იგი არ უნდა ხორციელდებოდეს ერთმანეთის ინტერესების შელახვის ხარჯზე", რიტორიკაა და სხვა არაფერი. 25 დეკემბერს გამოქვეყნებულ სტატიაში, "პუტინის შენიღბული მუქარა", ვწერდი: "თუ ვინმეს ჰგონია, რომ ჩვენი უსუსურობის შემთხვევაში რუსეთისა და სხვა "კეთილისმყოფელების" მადა აფხაზეთით და სამაჩაბლოთი დაკმაყოფილდება, ძალიან ცდება". თავს უფლებას მივცემ, დავამატო: "საზიარო ისტორიულ სივრცეებზე" და "თვითგამორკვევის დაუოკებელ სურვილებზე" საუბარმა შეიძლება "საგზაო რუკის" ქართულ ვარიანტამდე მიგვიყვანოს (რასაკვირველია იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან სუბიექტების გაცილებით მეტი რაოდენობა იქნება);

"წინაპირობა III: ქართულმა მხარემ აფხაზურს უნდა შესთავაზოს პრიორიტეტულ საწყისებზე აგებული და "მოგება-მოგებაზე" ორიენტირებული დიალოგის პროცესი". რას ეფუძნება ეს მოსაზრება: "ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ქართველებისათვის საპირისპირო მხარედ აფხაზები გვევლინებიან და დიალოგის ფოკუსირება სწორედ აფხაზურ მხარეზე უნდა მოხდეს და არა რომელიმე მესამე მხარეზე. ამ დიალოგში ისინი თანაბარი უნდა იყვნენ. დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ ორივე მხარე კონფლიქტის შედეგად წაგებულია... "მოგება-მოგების" მოდელი გულისხმობს, რომ აფხაზებიცა და ქართველებიც მოლაპარაკებისა და შეთანხმების შედეგად განვითარების, კეთილდღეობის და ინტერესთა დაკმაყოფილების უფრო მაღალ დონეზე გავლენ" და ყველაფერი ეს უნდა დაეფუძნოს ზემოთ მოყვანილ "საზიარო ისტორიული სივრცის" პრინციპს.

მიმართვის ავტორთა გასაგონად მინდა განვაცხადო: ქართულ-აფხაზური პოლიტიკური დიალოგი, მესამე მხარის ჩაურევლობისა და მასზე ფოკუსირების გარეშე, ბოლოს ორასი წლის წინ შედგა და საეჭვოა, უახლოეს ხანში ვითარება ამ მხრივ შეიცვალოს; თუ მხედველობაში მივიღებთ ავტორთა განცხადებას "ნაციონალური იდეისა" და "თვითგამორკვევის დაუოკებელ სურვილზე", როგორ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ორივე მხარე კონფლიქტის შედეგად წაგებულია. რა შეიძლება იყოს "განვითარების, კეთილდღეობის და ინტერესთა დაკმაყოფილების უფრო მაღალი დონე", ვიდრე დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა (მით უმეტეს, თუ ეს სხვისი სახელმწიფოებრიობის ხარჯზე მიიღწევა); ამიტომ ამ ეტაპზე ყოველგვარი საუბარი "მოგება-მოგებაზე" თუ "ფრე-ფრეზე" ორიენტირებულ დიალოგზე ბლეფია, მით უმეტეს, როდესაც "მოსკოველი ხაზეინი" დაუფარავად, მსოფლიოს გასაგონად საუბრობს კოსოვოს ვარიანტზე;

"წინაპირობა IV: საქართველო უნდა გამოვიდეს ინიციატივით, რათა აფხაზეთს მოეხსნას ეკონომიკური სანქციები და ამით გააუქმოს აქამდე მოქმედი წინააღმდეგობრივი ფორმულა - "შემირიგდი, ჩემთან იცხოვრე, თორემ დაგსჯი".

ავტორები კიდევ უფრო შორს მიდიან, "საქართველომ აქტიურად უნდა იზრუნოს კომუნიკაციების - რკინიგზის აღდგენაზე, აფხაზეთში ინვესტიციათა დაბანდებაზე... აღნიშნული წინაპირობების დაცვის შემთხვევაში, ჩვენი ვარაუდით, ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაში საფუძველი ჩაეყრება ნდობას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ მოლაპარაკების კონსტრუქციულ განვითარებას". მიმართვაში არაფერია ნათქვამი, რომელ ეკონომიკურ და სამართლებრივ სივრცეში მოუწევთ საქმიანობა ქართულ და უცხოურ კომპანიებს, სად გაივლის ქართული საბაჟო საზღვარი (სახელმწიფო თუ ენგურის ადმინისტრაციულ საზღვარზე), რომ პრაქტიკულად ავტომატურად მოხდება სეპარატისტების მიერ ჩატარებული პრივატიზაციის დაკანონება, "ხოლო ახალი ეტაპის შედეგად ქართველი ბიზნესმენებისა და სახელმწიფო მოხელეების (სწორედ მოხელეების, რადგან პრივატიზაციის ასეთი პროცესი აუცილებლად გამოიწვევს ახალი ქართული სახელმწიფო აპარატის გახრწნას) ხელში, უკეთეს შემთხვევაში აფხაზეთის ინფრასტრუქტურის მხოლოდ 10-15 პროცენტი გადავა" (უფრო დაწვრილებით იხილეთ "24 საათი", 1-2 ივლისი, 2004 წ. "აფხაზური ხაფანგი").

მიმართვისა და კონცეფციის ავტორები უდავოდ ნიჭიერი ხალხია. მათ კარგად ესმით როგორც კონცეფციაში, ისე მიმართვაში არსებული სუსტი და განუხორციელებელი დებულებები, ამიტომ არც თავის დაზღვევის მექანიზმები დაავიწყდათ: "რა თქმა უნდა, სასურველი შედეგის მიღწევას დასჭირდება საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობა და კონფლიქტის დარეგულირებისათვის რეგიონული ფაქტორის სასიკეთო ტრანსფორმაცია". მაგრამ საქმე ისაა, რომ აფხაზური პრობლემა უკვე დიდი ხანია, გამოვიდა "რეგიონული ფაქტორის" "მოკლე შარვლიდან" და ევროაზიის გეოპოლიტიკურ პრობლემად იქცა (უფრო დაწვრილებით იხილეთ "24 საათი", 2004 წ. 22 სექტემბერი, "უმოქმედობა ღალატის ტოლფასია"). ამიტომ, "პოლიტიკურ ფანტაზიებს" თავი დავანებოთ და თუ ეროვნული მუხტი გაგვაჩნია, ცნობილი ანეკდოტისა არ იყოს, "გემს ვუშველოთ, თუ შეგვიძლია".

რისთვისაც:

1. "არასამთავრობოების პროგნოზით, ავტონომიის განსაკუთრებული სტატუსის შესახებ ... მსოფლიოსათვის უპრეცედენტო" დოკუმენტს ("24 საათი", 2004 წ. 29 დეკემბერი) თავი დავანებოთ და რეალური დოკუმენტი დავდოთ, რომელიც გახდება აფხაზეთის ერთიან ქართულ კულტურულ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ-სამართლებრივ სივრცეში ჩართვის საფუძველი და უზრუნველყოფს დევნილი მოსახლეობის უპირობო დაბრუნებას და მის უსაფრთხოებას აფხაზეთში (რასაკვირველია, მსოფლიოში არსებული ავტონომიების პრაქტიკის გათვალისწინებით);

2. 2008 წლის 1 იანვრამდე უზრუნველვყოთ თავდაცვის სამინისტროს ერთი მილიარდი დოლარით დაფინანსება (რასაკვირველია, ჩვენი მეგობრების დახმარებით), რაც საშუალებას მოგვცემს, შევქმნათ 30-ათასიანი ბრძოლისუნარიანი ქართული არმია;

3. გამოვნახოთ საშუალება, რათა 2008 წლის 1 იანვრამდე საქართველოს საგარეო დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სამსახურები 200 მილიონი ლარით დაფინანსდეს.

ისტორიული გამოცდილება გვასწავლის, რომ ნებისმიერი სამშვიდობო მოლაპარაკების დროს მხარის წარმატების საწინდარი მის უკან არსებული რეალური ძალაა. მხოლოდ ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებების განხორციელება მოგვცემს საშუალებას, 2008 წელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დასრულებისა და წარმატებული მოლაპარაკებების წლად ვაქციოთ.

# "საქართველოს ფედერალიზაცია - ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა"

*ამ დღეებში, ლიბერალურ-დემოკრატიული ეროვნული პარტიის თავმჯდომარის, ყოფილი პარლამენტარის, მიხეილ ნანეიშვილის ინიციატივით, ახალი საზოგადოებრივი გაერთიანება - "უნიტარული საქართველო" დაფუძნდა. "24 საათმა" ბატონ ნანეიშვილს რამდენიმე შეკითხვით მიმართა.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*საქართველოში ფედერალიზაციის იდეა რუსეთიდან მოდის. რუსეთი არის დაინტერესებული, რომ საქართველო ფედერალური სახელმწიფო იყოს.*

ვერიკო თევზაძე

**- რა მიზანს ისახავს თქვენი გაერთიანება, რომელი ცნობილი სახეები არიან გაწევრიანებული მასში?**

- ეს არის არაფორმალური და არაპოლიტიკური დროებითი საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელშიც ირიცხებიან ინდივიდუალური წესით გაწევრიანებული მოქალაქეები. პირველ შეხვედრაზე შეიკრიბნენ ხელოვნების და მეცნიერების გამოჩენილი წარმომადგენლები. მათ შორის დავასახელებ ჭაბუა ამირეჯიბს, ოთარ და თამაზ ჭილაძეებს, თამაზ ჩხენკელს, ანა კალანდაძეს, დათო მუსხელიშვილს, ზაზა ალექსიძეს, მარიკა ლორთქიფანიძეს... ჯერჯერობით, მათი რიცხვი 29-ს აღწევს. ჩვენი სია კვლავ შეივსება თვალსაჩინო პერსონებით. ასევე, შემოგვიერთდებიან სტუდენტები, ასპირანტები, ახალგაზრდა მეცნიერები და ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეები.

ჩვენი მთავარი ფუნქციაა საზოგადოების გათვითცნობიერება, თუ რა საშიშროების წინაშე დგას დღეს ჩვენი ქვეყანა. საზოგადოებას უნდა განვუმარტოთ ფედერალური და უნიტარული სახელმწიფოების არსი, ის, რომ ფედერალიზმი - საქართველოს ტერიტორიის ლეგალიზებულ დაკარგვას ნიშნავს.

**- თქვენი აზრით, რა რეალური საფუძველი არსებობს საიმისოდ, რომ სახელმწიფოებრივი მოწყობის უნიტარული ფორმა მართებულად მივიჩნიოთ?**

- უნიტარული სახელმწიფო არის ყველაზე ბუნებრივი ფორმა სახელმწიფოს ორგანიზაციისა. ფედერალური სახელმწიფო პირველად მე-18 საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს გაჩნდა, როდესაც შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები. ეს იყო ახალი პოლიტიკური აზრის გამოგონება. დღეს უნიტარიზმი, რატომღაც, შავი პიარის ობიექტი გახდა.

რით განსხვავდება ერთმანეთისგან სახელმწიფო მოწყობის უნიტარული და ფედერალური ფორმები? ფედერალური სახელმწიფო არის ისეთი სისტემა, რომელშიც გაერთიანებულია ცალკეული სახელმწიფოები, როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფოს სუბიექტები. მაგალითად, შეერთებულ შტატებში შტატი ვირჯინია თავად არის სახელმწიფო. უნიტარული სახელმწიფო წარმონაქმნებისგან არ შედგება. ამის მაგალითია ინგლისი, თანამედროვე, თავისუფალი მსოფლიოს, ასე ვთქვათ, დედასამშობლო. იგივე შეიძლება ითქვას საფრანგეთზე, იტალიაზე, სკანდინავიის ქვეყნებზე, ჰოლანდიაზე და ა. შ.

ჩვეულებრივ, ითვლება, რომ ყველაზე ბუნებრივი გზა ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისა უნიტარული სახელმწიფოა. საქართველო, ტრადიციულად, უნიტარისტულ სახელმწიფოდ ითვლება, თუმცა, ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ვრცელდება ხმები, თითქოსდა, საქართველო არასოდეს ყოფილა უნიტარული, რაც მტკნარი სიცრუე და უმეცრებაა. დავით აღმაშენებლის დროს ფედერალიზმის ცნებაც კი არ არსებობდა.

კიდევ ერთი გაუგებრობა და უმეცრება, რაც ხალხს ჩაუნერგეს, თვითმმართველობას უკავშირდება. რატომღაც, არსებობს მოსაზრება, რომ თვითმმართველობა მხოლოდ ფედერალურ სახელმწიფოშია შესაძლებელი. სინამდვილეში, როდესაც ამბობენ, რომ სახელმწიფო დეცენტრალიზებულია, თავისთავად იგულისხმება უნიტარული სახელმწიფო. ფედერალური სახელმწიფო ბევრად უფრო დიდ პრობლემებს ქმნის თვითმმართველობის განვითარებისთვის. იმიტომ, რომ ასეთი ტიპის სახელმწიფო გაცილებით დამძიმებულია ხელისუფლებით, იმ ხელისუფლებით, რომლის შეზღუდვაც საჭიროა თვითმმართველობის განვითარებისთვის. უნიტარულ სახელმწიფოში ყველაფერი გაცილებით ადვილად არის.

მეორე გაუგებრობა ავტონომიებს ეხება. ხალხს უნერგავენ, რომ უნიტარული სახელმწიფო, მაგალითად, აფხაზეთის ავტონომიას ვერ მოიხდენს. ეს სიცრუეა, რადგან ავტონომია სახელმწიფო არ არის.

საქართველოში ფედერალიზაციის იდეა რუსეთიდან მოდის. რუსეთი არის დაინტერესებული, რომ საქართველო ფედერალური სახელმწიფო იყოს. ამაში დასარწმუნებლად საკმარისია, ტელევიზორი რუსულ ტელეარხებზე გადავრთოთ... რუსეთში ადგენენ სხვადასხვა პროექტებს, მათ იციან, რომ ფედერალური საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ინვალიდი სახელმწიფო იქნება. თუ ჩვენ აფხაზეთი ფედერაციის სუბიექტ-სახელმწიფოდ გადავაქციეთ, სამხრეთ ოსეთსაც ასეთი სტატუსი მივანიჭეთ, ისინი გამოეყოფიან საქართველოს და ჩვენი ქვეყანა იქნება დაჩეხილი, როგორც ეს ფეოდალიზმის დროს ხდებოდა.

**- როგორ აფასებთ საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულებას ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან?**

- ჩვენი ხელისუფლება გულში რას ფიქრობს, არ ვიცი, მაგრამ ობიექტურად, ასრულებს რუსეთის გეგმას, აკეთებს იმას, რაც რუსეთისთვის არის საოცნებო.

რადგან რუსეთი ვახსენე, აქვე ვიტყვი: ხელისუფლებამ მთელი ენერგია იქითკენ უნდა მიმართოს, რომ საქართველოდან გაყვანილ იქნეს რუსეთის შეიარაღებული ძალები. პირველ რიგში კი - სამშვიდობოები, ვინაიდან სწორედ სამშვიდობო ძალები წარმოადგენენ სეპარატისტების გამამხნევებელ და დამაიმედებელ ძალას. თუ ისინი არ გავიდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის სამხედრო ზეწოლის პირობებში უნდა მოხდეს საქართველოს ფედერალიზაცია.

**- რამდენად რეალურად მიგაჩნიათ, რომ თქვენი გაერთიანება პროცესებზე ზემოქმედებას მოახდენს? აპირებთ თუ არა ხელისუფლებასთან თანამშრომლობას?**

- ჩემი აზრით, საქართველოს ფედერალიზაცია - ეს არის ეროვნული თვითმკვლელობა. თუ ქართველ ერს სიცოცხლე უწერია, ფედერალიზმი გამორიცხულია. რასაკვირველია, ჩვენი მცდელობა რეალურ შედეგს გამოიღებს. საზოგადოება, ბოლოს და ბოლოს, დაინახავს, რა კატასტროფის წინაშე დგას ჩვენი ქვეყანა. საზოგადოება გამოფხიზლდება და ხელისუფლებაც ანგარიშს გაუწევს იმ საზოგადოებას, რომელმაც მას ხმა მისცა.

ჩვენ არა მარტო ხელისუფლებასთან, არამედ ამ საკითხით დაინტერესებულ ყველა ძალასთან თანამშრომლობას ვაპირებთ.

# ხმაურიანი პრივატიზაციის ახალი ტალღა ახლოვდება

*დღეს, საღამოს ექვს საათზე, იწურება ვადა, რომელიც საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ "საოკეანო სანაოსნოს", "ტყიბულნახშირის", "ჭიათურმანგანუმისა" და "ვარციხეჰესის" პრივატიზების მსურველებს წინადადებების წარმოსადგენად დაუწესა. მიუხედავად იმისა, რომ სანაოსნოს შესყიდვის სურვილი ამ ეტაპზე შვიდ ფირმას აქვს, სამინისტრო დღეს მხოლოდ ერთადერთ რეალურ მყიდველზე - ბრიტანულ "გრინოკზე" საუბრობს. ეს კომპანია, რომელსაც დანიელი იან ბონდე ნილსენი ხელმძღვანელობს, ერთადერთია, რომელმაც საქართველოს მთავრობას კონკრეტული წინადადებით უკვე მიმართა და შპს "საოკეანო სანაოსნოში" 107 მილიონი დოლარი შესთავაზა.*

ნიკა მარიამიძე

11 იანვარს საპრივატიზაციო კომისია საწარმოთა შეძენის მსურველი კომპანიების განაცხადების განხილვას დაიწყებს და 2-5-დღიან ვადაში საწარმოთა საბოლოო მფლობელებს გამოავლენს. როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა გუშინ განაცხადა, უპირატესობა მაღალი ფასის და საუკეთესო საპრივატიზებო პირობების შემომთავაზებელ საინვესტიციო ჯგუფებს მიენიჭებათ. მინისტრის თქმით, შპს "საქართველოს საოკეანო სანაოსნოს" შეძენის სურვილი 7 უცხოურ კომპანიას აქვს, რომელთაგან ერთმა - "გრინოუქ ჰოლდინგზმა" - თავისი სურვილი წერილობით, დანარჩენებმა სიტყვიერად დაადასტურეს, ხოლო სს "ჭიათურმანგანუმის", "ვარციხეჰესის" და "ტყიბულნახშირის" ჩათვლით, შეძენის სურვილი სიტყვიერად ხუთმა უცხოურმა კომპანიამ გამოთქვა.

"საოკეანო-სანაოსნოს" პრივატიზების სურვილს, თავის დროზე, თურქული კომპანია "კორიათი" (ჰოლანდიურ "ნორდ ინვესტთან" ერთად), იტალიური "კო-არმა", გერმანული "შიოლერი", ბრიტანული "მარინ კაპიტალი", ავსტრალიური "ეი-ეს-პი" და რუსული "პრომიშლენნიე ინვესტორი" გამოთქვამდნენ, თუმცა ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ ვინ რა წინასწარი წინადადებებით მიმართა ეკონომიკის განვითარების სამინისტროს, არ დაკონკრეტებულა. მიუხედავად იმისა, რომ სამინისტრომ საპრივატიზაციო წინადადებების მიღების ვადა 11 იანვრამდე გააგრძელა, განსაკუთრებული ინიციატივა არც ერთ პოტენციურ ინვესტორს გამოუჩენია და საქართველოს მთავრობის გულუხვი წინადადებით უფრო ღრმად აღარ დაინტერესებულა.

ეს წინადადება კი ასე ჟღერდა: "საოკეანო სანაოსნო", მისი ყველა შვილობილი, 15 გემი, ბათუმის ნავმისადგომის მართვის წილობრივი უფლება და მიწის მოზრდილი ნაკვეთი ბათუმში მას გადაეცემა, ვინც უფრო მეტს გადაიხდის.

გუშინ ეს კიდევ ერთხელ გაიმეორა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ და უარყო გავრცელებული ინფორმაცია, რომ "საოკეანო სანაოსნოში" "მარინ კაპიტალი" "გრინოკზე" მეტის გადახდას აპირებს.

ბენდუქიძის თქმით, "მარინ კაპიტალის" წინადადება, რომელიც 130 მილიონი დოლარის გადახდას ითვალისწინებს, მიმზიდველი იმიტომ არ არის, რომ ინვესტორი კომპანიის ვალების გასტუმრებასაც ამავე თანხის ფარგლებში გეგმავს.

რაც შეეხება "გრინოკისთვის" ბათუმის ნავმისადგომის მართვის უფლებაში გაცემა იმიტომ გადაწყდა, რომ როგორც საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, სახელმწიფო პორტების პრივატიზებას არ გეგმავს და მხოლოდ ნავმისადგომების გრძელვადიანი იჯარით გადაცემის მომხრეა. "სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნებით ნავმისადგომების იჯარით გადაცემა ბიუჯეტს უფრო მეტ შემოსავალს მოუტანს," - თქვა ალექსიშვილმა.

ხოლო რაც შეეხება "ტყიბულნახშირს", "ჭიათურმანგანუმსა" და "ვარციხეჰესს", ამ საწარმოთა პრივატიზების სურვილი ოფიციალურად ხუთმა კომპანიამ - "ინტერბაიკმა", "მორავიაჯორჯიამ", "კაზ-ხრომიმ", "ევრაზჰოლდინგმა" და "დეკომეტალ-ფერომ" გამოთქვეს. უკრაინის ექსპრეზიდენტ ლეონიდ კუჩმას სიძის, პინჩუკის კუთვნილმა უკრაინულმა "ინტერბაიკმა" ამ მიზნით 10 მილიონი დოლარის დეპოზიტი უკვე გახსნა. მიუხედავად ამისა, კონკრეტული წინადადებები სამინისტროს ამ კომპანიებისგან ჯერ არ მიუღია. ცნობისათვის: ავსტრიული "დეკომეტალი" ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანას, უკვე კარგა ხანია, ფლობს და "ჭიათურმანგანუმის" პრივატიზების სურვილი ადრეც არაერთხელ გამოუთქვამს.

წინადადებათა პაკეტები დღესვე, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას და საკონკურსო კომისიის წევრების თანდასწრებით მოხდება. როგორც ეკონომიკური განვითარების მინისტრი ვარაუდობს, გამარჯვებულის გამოვლენა 2-3 დღეზე მეტს არ გასტანს.

"ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას. აღნიშნული კომპანიების გაყიდვის საკითხი რაც შეიძლება სწრაფად უნდა გადაწყდეს, რადგან მათ რთული ფინანსური მდგომარეობა აქვთ და აუცილებელია იქ ინვესტიციების განხორციელება. "ჭიათურმანგანუმის" შემთხვევაში, მთავრობისათვის მთავარია, რომ "ჭიათურმანგანუმის" აქტივი ეფექტურად იქნეს გამოყენებული," - ასე ახსნა ალექსიშვილმა მთავრობის აჩქარება.

# საქართველო-რუსეთს შორის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა 10 დღეში დაიწყება

თამარ ივანიძე

საქართველოსა და რუსეთს შორის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა 10 დღეში დაიწყება. ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა ორშაბათს, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრ იგორ ლევიტინთან გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა ჟურნალისტებს. **"პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, მნიშვნელოვნად - დაახლოებით 400 ათასი ტონით გაიზრდება ფოთის ნავსადგურის საბორნე კომპლექსის დატვირთვა, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება საბიუჯეტო შენატანები და განვითარდება ორ ქვეყანას შორის ბიზნეს-ურთიერთობები,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.



ვახო ბასელიას ფოტო

*გუშინვე, საბორნე მიმოსვლის დაწყების მიზნით, საქართველოს და რუსეთის მთავრობებს შორის სამი შეთანხმება გაფორმდა.*

უკრაინისა და თურქეთის შემდეგ, რუსეთი მეხუთე ქვეყანა იქნება, რომელთანაც საქართველო პირდაპირ საბორნე მიმოსვლას განახორციელებს. თავდაპირველად, რუსეთისა და საქართველოს ნავსადგურებს შორის ბორანი კვირაში ერთხელ იმოძრავებს, ხოლო შემდგომ ეტაპზე - კვირაში ორ-სამჯერ.

გუშინვე, საბორნე მიმოსვლის დაწყების მიზნით, საქართველოს და რუსეთის მთავრობებს შორის სამი შეთანხმება გაფორმდა. კერძოდ: მიმოსვლის დაწყების, ტვირთების გადაზიდვის და ექსპლუატაციის დროებითი წესების შესახებ.

საქართველოსა და რუსეთს შორის მიღწეული ხელშეკრულების თანახმად, საწყის ეტაპზე რუსეთისა და საქართველოს ნავსადგურებს შორის 25-30 ვაგონის ტევადობის ბორანი კვირაში ერთხელ იმოძრავებს, მომდევნო ეტაპზე კი - 2-3-ჯერ. ორ ქვეყანას შორის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლა ფოთისა და კავკაზის ნავსადგურებს დააკავშირებს ერთმანეთთან.

ხელისუფლების წარმომადგენლების განმარტებით, საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის დაწყება შეამცირებს სატვირთო გადაზიდვებზე არსებულ ტარიფებს და გაზრდის გადაზიდვების მოცულობას, გარდა ამისა, შეიქმნება საავტომობილო-სატვირთო გადაზიდვების ალტერნატიული მარშრუტი.

შესაბამის შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების ყოფილმა მინისტრმა კახა ბენდუქიძემ, შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა, საქართველოს ელჩმა რუსეთში ვალერი ჩეჩელაშვილმა და რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა იგორ ლევიტინმა მოსკოვში გასული წლის დეკემბერში მიაღწიეს.

**"საბორნე მიმოსვლის დაწყება გასული წლის 1 ნოემბერს საქართველო-რუსეთს შორის გაფორმებული მემორანდუმის ერთ-ერთი პირობაა, რომლის მიხედვითაც, საბორნე მიმოსვლა 1 აპრილს უნდა დაწყებულიყო, თუმცა აღნიშნული საკითხი გაცილებით ადრე მოგვარდა,"** - განაცხადა ლევიტინმა.

გუშინვე ეკონომიკის ექსმინისტრმა კახა ბენდუქიძემ განმარტა, რომ **"საქართველოსა და რუსეთს შორის პირდაპირი საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაში ფინანსურ მონაწილეობას სახელმწიფოები არ მიიღებენ."** მისი თქმით, რუსული და ქართული მხარეები კერძო მფლობელობაში არსებულ ბორნებს საშუალებას აძლევენ ნავსადგურებს შორის მიმოსვლა განახორციელონ, შესაბამისად, სატვირთო გადაზიდვებზე სატარიფო განაკვეთიც კერძო კომპანიების მიერ იქნება დადგენილი.

გუშინვე, რუსეთის ტრანსპორტის მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ 1 ნოემბერს გაფორმებული მემორანდუმი აფხაზეთის გავლით საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის დაწყებითი სამუშაოების განხორციელებასაც გულისხმობს.

კახა ბენდუქიძის განმარტებით, **"აფხაზეთის გავლით საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ქართული მხარე მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ საქართველო რუსეთთან საქართველო-რუსეთის საზღვარზე, ფსოუზე, ქართული სასაზღვრო და საბაჟო-გამშვები პუნქტის ამოქმედების შესახებ მიაღწევს შეთანხმებას."** მისი თქმით, მდინარე ფსოუზე საქართველოს სასაზღვრო და საბაჟო-გამშვები პუნქტების ამოქმედების გარდა, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის დაბრუნებას უკავშირდება.

ამასთან, როგორც ჟურნალისტებს შპს "საქართველოს რკინიგზის" გენერალურმა დირექტორმა დავით ონოფრიშვილმა განუცხადა, უახლოესი ექვსი თვის განმავლობაში, აფხაზეთის გავლით, საქართველოსა და რუსეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა შეუძლებელია, რადგან ამ მონაკვეთზე ინფრასტრუქტურა აღარ ფუნქციონირებს.

**"ეს მონაკვეთი სერიოზულ შესწავლას მოითხოვს და მის გადასაწყვეტად და ფინანსური და ტექნიკური დეტალების მოსაგვარებლად შესაძლოა საქართველო-რუსეთი-აზერბაიჯანი-სომხეთის ერთობლივი კონსორციუმი შეიქმნას,"** - თქვა მან.

ონოფრიშვილის ინფორმაციით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა, ტექნიკური და ფინანსური საკითხების გარდა, პოლიტიკური ასპექტების შეთანხმებასაც საჭიროებს, ვინაიდან 2003 წელს საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტებს შორის ქალაქ სოჭში მიღწეული შეთანხმებით, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა აფხაზეთიდან დევნილი ქართველი მოსახლეობის დაბრუნების პარალელურად უნდა განხორციელდეს.


"საქართველოს ბანკის" საახალწლო საჩუქარი



"საქართველოს ბანკი" გილოცავთ შობა-ახალ წელს და გაძლევთ უნიკალურ შანსს საჩუქრად მიიღოთ პლასტიკური ბარათი მინიმუმ 500 ლარის, აშშ დოლარის ან ევროს ოდენობის ავტომატურ კრედიტთან ერთად.

ამისათვის საჭიროა:

- გქონდეთ გახსნილი ვადიანი ანაბარი "საქართველოს ბანკში" მინიმუმ 1000 ლარის, აშშ დოლარის ან ევროს ოდენობით

თუ თქვენ არ ხართ მეანაბრე:

- გახსენით 1 თებერვლამდე "საქართველოს ბანკში" ვადიანი ანაბარი მინიმუმ 1000 ლარის, აშშ დოლარის ან ევროს ოდენობით.

მიიღეთ საჩუქრად პლასტიკური ბარათი ავტომატურ კრედიტთან ერთად და შეიქმენით საკრედიტო ისტორია "საქართველოს ბანკში"

"საქართველოს ბანკი" გილოცავთ შობა ახალ წელს !!!




+ კრედიტი

ტელეფონი: 444 444
www.bog.ge

# პალესტინელებმა არჩევანი გააკეთეს

## დამყარდება თუ არა მშვიდობა ახლო აღმოსავლეთში?

პირველი გვერდიდან

რომ მას მხარს უჭერდა ორგანიზაცია, რომელიც ყველა პალესტინელს, მათ შორის - პალესტინურ დიასპორასაც აერთიანებდა. საყოველთაო არჩევნების საფუძველზე, პალესტინის ნაციონალური ავტონომიის პრეზიდენტად აბასის არჩევა მას საკუთარი პოლიტიკური პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად კანონიერ საფუძველს აძლევს.

ამ პროგრამას, მიუხედავად არაფატის პროგრამასთან არსებული მსგავსებისა, უკანასკნელისგან საკვანძო საკითხები განასხვავებს. აბასი (ასევე, აბუ მაზენის სახელით ცნობილი) ღიად და თანმიმდევრულად აკრიტიკებდა, როგორც თავადვე უწოდებდა, "ინტიფადის მილიტარიზაციას". აბასი ჯერ კიდევ არაფატის გარდაცვალებამდე ამტკიცებდა, რომ შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან ძალის გამოყენება ასუსტებს პალესტინის სამშვიდობო შეთანხმების პოზიციას. ამ პოზიციას იცავდა აბასი თავის წინასაარჩევნო კამპანიის დროსაც და უარს აცხადებდა, დაეთმო და ბოდიში მოეხადა იმ ფრაქციებისთვის, რომლებიც მკვეთრ კურსს ანიჭებდნენ უპირატესობას.

აბასს თავი საქმიანად და მტკიცედ უჭირავს, კანონის უზენაესობას ქადაგებს და სწამს, რომ პალესტინურ პოლიტიკაში ჭეშმარიტად საზოგადოებრივი მმართველობა უნდა ჭარბობდეს. ის ამითაც განსხვავდება არაფატისგან, რომელიც მიიჩნევდა, რომ რევოლუციური განწყობა იმ დრომდე უნდა გაგრძელებულიყო, ვიდრე პალესტინის უკანონო ოკუპაცია არ დასრულდებოდა, ანუ განთავისუფლებამდე ნორმალური ცხოვრება შეუძლებლად მიაჩნდა.



პალესტინის ახალი ლიდერი რთული ამოცანის წინაშე დგას. მისგან თანამემამულენი, შესაძლოა, მეტისმეტსაც მოელიან.

იმ პლატფორმაზე გამარჯვებით, რომელიც ძალადობის გაგრძელებას ეწინააღმდეგება და კანონიერი სახელმწიფოს შექმნის მომხრეა, აბასმა მანდატი მიიღო და ასეთი პოლიტიკის გატარებაზე პასუხს აგებს. მან ყველა შეიარაღებული პალესტინელის ცნობიერებამდე უნდა მიიტანოს ის, რომ სახელმწიფო არ შეეგუება არც ერთ არაოფიციალურ შეიარაღებულ დაჯგუფებას, რომელიც რაიმე შეიარაღებულ თავდასხმას განახორციელებს პალესტინის ტერიტორიიდან.

ეროვნული ერთიანობის შესანარჩუნებლად აბასს აშკარად დასჭირდება მთელი ძალისხმევის იქითკენ მიმართვა, რომ რადიკალური დაჯგუფებები აიძულოს (ზოგიერთი მათგანი მის საკუთარ "ფათჰ"-ის მოძრაობაშიც შედის) პატივი სცენ ამ მიდგომას. მას იმის დამტკიცებაც მოუწევს, რომ ძალადობის ალკვეთა პალესტინელების ინტერესებს შეესაბამება.

ასევე რთული იქნება აბასისათვის კანონის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრება თითქმის 5 წლიანი ძალადობის, დამცირებისა და ებრაელების მიერ დაწესებული გადაადგილების "დრაკონული" შეზღუდვების შედეგად ძლიერ ტრავმირებულ საზოგადოებაში. ინტიფადას მილიტარიზაციის შემთხვევის მსგავსად, ესეც რთული ამოცანაა, რადგან იგი ეხება ძალებს, რომლებზეც კონტროლს ვერ ახორციელებს ვერც თვით აბასი და ვერც მისი მთავრობა.

ამ ფონზე, საშინაო პოლიტიკას უდიდესი მნიშვნელობა ექნება. პალესტინელთა ყოველდღიური ცხოვრება და არსებობის პირობები დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას საჭიროებს. ისრაელის მიერ აშენებული "გამყოფი კედელი" პალესტინაში უმუშევრობის დონის ზრდასა და ცხოვრების დონის ვარდნას ნიშნავს. ამ პრობლემის გადასაწყვეტად აბასს დახმარების ძიება გარეთ - არაბულ სამყაროსა და საერთაშორისო საზოგადოებაში მოუწევს.

პალესტინის ახალი ლიდერი რთული ამოცანის წინაშე დგას. მისგან თანამემამულენი, შესაძლოა, მეტისმეტსაც მოელიან. ბუნებრივია, ბევრი რამ არის დამოკიდებული მის შესაძლებლობებზე. თუმცა, გარდა ამისა, იმასაც უზარმაზარი მნიშვნელობა ექნება, თუ როგორ მოიქცევა ისრაელი და საერთაშორისო თანამეგობრობა, იმ შემთხვევაში, თუ აბასი შეძლებს დანაპირების შესრულებას და ტერორისტული ორგანიზაციების მხრიდან ძალის გამოყენებას ალკვეთს. ამაში მას სერიოზული მხარდაჭერა დასჭირდება დანარჩენი მსოფლიოდანაც.

# დსთ: ბრძოლა დემოკრატიის იმიტაციასთან

პირველი გვერდიდან

მოსკოვმა თავიდანვე იანუკოვიჩზე გააკეთა არჩევანი, რომელიც რუსეთთან ურთიერთობებში ყველაფრის ძველებურად დატოვების პირობას იძლეოდა და სწორედ ამიტომ, კრემლმა ყველა ბერკეტი აამუშავა, რათა მის ფავორიტს გამარჯვება მოეპოვებინა.

ხელისუფლებაში "ვარდების რევოლუციის" შედეგად მოსულმა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა იმედი გამოთქვა, რომ მისი ქვეყნისა და უკრაინის მაგალითს მიმბაძველები გაუჩნდებიან.

### დსთ-ს სახელმწიფოთა უმეტესობაში დემოკრატიის დეფიციტია

დამთხვევა იყო, რომ უზბეკეთში საპარლამენტო არჩევნები უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის განმეორებითი კენჭისყრის თანადროულად ტარდებოდა. ეუთო-ს დამკვირვებელთა შეფასებები უზბეკეთის შესახებ გაცილებით მრავალფეროვანი აღმოჩნდა. მაშინ როცა უკრაინაში არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად მიმდინარეობდა, უზბეკეთში ყველაფერი პირიქით ხდებოდა. მანამდე, დამკვირვებელთა კრიტიკას ვერ გაუძლო არჩევნებმა ყაზახეთში, რომელსაც ნურსულთან ნაზარბაევი მართავს, რადგან პლებისციტი იქაც უსამართლოდ ტარდებოდა. უზბეკეთის არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე, თურქმენეთში ჩატარებული "არჩევნების" შემხედვარე საერთაშორისო დამკვირვებლებს ლამის ენა ჩაუვარდათ, ისე თავხედურად მოირგო არსებულმა რეჟიმმა დემოკრატიული ნიღაბი, არადა, არჩევნებზე მხოლოდ ერთი პარტია დაუშვეს.

### დემოკრატიის იმიტაციასთან ბრძოლა

მოსკოველმა პოლიტოლოგმა ლილია შევცოვამ ზუსტად შეარქვა ამ მოვლენას "დემოკრატიის იმიტაცია". ეს ეხება "კუჩმას სისტემას", რომელსაც დღეს ასაფლავებენ უკრაინაში, პუტინის "მართვად დემოკრატიას", ლუკაშენკოს მმართველობის დიქტატორულ სტილს და "თურქმენთა ყოველთა მამას", საფარმურატ ნიაზოვს. ყველა ამ სისტემისთვის საერთო მახასიათებელი ის არის, რომ სუვერენი, ანუ ამომრჩევლები, არაფერს ან თითქმის არაფერს წარმოადგენენ.

### ყირგიზეთის არჩევნები

თებერვალში კიდევ ერთ შუააზიურ ქვეყანაში, ყირგიზეთში ირჩევენ პარლამენტს, ხოლო შემოდგომით კი საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა ორივე არჩევნებზე უკვე ნაადრევად იზრუნა. მან მოწინააღმდეგეები და ოპოზიცია დაადანაშაულა, რომ ისინი უცხოელი სპონსორების მეშვეობით "ბინძურ მეთოდებს" იყენებენ ქართული ან უკრაინული სცენარის გასატარებლად. აკაევი, რასაკვირველია, ამას არ დაუშვებს და ამიტომაც დაავალა მთავრობას, შეიმუშაონ და მისაღებად პარლამენტს გადასცენ ისეთი ახალი კანონები, რითაც, ოპოზიციის სიტყვებით, მსოფლიოში ნებისმიერი პოლიციური სახელმწიფო იამაყებდა. ყირგიზეთის პრეზიდენტმა ეუთო გააფრთხილა, თავი შორს დაეჭირა "საარჩევნო პროცესში ჩარევისგან". იმავდროულად, აკაევმა გასაგებად აღნიშნა, რომ მის ქალიშვილს, ბერმეტ აკაევას პოლიტიკური ამბიციები ამოძრავებს. კონსტიტუციის თანახმად, უშუალოდ ასკარ აკაევს კიდევ ერთხელ მონაწილეობის მიღება საპრეზიდენტო არჩევნებში არ შეუძლია და ალბათ ოჯახის წევრებიდან ფიქრობს მემკვიდრის არჩევას, რისი მაგალითიც აზერბაიჯანში გვაქვს. იქ ჰეიდარ ალიევს, მისი ვაჟიშვილი ილხამი ჩაენაცვლა.

### ევრაზიული მოძრაობა დემოკრატიისათვის

მართალია, შუა აზიაში სამოქალაქო საზოგადოების მებრძოლები, ჯერჯერობით, მოისუსტებენ, მაგრამ საქართველოს და უკრაინის მაგალითებმა მათ აშკარად ძალა შემატეს. რამდენიმე კვირის წინ, ლონდონში, ევრაზიაში დემოკრატიის საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე, ოპოზიციურმა ორგანიზაციებმა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების დემოკრატიული ძალების კავშირის შექმნა გადაწყვიტეს. მალე უნდა შედგეს დამფუძნებელი სხდომა, თითქმის იგივე დროს, როდესაც ყირგიზეთში და ტაჯიკეთში არჩევნები გაიმართება.

### ცილისწამება ეუთო-ს საქმიანობის შესახებ

რუსეთიდან და შუა აზიის რეგიონიდან მომავალი გამონათქვამები (რომ აღარაფერი ვთქვათ პრეზიდენტ ლუკაშენკოს ძალისმიერ ზომებზე, რათა მოვლენების გაუთვალისწინებელი განვითარების ალბათობა გამოირიცხოს, განსაკუთრებით უკრაინის ამბების შემდეგ) ადასტურებს, რომ თბილისიდან და კიევიდან წამოსულ "მუქარას" სერიოზულად განიხილავენ. თანაც, საყურადღებოა, რომ დემოკრატიის შესახებ დისკუსიას რუსეთი, პირველ რიგში, დასავლეთთან გეოპოლიტიკური კონკურენციის თვალსაზრისით აღიქვამს, ხოლო ზოგჯერ, როგორც რუსეთის წინააღმდეგ დასავლეთის შეთქმულებას, რომელსაც (რუსეთის) მდგომარეობის შერყევა სურს დსთ-ში.

გარდა ამისა, ეუთო-ს (ადრე ეუთთ - ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირი) საქმიანობა, 70-იანი წლების ბოლოს მსგავსად, დიფამაციას განიცდის. მაშინ ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის მოთხოვნა, რომლის შესრულებაც სსრკ-მ ითავა, ეუთთ-ს დამფუძნებელი დოკუმენტების ხელმოწერით, სსრკ-ს საშინაო საქმეებში ჩარევად შეფასდა. "მოძმე სოციალისტურ სახელმწიფოებში" არსებულმა "დისიდენტებზე მონადირეებმა" ასეთი შეფასება გაიზიარეს. დღესაც რაღაც ამდაგვარს გაიგებთ უზბეკეთში და მოსკოვში.

### ერთობლივი ბრძოლა რევოლუციებთან

რუს პოლიტოლოგთა შორის ერთ-ერთი "ქორი", გლებ პავლოვსკი, აცხადებს, რომ ახალი იარაღის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთის პოლიტიკურ სისტემას და რუსულ ინტერესებს არღვევს, მხოლოდ ის გამოდგება, თუ რუსეთი და მისი მოკავშირეები ერთად მომარაგდებიან ქართულ-უკრაინული სტილის რევოლუციის დამცავი იდეოლოგიით. მისი სიტყვებით, ამ იდეოლოგიამ რუსეთის სახელმწიფოებრივი ძალაუფლებისა და რუსული საზოგადოების კონტრრევოლუციური შინაარსი უნდა ასახოს. რამდენიმე კვირის წინ პავლოვსკი ამის თაობაზე უფრო კონკრეტული იყო: ნარინჯისფერ რევოლუციას დროზე უნდა "მიელო სიფათში". "თურქმენბაში" და დსთ-ს სხვა "დემოკრატიული" ხელისუფალნიც ყოველთვის იგივე აზრს იზიარებდნენ. მოკლედ, სალამი ჟირინოვსკისგან.

# კატაკლიზმები გრძელდება - ევროპა ქარიშხალმა მოიცვა

*მძვინვარე ქარიშხალმა ევროპაში უკვე 14 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეტეოროლოგების მონაცემებით, შტორმი, რომელიც ჩრდილოეთ ევროპას დაატყდა თავს, უკანასკნელი 16 წლის მანძილზე მისთვის ყველაზე ძლიერია. ათასობით ადამიანი ელექტროენერგიის გარეშე დარჩა, დანგრეულია სახლები, პარალიზებულია აეროპორტების მუშაობა. ინგლისელები სტიქიას კლიმატის გლობალურ ცვლილებებს უკავშირებენ.*

ნანა ნასყიდაშვილი

სტიქიურმა უბედურებამ, რომელიც ევროპაში მძვინვარებს, განსაკუთრებით დიდი ზარალი შვეიცარიას მოუტანა. მთავარი დარტყმა ქარიშხალმა კონფედერაციის სამხრეთ ნაწილს მიაყენა, სადაც ქარის სიჩქარემ საათში 120 კილომეტრს მიაღწია. სტოკჰოლმის რადიოს მიერ გავრცელებული ცნობებით, ქარიშხალმა 7 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ქალაქ გეტებორგის სამხრეთ და აღმოსავლეთ საგზაო-სარკინიზო მაგისტრალებზე მოძრაობა დროებით შეჩერდა. ძლიერმა ქარმა დააზიანა საცხოვრებელი სახლებიც. 405 ათასზე მეტი შენობა ელექტროენერგიის გარეშე დარჩა. ხელისუფლება იძულებული გახდა, სტიქიის გამო შაბათს ორი ატომური რეაქტორის მუშაობა შეეჩერებინა.

დანიაში ქარიშხალმა ოთხი ადამიანი შეიწირა. ორი მათგანი საკუთარ ავტომობილში დაიღუპა, ხოლო დანარჩენი ორი კი ქარის მიერ მოწყვეტილმა სახურავმა იმსხვერპლა.

რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, აქ არასასიამოვნო საათების გატარება მოუხდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობას, რომელსაც სტიქია ჯერ კიდევ შაბათს დაატყდა თავს. ტრაგედიის ცენტრი ქალაქი კარლაილი გახდა, რომელიც, ფაქტობრივად, გარესამყაროსაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. ჯერჯერობით დაუზუსტებელია მსხვერპლის რაოდენობა, თუმცა ათეულობით ადამიანი უკვე დაღუპულად და უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება. ასეთი მასშტაბის წყალდიდობა ინგლისში 1968 წლის შემდეგ არ მომხდარა. 1968 წელს კარლაილში ელექტროენერგიის გარეშე 70 ათასი შენობა დარჩა. ეს მაშინ ნაციონალურ კატასტროფად აღიქმებოდა. ახლა კი წყლის დონე ერთი მეტრით მაღალი იყო.

სეზონური წვიმები და ქარიშხლები ინგლისში ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სტიქიის მასშტაბებმა მინისტრთა კაბინეტის სერიოზული შეშფოთება გამოიწვია. ისინი ყველაფერს ბუნებაში მიმდინარე გლობალურ ცვლილებებს უკავშირებენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა მთელი გასული წლის მანძილზე სამთავრობო დონეზე განიხილებოდა. რაც შეეხება რიგით მოქალაქეებს, ისინი ირწმუნებიან, რომ ამ სტიქიის მსგავსი ცხოვრებაში ჯერ არაფერი უნახავთ.

ესტონეთში ევაკუირებულია სანაპირო ზოლის მოსახლეობა. პარნაში წყალმა ქალაქის ცენტრამდეც კი მიაღწია. პარალიზებულია 500-მდე ქვეელექტროსადგური. საცხოვრებელი სახლების ნაწილი მეორე სართულამდეა დატბორილი. მსგავსი სურათია ესტონეთის სხვა სანაპირო რაიონებშიც. ლატვიაში კი, სინოპტიკოსთა თქმით, ეს ქარიშხალი ქვეყნის ისტორიის უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი იყო. სტიქიით გამოწვეულ საფრთხესთან დაკავშირებით, რიგაში გაიმართა მთავრობის საგანგებო სხდომა, რომელმაც ქვეყანაში ენერგოკრიზისი გამოაცხადა. ორი დღით დაიხურა სკოლები და საბავშვო ბაღები. სამხედროებს ნანგრევებისგან ქუჩებისა და გზების გაწმენდა დაევალათ.

სტიქიისაგან თავდაცვის მიზნით საგანგებო ზომებს უკვე რუსეთშიც იღებენ. პეტერბურგში წყლის დონემ 2 მეტრით და 30 სანტიმეტრით მოიმატა. ეს კრიტიკული ზღვარია, რის შემდეგაც ქალაქის დატბორვა იწყება. მდინარე ნევის მახლობლად უკვე მეტროპოლიტენის 5 სადგური დაიხურა. თუმცა, მდგომარეობა კრიტიკული ჯერ მაინც არ არის. მოსკოვში კი ქარის გაძლიერებას ელოდებიან, რისთვისაც გაამაგრეს სარეკლამო აბრები და სხვა სახის მაღალი კონსტრუქციები.

# "ავერსს" ქართული ხარისხის ნიშანი მიანიჭეს

ქვეყანაში ბიზნესი ნელა, მაგრამ მაინც ვითარდება. მწვავე კრიზისის ხანა უკან მოვიტოვეთ, სტაბილური ეკონომიკისა და ინფრასტუქტურის ჩამოყალიბება კი ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად გვესახება. ამ სფეროში წარმატების მიღწევა არც ისე ძნელია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. უბრალოდ, საჭიროა შესაბამისი კურსისა და ბერკეტების შემუშავება.

იაპონიამ, რომელიც დღეს ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით ელიტას წარმოადგენს მთელ მსოფლიოში, იგივე გზა განვლო. მხოლოდ ამ ქვეყნის მცირე, მსხვილი თუ უმსხვილესი ბიზნესის წარმომადგენლები იმთავითვე ხარისხზე იყვნენ ორიენტირებულნი. ხარისხის მენეჯმენტის სწორად წარმართვა კი, როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, წარმატების ნახევარია.

საქართველოში უკვე ორი წელია, არსებობს არასამთავრობო, არაკომერციული ფონდი "ქართული ხარისხი", რომელიც წამყვან, ღირსეულ კომპანიებს საქართველოში ხარისხის ნიშნის მქონე სერთიფიკატებს გადასცემს. ფონდის მიზანია, მესამე, დამოუკიდებელი მხარის მიერ წარმატებული, ხარისხიანი ბიზნეს საქმიანობის აღიარება და დემონსტრირება. იგი საერთაშორისო სტანდარტებზეა დაფუძნებული. ხარისხის მაჩვენებელთა განსაზღვრა ხდება ევროპაში აპრობირებული მეთოდებით, რომლებსაც ფართოდ იყენებენ გაერთიანებულ სამეფოში. ახლა უკვე რუსეთში და უკრაინაში.

სულ ცოტა ხნის წინ კომპანია "ავერსი-ფარმა" ქართული ხარისხის ნიშნის მფლობელი გახდა.

ჯერ კიდევ კონტრაქტის გაფორმებამდე, "ავერსის" აფთიაქებში ფონდის მესვეურებმა, მეცნიერებმა თუ დარგის სპეციალისტებმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე ჩაატარეს შემოწმებები. "თავიდანვე გამორიცხული იყო, რომ "ავერსის" აფთიაქებში უხარისხო პროდუქტს აღმოვაჩენდით, მაგრამ ჩვენ მაინც დავიზღვიეთ თავი" - ამბობს გრიგოლ კუნჭულია, ფონდის პრეზიდენტი. - "თავდაპირველად, ისე, რომ "ავერსის" თანამშრომლებმა არაფერი იცოდნენ, შევისწავლეთ კომპანიის აფთიაქები. ამისთვის სამომხმარებლო იმიტაციის გათამაშებაც კი დაგვჭირდა. შემდგომ ეტაპზე კი დეტალურად შევისწავლეთ საწყობების მდგომარეობა. ამის შემდეგ ჩამოვაყალიბეთ პროგრამა, რის მიხედვითაც დადგინდა კომპანიის ხარისხის ნიშანი".

აღნიშნული პროგრამა მრავალ მოთხოვნას ითვალისწინებს. ძირითადი კი მაინც ის გახლავთ, რომ აფთიაქში მაღალკვალიფიციური პერსონალი უნდა მუშაობდეს, რომელიც შეძლებს მომხმარებელს მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ამა თუ იმ მედიკამენტის შესახებ. პროგრამის მიხედვით უდიდესი ყურადღება ექცევა ფარმაცევტების დამოკიდებულებას მომხმარებლის მიმართ - აუცილებელია მომსახურებისას თანაგრძნობის გამოხატვა და, რაც მთავარია, პროგრამის უმკაცრესი მოთხოვნა გახლავთ წამლის შენახვის პირობებისა და სანიტარიული ნორმების მაქსიმალური დაცვა.

პროგრამის ფარგლებში მრავალჯერ შემოწმდა სარეალიზაციო დარბაზების საერთო მდგომარეობაც - როგორ ხდება ანგარიშსწორება, წესრიგში არის თუ არა მომსახურე პერსონალი, მათი საფირმო ტანსაცმელი, ზოგადად ინტერიერი....

- "ავერსი-ფარმამ" პროგრამის ყველა კრიტერიუმი და მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა - ეს იმ კვალიფიციური ჯგუფის ობიექტური შეფასებაა, რომელმაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში სერიოზული მუშაობა ჩაატარა. შესანიშნავად გვესმის, რამხელა პასუხისმგებლობას ვიღებთ, როდესაც ამა თუ იმ კომპანიას ხარისხის ნიშანს ვანიჭებთ. ამიტომაც კვლევის ხანგრძლივ პროცესს უკიდურესად სერიოზულად ვეკიდებით. ჩვენ არასოდეს შემოვიფარგლებით მხოლოდ ზედაპირული შემოწმებებით", - გვითხრა ფონდის პრეზიდენტმა.

ფონდი ქართული ხარისხის მფლობელ კომპანიაში პერიოდულად კვლავაც ჩაატარებს მონიტორინგს, შემოწმდება ახალი პრეპარატების ხარისხიც და გადამოწმდება მომსახურების დონე. თუმცა გრიგოლ კუნჭულია დარწმუნებულია, რომ სტაბილურად მზარდი კომპანია "ავერსი-ფარმა" მომავალშიც მხოლოდ საუკეთესო შედეგებს აჩვენებს და ქვეყნის ეკონომიკურ აღმშენებლობაში უდიდეს წვლილს შეიტანს.

სოფო ხუციშვილი




## ორი სიტყვით

**სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია.** დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯეკ სტროსთან შეხვედრისას, მისმა ინდონეზიელმა კოლეგამ ჰასან ვირიუდამ განაცხადა, რომელიც ცუნამის შედეგად განადგურებული რაიონების აღდგენას ეხებოდა. მინისტრის თქმით, აღდგენით სამუშაოებს დაახლოებით 10 წელი დასჭირდება, თუმცა, ამჟამად პირველად აუცილებლობას კატასტროფის მსხვერპლთა მოთხოვნების სასწრაფოდ დაკმაყოფილება წარმოადგენს. ადგილობრივი ხელისუფლების შეფასებას ემთხვევა გაერო-ს მიერ მომზადებული შეფასებაც აღდგენით სამუშაოებთან დაკავშირებით. დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ მის ქვეყანაში უკვე შეგროვებულია დაახლოებით 150 მლნ ფუნტი სტერლინგი (დაახლოებით 300 მლნ აშშ დოლარი), რომელიც სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთ გადაეგზავნება. "უმთავრესი ამოცანა ამ მომენტისათვის იმ არხების გამოძებნაა, რომლის მეშვეობითაც უსწრაფესად მიეწოდებათ ეს თანხა დაზარალებულებს," - განაცხადა ჯეკ სტრომ. **რია-ნოვოსტი**

■ ■ ■

**სერბეთი.** პრეშევოს სერბულ ნაწილში მცხოვრებმა ათასობით ალბანელმა მაკედონიის მოსაზღვრე რაიონებში საერთაშორისო შეიარაღებული ძალების შეყვანის მოთხოვნით საპროტესტო მიტინგი გამართა. ბელგრადის სააგენტოს "ბეტა"-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საპროტესტო აქციების მიზეზად გასულ შაბათს სერბი მესაზღვრეების მიერ მცირეწლოვანი ალბანელისათვის, რომელიც სერბეთ-მაკედონიის საზღვრის არალეგალურ გადაკვეთას ცდილობდა, სასიკვდილო ჭრილობის მიყენება იქცა. უბედური შემთხვევის კომენტირებისას სერბეთისა და ჩერნოგორიის თავდაცვის მინისტრმა პრვოსლავ დავინიჩმა განაცხადა, რომ მესაზღვრეები სამხედრო წესდების შესაბამისად მოქმედებდნენ, თუმცა ინციდენტი გამოუძიებელი მაინც არ დარჩება. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით შაბათს შეწყვეტილი საგანგებო სხდომა საკანონმდებლო ორგანოში გუშინ განახლდა, სადაც დეპუტატებმა მაკედონიის მოსაზღვრე რაიონებში საერთაშორისო სამხედრო და საპოლიციო ძალების შეყვანა მოითხოვეს. **რია-ნოვოსტი**

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას

საქართველოს ყოფილი ხელისუფლებისა და რუსეთის დანაშაულებრივი პოლიტიკის გამო, აფხაზეთის მოსახლეობა აღმოჩნდა ჩათრეული საომარ მოქმედებებში, რომლის შედეგად აფხაზეთიდან გამოდევნილი ქართველები, უკვე 12 წელზე მეტია, ვერ ბრუნდებიან მშობლიურ ადგილებში, სადაც მათ ელოდებიან წინაპართა უმეთვალყურეოდ მიტოვებული საფლავები.

დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე უმთავრესი და გადამწყვეტი არის მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაბრუნება და საქართველოს იურისდიქციის გავრცელება-გამყარება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

დევნილი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, საქართველოს უკეთესი მომავლის იმედით, აქტიურად მონაწილეობდა "ვარდების რევოლუციაში" და უპირობოდ მხარი დაუჭირა ბატონი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევას.

ჩვენ სამართლიანად გაგვიჩნდა რწმენა, რომ ნიჭით, პროფესიონალიზმით, შეუპოვრობით, ახალგაზრდული ენერგიით აღსავსე პრეზიდენტი მართლაც აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ამ ურთულესი პრობლემის მოგვარების გზაზე განსაკუთრებით მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე.

ჩვენთვის გასაგებია ისიც, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის გასაღები ქართული და აფხაზური მხარეების ურთიერთშეთანხმებაშია.

უეჭველია, რომ სახალხო დიპლომატიას დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ქართულ-აფხაზური პრობლემის მოგვარების გადამწყვეტ ფაქტორად ქვეყნის ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა მიგვაჩნია.

აფხაზეთის ქართული მოსახლეობა, რომელიც არაერთხელ აღმოჩენილა "განტევების ვაცის" მდგომარეობაში თბილისსა და სოხუმს შორის დადებული შეთანხმებების შედეგად, დარწმუნებულია საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების დემოკრატიული, თანასწორუფლებიანი პრინციპებისადმი ერთგულებაში.

ჩვენ, დევნილი საზოგადოების არასამთავრობო ორგანიზაციები, სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მოგიწოდებთ, ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში გაითვალისწინოთ შემდეგი მოთხოვნები:

1. ცენტრალურმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა და აფხაზთა პირდაპირ, ფართო დიალოგს სახალხო დიპლომატიის სახით.

2. განხორციელდეს ერთობლივი, მხოლოდ ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური პროექტები.

3. საქართველოს ხელისუფლების მიერ აფხაზური მხარისათვის შეთავაზებულ კონცეფციაში, აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული აფხაზეთის მკვიდრ ქართველთა პოლიტიკური და სოციალური ინტერესები.

4. მომავალში აფხაზეთში ნორმალური სიტუაციის მდგრადობის შენარჩუნების მიზნით, ზემოთ აღნიშნული კონცეფცია ერთნაირად უნდა იყოს მისაღები როგორც აფხაზებისათვის, ასევე - აფხაზეთის მკვიდრი ქართველებისათვის.

**თემურ ჩილაჩავა** - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პრორექტორი, პროფესორი

**გოდერძი მელაძე** - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დეკანი, პროფესორი

**ზურაბ ლომთათიძე** - აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი

**მალხაზ ღვინჯილია** - აფხაზეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის თავმჯდომარე, დოცენტი

**ბორის კვარაცხელია** - საზოგადოებრივი კავშირი "გულრიფშელი", პროფესორი

**ზურაბ ჭედია** - აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

**ლალი გაბისონია** - სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, დოცენტი

**ჯონი აფაქიძე** - არქეოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი

**მურმან ყოლბაია** - საზოგადოებრივი კავშირი "სამურზაყანო"

**დავით როგავა** - დევნილთა უფლებებისა და სოციალური რეაბილიტაციის ასოციაცია - "წყნეთი"

**გიორგი კაკულია** - "მშვიდობისა და განვითარების აკადემიის" პრეზიდენტი

**შოთა ახალაია** - მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი

**ალექსანდრე მიმინოშვილი** - ფიზიკის ფაკულტეტის დეკანი, დოცენტი

**ვახტანგ ცხადაია** - მათემატიკური ანალიზის კათედრის გამგე, დოცენტი

**პაატა ბუაძე** - თსუ სოხუმის ფილიალის სტუდენტთა თვითმმართველობის კავშირის თავმჯდომარე

**ჯამბულ ანჩაბაძე** - საქართველოს ისტორიის კათედრის დოცენტი

# პარალელები წარსულთან

ნანა ქადაგიშვილი

*ნუცუბიძის №14-ა-ში მრავალსართულიანი სახლის მშენებლობა მეზობლებმა დაწყებისთანავე გააპროტესტეს და ქალაქის მერიაში სამი საჩივარი შეიტანეს. არქიტექტურისა და სივრცითი განვითარების სამსახურმა (ამჟამად ურბანული დაგეგმარების სამსახური) მშენებლობის შეჩერება რამდენჯერმე სცადა, მომჩივანებს სათანადო ზომების მიღებას ქალაქის მერიც შეჰპირდა, მაგრამ მშენებლობა დღესაც გრძელდება.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*"მერი და არქიტექტურის სამსახური მრავალსართულიანი სახლის მშენებლობის შეჩერებას რამდენჯერმე შეგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა", - ჩივის მოსახლეობა.*

ნუცუბიძის №14-ში მშენებარე სახლის ამბავმა ერთ დროს შოთა ყავლაშვილის (ქალაქის ყოფილი, ცნობილი მთავარი არქიტექტორი საბჭოთა პერიოდში) პროექტით აშენებული "ლაღიძის წყლების" შენობის ისტორია გაგვახსენა. თბილისის ყოფილი მერი და მაშინდელი მთავარი არქიტექტორი ირაკლი როსტომაშვილი თავგამოდებით ცდილობდნენ (ყოველ შემთხვევაში, ჟურნალისტებთან ასეთ პოზიციას აფიქსირებდნენ) ამ შენობის "რეკონსტრუქციის" შეჩერებას, მაგრამ მშენებლობა შეუფერხებლად დასრულდა და დღეს ყოფილ "ლაღიძის წყლებს" ყავლაშვილისეული ხელი აღარ ეტყობა.

ჯერჯერობით იგივე მდგომარეობაა ნუცუბიძის №14-შიც. **"13-სართულიანი სახლი ჩვენს ოთხსართულიან ავარიულ სახლებს მთლად დაჩრდილავს. ამის გარდა, თვითონ არქიტექტორები აცხადებენ, რომ სიმჭიდროვის კოეფიციენტი დარღვეულია და ასეთ ვიწრო ფართობზე ამხელა შენობის აშენება არ შეიძლება. მერიაში უკვე სამი საჩივარი გავაგზავნეთ. მერი და არქიტექტურის სამსახური მშენებლობის შეჩერებას რამდენჯერმე შეგვპირდნენ, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა"**, - ჩივის მოსახლეობა.

აღნიშნული სახლის მშენებლობა (ჯერჯერობით, ხუთი სართულია აშენებული, მაგრამ 13-სართულიანი სახლის აშენება იგეგმება) შპს "ბაბუმ" გასული წლის მარტში დაიწყო. "ბაბუს" ხელმძღვანელობას მშენებლობისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი (მათ შორის, ინსოლაციის პროექტიც) ხელთ აქვს. პროექტმა სახელმწიფო ექსპერტიზაც კი გაიარა. **"დანარჩენი სახლებიდან ჩვენი შენობა 30 მეტრით არის დაშორებული. ყველა დოკუმენტი გვაქვს, არქიტექტურის სამსახურის ახალ ხელმძღვანელობას რა უფლება აქვს, სახელმწიფო ექსპერტიზაგავლილი პროექტი უკანონოდ გამოაცხადოს. მოსახლეობას მიხედონ, ნუცუბიძეზე ღორები რომ ჰყავთ მოშენებული"**, - ჭკუას არიგებს "ბაბუს" დამაარსებელი ჯამბულ ბახტაძე არქიტექტურის სამსახურის უფროსობას. თუმცა, ამ უკანასკნელს სახელმწიფო ექსპერტიზაგავლილ პროექტში ხარვეზების აღმოჩენა არ გასჭირვებია. 2004 წლის ნოემბერში, სამსამხურის ხელმძღვანელობის მოთხოვნით, ნუცუბის №14-ა-ში მრავალსართულიანი სახლის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის კანონიერების შესასწავლად სპეციალური კომისია შეიქმნა. **"მშენებლობის ნებართვა უკანონოდ არის გაცემული, რადგან პროექტში დარღვეულია სიმჭიდროვის განმსაზღვრელი k1, k2 კოეფიციენტები და მიშენების ფართი"**, - აცხადებს, კომისიის დასკვნის საფუძველზე, სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან ლომინაშვილი.

დარღვევების აღმოჩენის შემდეგ არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელობამ აღნიშნული სახლის მშენებლობის შეჩერება რამდენჯერმე სცადა. პირველი ცდა უშედეგოდ იმიტომ დასრულდა, რომ "ბაბუმ" ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში საჩელი შეიტანა და მშენებლობის გაგრძელება მოითხოვა. **"სანამ სასამართლო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, არქიტექტურის სამსახური ვერაფერს გააკეთებს. თუმცა, არქმშენინსპექციას მივწერეთ, მშენებლობა შეეჩერებინა. მას აქვს უფლება, მშენებლობა სასამართლოს მსვლელობის დროსაც შეაჩეროს, მაგრამ არქმშენმა ეს უფლება არ გამოიყენა"**, - აცხადებს ლომინაშვილი.

მართალია, რაიონულ სასამართლოს, "ბაბუს" მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე, გადაწყვეტილება ჯერ არ გამოუტანია, მაგრამ არქიტექტურის სამსახურმა მშენებლობის შეჩერება მეორედაც სცადა. **"ახლახან საქმეში ძალოვანი სტრუქტურები ჩავრიეთ და მშენებლობა შევაჩერეთ, მაგრამ შეგვატყობინეს, რომ ისევ გრძელდება"**, - აცხადებს ლომინაშვილი და მესამე ცდისთვის ემზადება. სხვათა შორის, მოსახლეობისთვის მიცემული პირობა არც ქალაქის მერს დავიწყებია. როგორც ჩანს, არქმშენინსპექცია სათანადოდ არ მუშაობს, თვითონ მივალ ობიექტზე და ყველაფერს მოვაგვარებო, - დაპირებას იმეორებს ჭიაბერაშვილი. არქმშენინსპექციის ხელმძღვანელობა თავს იმით იმართლებს, რომ ნუცუბიძის №14-ში მშენებარე სახლის პროექტს სახელმწიფო ექსპერტიზა აქვს გავლილი და არც ერთ ინსტანციას, სასამართლოს ნებართვის გარეშე, ასეთი პროექტის რევიზიის უფლება არ აქვს.

ასე რომ, ნუცუბიძის №14-ა-ში მშენებარე სახლის ისტორიამ წარსული ტყუილად არ გაგვახსენა. თუმცა, საბოლოო დასკვნის გამოტანა ჯერ კიდევ ადრეა.

სასკოლო ინოვაცია

# ათი წელი ჯან ციანიდან "ბაქტრიანამდე"

დალი კუპრავა

49-ე სკოლის გეოგრაფიული კლუბი "მირაჟი" ათი წლის გახდა. კლუბი დღეს უკვე მირაჟი კი არა სკოლის აქტიური რეალობაა, თუმცა სახელი ძველი დარჩა. მაშინ კი, ათი წლის წინ მეხუთე კლასის მოსწავლეებმა და გეოგრაფიის მასწავლებელმა დავით გოგელიძემ სახელი შეგნებულად დაარქვეს, - გაამართლებსო. რეალურადაც, უდაბნოში როცა მოგწყურდება, ჯერ მირაჟად გეჩვენება, მაგრამ ბოლოს ოაზისსაც წააწყდები და წყურვილსაც დაიკმაყოფილებ.

49-ე სკოლა, ბარნოვის ათ ნომერში ერთ-ერთია ე.წ. გერმანული სკოლებიდან. თავიდან, როცა გერმანული სკოლა დაიყო და ქალაქის სხვადასხვა ქუჩაზე განლაგდა, ის ქართული დაწყებითი სკოლა-ოთხწლედი იყო და, სკოლის დამაარსებლების ჩანაფიქრით, მეხუთე კლასიდან მოსწავლეები პეტრიაშვილის ქუჩაზე, გიმნაზიაში აგრძელებდნენ სწავლას - ანუ ხორციელდებოდა სასკოლო სწავლების გერმანული სისტემა. რამდენიმე წელიწადში ნათელი გახდა, რომ არეულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაში ეს სისტემა ჯერ ვერ გაამართლებდა და ოთხწლედი საშუალო სკოლად გადაკეთდა. სკოლამ საკუთარი პროგრამა შეიმუშავა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გეოგრაფიის სწავლებას. ის უნდა დაწყებულიყო "ადრიანად" , მეხუთე კლასიდან და ისე, რომ მოსწავლეებში, "ჯოხის და რუკის" გეოგრაფიის საგნის ნაცვლად, გამჯდარიყო საკუთარი საცხოვრებლის - დედამიწის ცოდნის სურვილი. დავით გოგელიძემ მსოფლიოო მოგზაურებით დაიწყო და მოსწავლეებმაც დაიწყეს მოგზაურობა გეოგრაფიის სამყაროში, რომელიც, უკვე ათი წელია, გრძელდება.

პირველი გეოგრაფიული ვიქტორინა 1994 წლის 28 დეკემბერს გაიმართა. ყველას ახსოვს ის აზარტი, ინტერესი და მხიარულება, რაც იმ "თამაშს" მოჰყვა. ამის შემდეგ ყოველ სასწავლო წელს იმართება ვიქტორინები; მიმდინარე - კლასებს შორის, და ბოლოს ფინალური. სკოლაში იხსენებენ, რომ კლუბის ემბლემა ლაშა კიკალეიშვილმა დახატა, გარდამავალი პრიზი, აფრებიანი გემი დათო მასმა რაჭაში გამოთალა ხისგან. მშობლები და მასწავლებლები, ვინც ვიქტორინებს ესწრებოდა, მოსწავლეების ცოდნით აღფრთოვანებული იყვნენ, მოსწავლეები კი სიხარულით და დიდი ინტერესით სწავლობდნენ. მერე დათო მასწავლებელმა ბიჭები ფეხბურთის ჯერ სასკოლო და შემდეგ ვერის უბნის და ქალაქის ჩემპიონატში ჩააბა.

სკოლაში გეოგრაფიის მეორე მასწავლებელი ეთერ ნებიერიძე მოვიდა და ისიც აქტიურად შეუერთდა გეოგრაფიულ დინამიკას. კლუბი სისტემატურად აწყობს ლაშქრობებს საქართველოს მასშტაბით, იკვლევენ გარემოს და მონაწილეობენ "იუნესკოს" სემინარებში. გეოგრაფიულ კლუბ "მირაჟს" მოგზაურთა კლუბი "ბაქტრიანიც" დაემატა.

2004 წლის 28 დეკემბერს 49- ე სკოლამ თავისი საიუბილეო ვიქტორინა გამართა. კლუბის პიონერები და დღეს უკვე ვეტერანები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მესამე კურსის სტუდენტები არიან. მათ მიჰყავდათ საიუბილეო ვიქტორინა და იხსენებდნენ მაშინდელ საკუთარ სერიოზულ და ინტერესიან განწყობას. იმ დღეს "ირმის ნახტომი", "ტორნადო", "ზესხო", "დისქავერი" და სხვა გუნდები "თამაშობდნენ". ჟიურიმ გამარჯვებული გუნდები და საუკეთესო მოთამაშეებიც დაასახელა და დააჯილდოვა. ეთერ ნებიერიძემ ვიქტორინისთვის სპონსორებიც მოიზიდა - ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, რომელმაც წიგნებით დააჯილდოვა გამარჯვებულები და სამომავლოდ სკოლაში წიგნის დღის მოწყობას და თანამედროვე მწერლებთან შეხვედრას დაჰპირდა; "ჯეოსელმა" მოსწავლეებს კეპები და ზურგჩანთები დაურიგა; განსაკუთრებით აღინიშნა WWF- ის მონაწილეობა ღონისძიებაში - ისინი სპონსორობას როდი დასჯერდნენ, სკოლას თანამშრომლობა შესთავაზეს და, როცა დაწვრილებით შეიტყვეს კლუბის საქმიანობის შესახებ, მოსწავლეები ზაფხულში ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალის შემსწავლელ ჯგუფშიც მიიწვიეს.

მოკლედ

## დახმარება ჩეჩენი ლტოლვილებისთვის

დღეს პანკისის ხეობაში მცხოვრებმა ჩეჩენმა ლტოლვილებმა ჰუმანიტარული დახმარების სახით ფქვილი, შაქარი, ლობიო, ტანსაცმელი და ტკბილეული მიიღეს. ჰუმანიტარული ტვირთი პანკისში "კავშირი - ნაციონალური ლობის", ტვერელის სახელობის ეკლესიის და "ღვთისმსახურთა და ერისკაცთა კავკასიის მშვიდობის კავშირის" ინიციატივით ჩაიტანეს. ტვერელის სახელობის ეკლესიის მრევლის მიერ შეგროვებული შემოწირულობის ჩეჩენი ლტოლვილებისთვის განაწილების პროცესს, მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, თბილისის ჯუმა-მეჩეთის იმამი იასინ ალიევიც ესწრებოდა. "კავკასიის ხალხები ერთიანი და მტკიცე უნდა იყვნენ როგორც ეროვნული, ასევე რელიგიური თვალსაზრისითაც. მართლმადიდებლები და მუსლიმანები ერთმანეთის ძმები არიან, სარწმუნოებრივი განსხვავება სიკეთის კეთებას ხელს არ უნდა უშლიდეს," - აცხადებდნენ ორივე რელიგიის წარმომადგენლები. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, დღესვე სოფელ ჯოყოლოს მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიას საჩუქრად ხატები გადაეცა. **ინტერ-პრესი**

## მორგი თხოვნა პრეზიდენტს

თბილისში, კოლმეურნეობის მოედანზე მდებარე აგრარული ბაზრის მოვაჭრეები საქართველოს პრეზიდენტს დახმარების თხოვნით მიმართავენ. მათი განცხადებით, ბაზრის დირექცია 300-მდე მოვაჭრეს იანვრის ბოლომდე ადგილების დატოვებას აიძულებს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ბაზრიდან მათ გამოძევებას სპეცრაზმის დახმარებით აპირებს. უკმაყოფილო თანამშრომლები დღეს "საქართველოს ლეიბორისტული პარტიის" ცენტრალურ ოფისში გამართავენ პრესკონფერენციას, სადაც პრეზიდენტის სახელზე მიღებულ სპეციალურ მიმართვას წაიკითხავენ. **ინტერ-პრესი**

## იტალია ჯანმრთელი ცხოვრების წესს ამკვიდრებს

იტალიაში დღეს ძალაში შევიდა კანონი, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში - ოფისებში, ბარებსა და რესტორნებში, თამბაქოს მოწევას კრძალავს. მოწევა მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ, ჰაერის გამწმენდი მოწყობილობით აღჭურვილ ოთახებშია ნებადართული. კანონის დამრღვევებისთვის 25-დან 250-ევრომდე ჯარიმაა დაწესებული. თუ რესტორანში მოწევის ამკრძალავი ფირფიტა არ არის, ან მეპატრონის უყურადღებობით ვინმე სიგარეტს მოუკიდებს, მფლობელს შესაძლოა ლიცენზია ჩამოართვან, ან 2000 ევროთი დააჯარიმონ. როგორც ჩანს, აპენინის ნახევარკუნძულზე სერიოზულად გადაწყვიტეს, ბოლო მოუღონ მავნე ჩვევას. იტალიის მთავრობას ვატიკანმაც მიბაძა - დღეიდან თამბაქოს მოწევა ქალაქ-სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, ღია ცის ქვეშაც კი აიკრძალა. **ინტერ-პრესი**

**ფონდი "ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანსიებზე:**

1. **დოკუმენტური ფილმების პროდიუსერი**
2. **დოკუმენტური ფილმების რეჟისორი**
3. **ოპერატორ/მემონტაჟე**
4. **ტელე-ჟურნალისტი**
5. **რადიო ჟურნალისტი**
6. **ვებ-მასტერი**

კონკურსანტებმა უნდა წარადგინონ:
- რეზიუმე
- მოტივაციის წერილი
- კასეტაზე ჩაწერილი ნამუშევრები

განცხადებების მიღების ბოლო დღეა 20 იანვარი.
განცხადებები მიიღება შემდეგ მისამართზე: პაოლო იაშვილის ქუჩა N14/22, თბილისი, 0105. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს საიტზე: http://www.internews.ge
ტელ: 92-33-95/96/97

# თარჯიმანი

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტის ფარგლებში და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს თარჯიმნის თანამდებობის დასაკავებლად. თარჯიმანი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების მშენებლობის პროექტის კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს დახასიათება:**

**მოვალეობები და პასუხისმგებლობა:**
თარჯიმნის მოვალეობები მოიცავს, თუმცა არ იფარგლება შემდეგით:
- ზეპირი თარგმნა შეხვედრების, დისკუსიების და სხვა ღონისძიებების დროს;
- შემომავალი და გამავალი წერილების, სტატიების და სხვადასხვა სახის დოკუმენტების თარგმა;
- თარგმნილი დოკუმენტების კორექტირება;
- ნებისმიერი სხვა დახმარების აღმოჩენა პროექტით დაწესებული ვადების შესრულების მიზნით;
- ყოველდღიური კორესპონდენციის თარგმნა დაწესებულ ვადებში;
- თარგმნილი დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის წარმოება და გამოყენება;
- საჭიროებისამებრ სხვა მოვალეობების შესრულება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:
- ინგლისური და რუსული ენების თავისუფლად ფლობა;
- საერთაშორისო კომპანიაში თარჯიმნად მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება;
- უმაღლესი განათლების დიპლომი შესაბამის დარგში, ენების გაძლიერებული სწავლებით;
- კომპიუტერთან მუშაობის სრულყოფილი უნარ-ჩვევები;
- პრიორიტეტების დაგეგმვის და ორგანიზების შესანიშნავი უნარი გამომდინარე იქიდან, რომ სათარგმნი მასალები შეიძლება სხვადასხვა ტიპის კლიენტებისგან შემოვიდეს;
- მრავალეროვან გარემოში ადაპტაციის უნარი;
- გუნდური მუშაობის გამოცდილება.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**
თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **ორშაბათი, 2005 წლის 17 იანვარი.**

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების დეპარტამენტი**
"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"
BP ჯორჯია
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38

# იუსტიციის მინისტრს თითის ანაბეჭდები პატიმრებთან ერთად აუღეს

*გუშინ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტებმა პატიმრებისთვის თითის ანაბეჭდების აღების პროცესი თბილისის N 1 საპყრობილეში განაახლეს.*

თითის ანაბეჭდების ბანკი, რომელიც 2001 წელს საქართველოს ხელისუფლებასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნება, ერთადერთი იქნება პოსტსაბჭოთა სივრცეში. სწორედ მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე დაიწყო საერთაშორისო კრიმინალური გამოძიების წვრთნისა და დახმარების პროგრამა (ICITAP), რომლის მიზანია საქართველოში ცენტრალიზებული, საერთაშორისო სტანდარტების მქონე სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულების შექმნა. დღეს უკვე გადაწყვეტილია, რომ თითის ანაბეჭდების ექსპერტიზის ბიურო იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შემადგენლობაში შევა და ორიოდ წლის წინ დაწყებულ პროცესს - თითის ანაბეჭდების ბანკის შესაქმნელად თითის ანაბეჭდების აღებას გააგრძელებს.

ბანკის მნიშვნელობაზე მარტო ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდება თითის ანაბეჭდის მიხედვით პიროვნების 15 წუთში იდენტიფიცირება. შესაბამისად, იგი ყველაზე დიდ დახმარებას საგამოძიებო ორგანოებს გაუწევს და გამოძიების კვალიფიციურად წარმართვას შეუწყობს ხელს. თუმცა, როგორც ამბობენ, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნება დაცვის მხარისთვისაც, რადგან მტკიცებულებების მოპოვებას გააადვილებს.

თითის ანაბეჭდების ბანკის შექმნის ერთი ეტაპი უკვე დასრულებულია. ქართველ სპეციალისტებს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ექსპერტებმა სხვადასხვა სახის სემინარ-ტრენინგები ჩაუტარეს, უკვე არსებობს 1000-მდე პატიმრის თითის ანაბეჭდების შემცველი დაქტილოსკოპიური ბარათებიც. თუმცა, წამოწყებული საქმე თავის დროზე შეჩერდა - საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას დიდი ინტერესი ამ წამოწყების მიმართ არ გამოუჩენია.

როგორც სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი ლევან სამხარაული ამბობს: **"თითის ანაბეჭდების ბანკის შექმნაზე მუშაობა სამი წლის წინათ დაიწყო - იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი აღჭურვილობა გადაეცა და ექსპერტები მომზადდა, თუმცა პროექტი, დაუფინანსებლობის გამო, შეჩერებული იყო. მის გასანახლებლად სახსრები ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ საქართველოს პრეზიდენტის ფონდიდან მიიღო."**



*იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი საკუთარი ინიციატივით, პირველი სახელმწიფო მოხელე გახდა, რომელმაც თითის ანაბეჭდი აიღო.*

დაფინანსების მიღების შემდეგ თითის ანაბეჭდების აღების პროცესი კვლავ საპატიმრო ადგილებში განახლდა. გუშინ ამ პროცედურის ჩატარებას თბილისის №1 საპყრობილეში პირადად ადევნებდა თვალს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი. მეტიც, ის საკუთარი ინიციატივით, პირველი სახელმწიფო მოხელე გახდა, რომელმაც თითის ანაბეჭდი აიღო.

გიორგი პაპუაშვილის თქმით, თითის ანაბეჭდებს 7000-ზე მეტი პატიმრისაგან აიღებენ და ეს პროცესი, დაახლოებით, ხუთ თვეში დასრულდება. შემდეგში დაგეგმილია საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლებისა და საჯარო სამსახურის თანამშრომლებისაგან თითის ანაბეჭდების აღება. გამორიცხული არ არის, რომ საჯარო მოხელეთათვის ეს პროცედურა სავალდებულოდ იქცეს, ისევე, როგორც ნარკოლოგიური შემოწმება.

**"თუ პოლიტიკური ნება იქნება, თითის ანაბეჭდებს საქართველოს ყველა მოქალაქისაგან ავიღებთ, ამის ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს,"** - აღნიშნა მინისტრმა.

*24 საათი*

# გარდაცვლილის მამა შველას ითხოვს

*ზუსტად ერთი თვის წინ, თელავის რაიონში საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 16 წლის ბექა ჩიდრაშვილი მისმა თანატოლმა, ამავე რაიონის მკვიდრმა, გიორგი პირადაშვილმა საკუთარი მანქანით გაიტანა. მომხდართან დაკავშირებით მასალების მოკვლევას თელავის რაიონული პროკურატურა აწარმოებს. დაზარალებულის ოჯახის წევრების განცხადებით კი, ძალოვნებს ამ საქმის მიჩქმალვა სურთ, რადგან მომხდარის გამოძიებით პროკურატურაც და პოლიციაც ნაკლებად ინტერესდება.*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

16 წლის ბექა ჩიდრაშვილს, წინასწარი ინფორმაციით, არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი, მისი თანატოლი, მანქანით დაეჯახა. მიღებული დაზიანებების შედეგად ბექა გარდაიცვალა. ამ ავტოსაგზაო შემთხვევას არაერთი თვითმხილველი ჰყავს, მაგრამ, როგორც გარდაცვლილის მამა, თემურ ჩიდრაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, გამოძიება მათ დასაკითხად ჯერ თავს არ იწუხებს. გარდა ამისა, ამ საკითხით არც პოლიცია დაინტერესებულა.

**"ძალოვნები რომ არ მოვიდნენ ჩვენს ოჯახში ვითარების გასარკვევად, პროკურატურის გამომძიებელს პირადად მივაკითხე. დავით ბერიაშვილმა, რომელიც მხოლოდ ჩემი ზეპირი მონათხრობით დაკმაყოფილდა, ასე დამაიმედა, ამ დროისთვის ექსპერტიზა მიმდინარეობს, რაც შეეხება ბრალდებულ გიორგი პირადაშვილს, მასზე ძებნაა გამოცხადებულიო,"** - გვიამბო თემურ ჩიდრაშვილმა.

ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ აკურასთან მოხდა. ბექა ჩიდრაშვილი კი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სიკვდილამდე რამდენიმე წუთით ადრე, მომაკვდავმა ბექამ მამასთან დალაპარაკება შეძლო. **"სიკვდილის წინ მითხრა, "მაინც დამაჯახაო." იმ დღეს, მის ფეხებთან მანქანა არაერთხელ დაუმუხრუჭებია. თვითმხილველები ამბობენ, რომ ჩემი შვილი შეიძლება გადარჩენილიყო, გიორგი პირადაშვილს მანქანა სხეულზე რამდენჯერმე რომ არ გადეტარებინა,"** - ამბობს ბექას მამა და სამართალდამცველებისგან იმედგადაწურული თემურ ჩიდრაშვილი დახმარებას უკვე ჟურნალისტებისგან ითხოვს, რადგან, მიაჩნია, რომ პოლიციას და პროკურატურას ამ საქმის მიჩქმალვა სურთ. ბატონი თემური კი ამ ფაქტს ასე ხსნის:

**"ჩემი შვილის მკვლელის ოჯახი ძალზე შეძლებულია. მათი პროფესიიდან გამომდინარე (მანქანის მექანიკოსები არიან), ეს ხალხი თელავში ყველა მანქანის მეპატრონეს სჭირდება. კი მაგრამ, მე რაღა ვქნა? 16 წლის ბიჭი მომიკვდა... მეუბნებიან, რომ დამნაშავის დასაკავებლად ძებნაა გამოცხადებულიო. თუ ასეა, რატომ არ მარკვევენ გამოძიების არსში? ან იმ ნახაზს რატომ არ მაჩვენებენ, რომელიც პოლიციამ შემთხვევის ადგილზე შეადგინა?"** - კითხულობს თემურ ჩიდრაშვილი.

ჰქონდა თუ არა გარდაცვლილ ბექა ჩიდრაშვილს და დანაშაულში ბრალდებულ გიორგი პირადაშვილს უთანხმოება, ამის შესახებ ბექას მამა ვერაფერს ამბობს. სამართალდამცველები თემურ ჩიდრაშვილის ბრალდებას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ. საქმის მოკვლევასთან დაკავშირებით თელავის პროკურატურის გამომძიებელმა დავით ბერიაშვილმა გვითხრა, რომ ამ დროისთვის ავტოტექნიკური ექსპერტიზა მიმდინარეობს, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრი აწარმოებს. აწ გარდაცვლილი ბექა ჩიდრაშვილის მამის ბრალდებებს კი ასე პასუხობს:

**"მე ვალდებული არა ვარ, დაზარალებულების ოჯახებში ვიარო. ჩვენ ფაქტის თვითმხილველებს და დაზარალებულებს პროკურატურაში ვიძახებთ და ჩვენებებს აქ ვართმევთ,"** - ამბობს გამომძიებელი.

სწორედ ამიტომ - მასალების ოთახიდან გამოუსვლელად მოკვლევის გამო - ჩიდრაშვილების ოჯახს ეეჭვება, რომ სამართალდამცველებს საქმის მიჩქმალვა სურთ და თემურ ჩიდრაშვილი სამართლის საძებნელად სარჩელის შეტანას გენერალურ პროკურატურაში აპირებს.

**"მხოლოდ ეს გამოსავალიღა დამრჩა. როდემდე უნდა მატყუონ ძალოვნებმა?"** - კითხულობს გარდაცვლილი ბექა ჩიდრაშვილის მამა.

*მოკლედ*

## ქვეითი პატრული 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს

ცოტა ხანში, ქვეითი პატრული, თბილისის გარდა, ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში გამოჩნდება. ქვეითი პატრულით უბნის ინსპექტორების ჩანაცვლება მოხდება. საპატრულო პოლიციამ ქვეითი პატრულის ვაკანსიებზე მიღება უკვე გამოაცხადა. პოლიციის აკადემიაში განცხადებების მიღება გუშინ დაიწყო და 26 იანვრამდე გაგრძელდება. როგორც პოლიციის აკადემიის რექტორი ლევან იზორია აცხადებს, ქვეითი პატრულის რიგებში მოხვედრა 22-დან 37 წლამდე მოქალაქეებს და 45 წლამდე ყოფილ სამართალდამცავებს შეუძლიათ. სპეციალური კონკურსის შედეგად შერჩეული კანდიდატები კი გარკვეული პერიოდის განმავლობაში სპეციალურ მომზადებას გაივლიან პოლიციის აკადემიის სასწავლო ცენტრში. საბოლოოდ, ქვეითი პატრული 1200 სამართალდამცავით დაკომპლექტდება, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში იმორიგევებენ. შეგახსენებთ, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომელთა მინიმალური ხელფასი 400 ლარია. "ამ ეტაპზე, ქვეითი საპატრულო დანაყოფი მხოლოდ დედაქალაქს ჰყავს. ამჟამად აკადემია 2000-ზე მეტ ქვეით პატრულს მოამზადებს, რომლებიც, თბილისთან ერთად, საქართველოს ყველა რეგიონში გადანაწილდებიან," - აცხადებენ შინაგან საქმეთა სამინისტროში. **24 საათი**

## შეტაკება თავდამსხმელის ლიკვიდაციით დასრულდა

გუშინწინ, გამთენიისას, ზუგდიდში გადელიების ოჯახზე განხორციელებული თავდასხმისას პოლიციასა და ყაჩაღებს შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკების დროს, პოლიციელებმა ერთ-ერთი თავდამსხმელის ლიკვიდირება მოახდინეს, დანარჩენმა ყაჩაღებმა კი გაქცევა და მიმალვა მოახერხეს.

"ოპერატიული ინფორმაციის მიღებისთანავე შემთხვევის ადგილზე გავედით. ყაჩაღებმა შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვიწიეს. ორმხრივი სროლისას, ერთი ყაჩაღი ადგილზე იქნა ლიკვიდირებული. ბოროტმოქმედი, რომელიც ოჯახის დიასახლისისგან, სვეტლანა გაბელაიასგან ფულსა და ოქროულობას მოითხოვდა, ოცი წუთის განმავლობაში აწამებდა მას. ფაქტის შესახებ ინფორმაცია მეზობლებისგან მივიღეთ. ოპერაციისას ლიკვიდირებულის ვინაობა უკვე დადგენილია, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი საბრძოლო ვაზნებით და მჭიდით, ნიღაბი, დანა, ოჯახიდან წასაღებად გამზადებული ფული და სხვადასხვა ნივთი," - აცხადებენ ზუგდიდის პოლიციაში. **24 საათი**

## ყალბი ფულის გასაღების ფაქტი გამოავლინეს

ფინანსურმა პოლიციამ ყალბი ფულის დამზადება-გასაღების ფაქტზე სისხლის სამართლის მორიგი საქმე აღძრა. პოლიციის ინფორმაციით, 2004 წლის 9 ნოემბერს მოქალაქე ჩარგეიშვილმა, უცხოური ვალუტის ქართულ ლარზე გადაცვლის მიზნით, "გაერთიანებული ქართული ბანკის" კრწანისის ფილიალს მიმართა, სადაც გაცვლითი ოპერაციების მენეჯერს, ურუშაძეს ორი ცალი 100-დოლარიანი გადასცა და, შესაბამისი კურსით, 360 ლარი გამოართვა. ამის შემდეგ ჩარგეიშვილმა მენეჯერს გადასახურდავებლად კიდევ ორი ცალი ასდოლარიანი ბანკნოტი მიაწოდა, საიდანაც ურუშაძემ ერთ-ერთი საეჭვოდ მიიჩნია, ულტრაიისფერი სხივებით შეამოწმა და სათანადო აქტით გადააგზავნა ეროვნულ ბანკში ექსპერტიზის ჩასატარებლად. ეროვნული ბანკიდან გაიცა დასკვნა, რომ აღნიშნული ბანკნოტი ყალბი იყო. "ჩარგეიშვილისა და ურუშაძის ახსნა-განმარტებებში გარკვეული წინააღმდეგობები არსებობს. ყველაფერს გამოძიება დაადგენს," - აცხადებენ ფინანსურ პოლიციაში. **24 საათი**




# უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

## ანკეტა

სახელი, გვარი..............................

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..............................

საკონტაქტო ტელეფონი..............................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის 1-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# რევოლუციის შემდეგ

## სამოქალაქო საზოგადოება და დემოკრატიის კონსოლიდაციის პრობლემები საქართველოში

*საქართველოს ე.წ. ვარდების რევოლუცია, რომელიც 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ მიმართული ქუჩის საპროტესტო აქციებით დაიწყო და კულმინაციას პარლამენტის შენობის შტურმითა და პრეზიდენტ შევარდნაძის გადადგომით მიაღწია, ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესთან დაკავშირებით გარკვეულ კითხვებს წარმოშობს.*
*პირველი, როგორ შეიძლება ავხსნათ ვარდების რევოლუცია? რა იყო ეს, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების მომწიფებისა და საქართველოს დემოკრატიული მისწრაფებების გამოხატულება, როგორც მისი მომხრეები განმარტავენ, თუ დასავლელი დამფინანსებლების მიერ ჭკვიანურად დადგმული სახელმწიფო გადატრიალება, როგორც მისი კრიტიკოსები ამტკიცებენ? ნებისმიერ შემთხვევაში, საინტერესოა, რატომ ვერ მოახერხა შევარდნაძემ ოპოზიციის შეკავება და მმართველობის ვადის გახანგრძლივება, როგორც ეს რუსეთისა და ცენტრალური აზიის მმართველებმა შეძლეს?*
*მეორე, გამოიწვევს თუ არა ახალი რეჟიმის დამყარება საქართველოს "ნეო-პატრიმონიალური" სახელმწიფოს რეფორმირებას, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეთა რაოდენობის, ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდასა და დემოკრატიული პროგრესისკენ სვლას? რის საფუძველზე უწოდებენ თავის თავს "ჭეშმარიტად დემოკრატიულს" აბსოლუტური უმრავლესობით არჩეული პრეზიდენტი სააკაშვილი და ასევე, უდიდესი უპირატესობით გამარჯვებული "ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატების" კოალიცია?*
*დაბოლოს, ხელისუფლების კიდევ ერთი რევოლუციური გადატრიალების გათვალისწინებით რამდენად შესწევთ უნარი საქართველოს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, განავრცონ და გარკვეულ კალაპოტში მოაქციონ პოლიტიკური პლურალიზმის შეუქცევადი პროცესი ქართულ საზოგადოებაში? ერთი წლისთავზე ქართული პოლიტიკური სცენა კვლავაც ჩამოყალიბების პროცესშია და ამ ეტაპზე დასმულ კითხვებს მხოლოდ ზოგადი პასუხები შეიძლება გაეცეს.*

დოქტორი
ლოურენს ბროერი
ლონდონის უნივერსიტეტის
პოლიტიკურ მეცნიერებათა
ფაკულტეტი

### შევარდნაძის დროინდელი დემოკრატიზაცია

"ვარდების რევოლუციის" არსში და მის შემდეგ დროინდელ მოვლენებში გარკვევისთვის, აუცილებელია, მოკლედ გავიხსენოთ ის მოვლენები, რომლებიც ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მას წინ უსწრებდა. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში საქართველომ ბევრი დასავლელი დამკვირვებლის თვალში დაუმსახურებლად მოიპოვა პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკრატიზაციის წარმატებული ქვეყნის სახელი. შესაძლოა, ამ მხრივ საქართველოში, აღმოსავლელ მეზობლებთან შედარებით, მართლაც უკეთესი ვითარება იყო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ შევარდნაძის რეჟიმის დეფექტებთან მიმართებაში დასავლეთის თვითკმაყოფილებით აღსავსე დამოკიდებულება მკვეთრად განსხვავდებოდა იმავე საკითხზე თავად საქართველოში დამკვიდრებული მოსაზრებისგან. კონსოლიდაციაზე მეტად, შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში დემოკრატიის ეროზიის ნიშნები შეიმჩნეოდა, სწორედ ისეთი, გილიერმო ო`დონელმა ლათინური ამერიკის მაგალითზე "სამოქალაქო მმართველობისა და ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის კლასიკური გარანტიების არსებული ნიშნების მზარდი შემცირება" რომ უწოდა. ამან, თავის მხრივ, დაპირისპირების ზრდა გამოიწვია, რომელიც ქართულ პოლიტიკაში ფართო ჩინოვნიკურ კოალიციასა და მათ მოწინააღმდეგეებს შორის მკვეთრ პოლარიზაციაში გამოიხატა.

თავდაპირველად, ყურადღებას გავამახვილებ ოთხ ძირითად ფაქტორზე, ხოლო შემდეგ მათ გავლენაზე სახელმწიფო-სამოქალაქო საზოგადოებას შორის ურთიერთობებზე.

პირველ რიგში, აუცილებელია აღინიშნოს, 1990-იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, საარჩევნო სტანდარტების გაუარესება. 1992 და 1995 წლების არჩევნების შემდეგ (რომლებიც, სხვათა შორის, თავისუფალ და სამართლიან არჩევნებად არის მიჩნეული), ყოველი მომდევნო არჩევნების დონე, წინასთან შედარებით, ეცემოდა. 1999-2000 წლების ორივე, საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ფართოდ გავრცელებული და სისტემატური დარღვევები იყო დამახასიათებელი. ეს არჩევნები პლურალიზმის მხოლოდ სახეს ინარჩუნებდა; სინამდვილეში, ეს იყო ბნელი გარიგებები მმართველი ელიტის შიგნით, და "პატრონისთვის" ერთგულების დემონსტრირება ადგილობრივი მმართველების მხრიდან სასურველი შედეგების დაფიქსირებით.

ეს, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზები აზრს უკარგავდა საქართველოში მრავალპარტიული სისტემით დამკვიდრებულ მოჩვენებით პლურალიზმს და საარჩევნო პროცესისადმი საზოგადოების გულგრილობას იწვევდა. შევარდნაძის პარტიის ნანგრევებიდან ნდობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე ოპოზიციური გაერთიანებების წარმოქმნის პარალელურად, სახელმწიფო აპარატის მიერ მათთვის უკანონო გზებით საარჩევნო წარმომადგენლობის შეზღუდვა სულ უფრო დახვეწილ სახეს იღებდა, და თავის კულმინაციას 2003 წლის ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებისას მიაღწია. მიუხედავად იმისა, რომ ეს არჩევნები პოსტსაბჭოური საქართველოს ისტორიაში ერთდროულად ყველაზე მწვავე, ყველაზე პლურალისტული და ყველაზე გამჭვირვალე იყო, ის ამასთანავე, სრული ორგანიზაციული ქაოსით ხასიათდებოდა. თუმცა, ეს მხოლოდ ახალი პრობლემების (ამომრჩეველთა რეგისტრაცია, საარჩევნო ადმინისტრაციის უუნარობა და ტენდენციური დამოკიდებულება, არჩევნების გაყალბებისთვის დაუსჯელობის სინდრომი) გამოვლინება კი არ იყო, არამედ მეტ-ნაკლებად სერიოზული ძალისმიერი შეტაკებებითაც ხასიათდებოდა.

მეორე - შევარდნაძის მმართველობისთვის ინტერესთა კონფლიქტი და პოლიტიკის არაფორმალური მხარის გაძლიერება სულ უფრო მზარდი მახასიათებელი ხდებოდა. ეს ძალიან ფართო მცნებაა და ერთი სიტყვით შეიძლება "კორუფციით" გამოიხატოს, რომელიც პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში აღწევდა. საერთაშორისო გამოკითხვებში საქართველო მუდმივად ფიგურირებდა მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებულ სახელმწიფოთა შორის, განსაკუთრებით "ადმინისტრაციული კორუფციისა" (როდესაც საწარმოები ქრთამს იხდიან გადასახადებისთვის თავის არიდების მიზნით) და "სახელმწიფოს დაპყრობის" (როდესაც საწარმოები "ყიდულობენ" მათთვის სასურველ კანონებს ან საგადასახადო შეღავათებს) თვალსაზრისით. საქართველოში ყველაზე "კორუმპირებულ" სფეროებად ენერგოსექტორი, სამართალდამცავი სტრუქტურები (მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტრო), ტრანსპორტი, საგზაო პოლიცია და უმაღლესი განათლება იყო მიჩნეული. კორუფციის გაძლიერებაზე გადამწყვეტი გავლენა საგადასახადო შემოსავლების შემცირებამ იქონია, როგორც ინტერესთა კონფლიქტის შედეგმა.

2001 წლის აპრილში, კორუფციასთან ბრძოლის მიზნით შეიქმნა ანტიკორუფციული პოლიტიკის საკოორდინაციო საბჭო, რომელმაც შედეგად რამდენიმე მაღალი თანამდებობის პირის გადადგომა (თუმცა, არც ერთი პასუხისგებაში არ მიუციათ) გამოიღო. რასაკვირველია, ეს შედეგები, პრობლემის მასშტაბებიდან გამომდინარე, საკმარისი არ იყო. ხელისუფლება ღიად საუბრობდა კორუფციის არსებობაზე, თუმცა მის წინააღმდეგ ვერაფერს აკეთებდა.

კორუფციასთან ბრძოლაში მთავრობის წარუმატებლობამ, ნოემბრის მოვლენებამდე ორი თვით ადრე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგრამების შეწყვეტა გამოიწვია. 2003 წლის ბოლოს სახელმწიფოს უუნარობის ასახსნელად "კორუფცია" დომინანტურ მეტაფორად გადაიქცა, რამაც, თავის მხრივ, საარჩევნო კამპანიისას შესანიშნავი ნიადაგი შეუქმნა ოპოზიციას.

სახელმწიფოს არაფორმალური ურთიერთობების გაძლიერებას თან სდევდა თითქმის ყველა სფეროს მომცველი ვარდნა. ეს მოვლენა ადვილად შესამჩნევი იყო სხვადასხვა დონეზე: ძირითადი სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის უუნარობა. მაგალითად, როგორიცაა ელექტროენერგიის მიწოდება ან პენსიების დარიგება; ძალიან დაბალი და ამავდროულად, ქრონიკულად დაგვიანებული ხელფასები უსაშველოდ გაბერილი საჯარო მოხელეთა არმიისთვის (რაც, თავის მხრივ, კორუფციის აყვავებას უწყობდა ხელს); არათუ რაიმე სახის პოლიტიკის განხორციელების, არამედ შემუშავების უუნარობაც კი; აქედან გამომდინარე, რესურსების მობილიზაციის უუნარობაც (საგარეო დახმარებების გარდა).

პარტიული პოლიტიკის დონეზე მმართველი აპარატის სრული ატროფია და მზარდი სოციალური უკმაყოფილება დრამატულად აისახა საპრეზიდენტო პარტიის - მოქალაქეთა კავშირის რეიტინგის დაცემაში. მას შემდეგ, რაც 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებში შთამბეჭდავ გამარჯვებას მიაღწია (ამომრჩეველთა 42 პროცენტის მხარდაჭერა მიიღო), მოქალაქეთა კავშირი თითქოსდა ჰეგემონური პარტია უნდა გამხდარიყო. თუმცა, შემდეგი ორი წლის მანძილზე პარტია რამდენიმეჯერ დანაწევრდა - დაკარგა თითქმის მთელი ორგანიზაციული შესაძლებლობები და, შედეგად, 2002 წლის ადგილობრივ არჩევნებში სრული კრახი განიცადა.


"ვარდების რევოლუცია"

მართალია, ამან მნიშვნელოვანი დემოკრატიული დივიდენდებიც მოიტანა, რადგანაც ახალი ოპოზიციური გაერთიანებების წარმოქმნას შეუწყო ხელი, მაგრამ, ამავდროულად, გააძლიერა ადგილებზე პირდაპირი დანიშვნების ტენდენცია (იმისათვის, რომ რაიონების დონეზე მმართველი პარტიის გავლენა შეენარჩუნებინათ).

დაბოლოს, მეოთხე მნიშვნელოვანი ტენდენცია საქართველოში ავტორიტარული ანკლავების შენარჩუნება და პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერება იყო.

პირველი და ყველაზე შემაშფოთებელი მათ შორის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დამყარებული პოლიტიკური რეჟიმი იყო. ეს ერთადერთი ავტონომიური ერთეულია, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფორმალურად ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის ქვეშ რჩებოდა. აჭარა, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ასლან აბაშიძის ხელმძღვანელობით, თითქმის იგივე პოლიტიკური მოდელით აგრძელებდა არსებობას, როგორც საბჭოთა პერიოდში იყო მიღებული: სახელმწიფო დაწესებულებები აბაშიძის პარტია "დემოკრატიული აღორძინების კავშირთან" იყო შერწყმული. სამოქალაქო საზოგადოება და, განსაკუთრებით, მედია შებოჭილი იყო რეჟიმის მიერ. არჩევნებში, ტრადიციულად, 90-პროცენტიანი აქტივობის ფონზე და ასეთივე უმრავლესობით მმართველი აბაშიძის პარტია იმარჯვებდა, ხოლო ძალაუფლების განხორციელება საბჭოური ტიპის "პატრენალიზმით" ხდებოდა და არც თავად აბაშიძის პიროვნების კულტის აყვავება იყო უცხო.

მეორე, ცოტა უფრო სხვა სახის ავტორიტარული ანკლავი ჩამოყალიბდა საქართველოს სამხრეთ მხარეებში - სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. ამ რეგიონებში ყოველი არჩევნები პლურალიზმის ნაკლებობით, ამომრჩეველთა არარეალურად მაღალი აქტივობითა და სამთავრობო პარტიების სასარგებლოდ ხელოვნურად გაზრდილი მხარდაჭერით გამოირჩეოდა, რომელთაც ადგილობრივი "ფეოდალები" ბლოკისთვის აქ კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების - სომხებისა და აზერბაიჯანელების - ხმების ხარჯზე უზრუნველყოფდნენ. ამგვარი მუდმივი "ფეოდალური პოლიტიკის" შედეგები ახლაც აშკარაა, და ეს რეგიონები საერთო ქართული პოლიტიკური ცხოვრებისგან თითქმის სრულიად მოწყვეტილი არიან.

საბოლოო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელი წლები ქართული პოლიტიკის "ელიტიზაციით" ხასიათდებოდა, პარალელურად, ღრმავდებოდა მმართველი ელიტის ამპარტავნებითა და თვითკმაყოფილებით.

საქართველოს მიერ სახელმწიფოებრიობის აღდგენის პერიოდში, 1990-იანი წლების დასაწყისში გადამწყვეტი როლის შემსრულებელმა შევარდნაძემ, თავისი მმართველობის მიწურულს საქართველოში "ნეო-პატრიმონიალისტური" სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ახალი ძალა შესძინა, სადაც საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების, ხელისუფლების კონსტიტუციური კონტროლის, სამართლებრივი ნორმების და სტანდარტების ცნებები თითქმის არანაირ როლს არ ასრულებდა. იმის ნაცვლად, რომ საბჭოურ წარსულთან ყოველგვარი კავშირი საერთოდ გაეწყვიტათ, მემკვიდრეობითობა მთელ რიგ შემთხვევებში სულ უფრო დამახასიათებელი გახდა: თავად ელიტის მემკვიდრეობითობა, ქვეყნის მართვაში მონაწილეობისთვის შეზღუდული შესაძლებლობები, უფრო მეტად პერსონალური, და არა სამართლებრივი ლოიალობა მოხელეებს შორის, და საერთოდ, საზოგადოებრივი მონაწილეობის შემცირება პოლიტიკაში.

### საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაზე მზარდი ზეწოლა

შედარებით აქტიური სამოქალაქო საზოგადოების არსებობა დიდხანს საქართველოს "დემოკრატიულობის" დამადასტურებლად მიიჩნეოდა. სამოქალაქო ინსტიტუტების განვითარებისთვის შექმნილმა კარგმა პირობებმა შედეგად 1990-იან წლებში პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო ჯგუფების რაოდენობის ზრდა და არასამთავრობო სექტორში მნიშვნელოვანი გამოცდილებისა და პოლიტიკური კაპიტალის დაგროვება გამოიწვია. გარდა ამისა, დამოუკიდებელი მედიის განვითარება ამ პერიოდის კიდევ ერთი მონაპოვარია. სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად და საბჭოურ სტანდარტებზე შექმნილ მედიას ყველა ფორმატის დამოუკიდებელი საშუალებები პოპულარობით სულ უფრო უსწრებდნენ. ინფორმაციის საჯარო მისაწვდომობა ელექტრონულ მედიაზე დამოკიდებული რჩებოდა, რაც პრესის გავლენას მნიშვნელოვნად ზრდიდა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იმ პირობებში, როცა ცენზურა მინიმუმამდეა დაყვანილი (გარდა აჭარისა, და ზოგიერთი რეგიონისა - საარჩევნო კამპანიების დროს), ელექტრონული მედიაკომპანიების ზრდა დაკავშირებული იყო როგორც მათი მფლობელების უნარზე, თავიდან აეცილებინათ არაპირდაპირი პოლიტიკური ზეწოლა, ასევე "დამოუკიდებელი" მედია პოლიტიკურ პროცესებში ჩართვის პლატფორმად გამოეყენებინათ. პარალელურად, სამოქალაქო საზოგადოების გავლენა გაცილებით ნაკლები იყო თბილისის გარეთ. აჭარაში თუ საბჭოური მეთოდები იყო შემორჩენილი, საქართველოს სხვა რეგიონებში სამოქალაქო სექტორებისთვის რესურსების ნაკლებობა, შესაძლებლობას არ აძლევდა მათ, დამოუკიდებელნი ყოფილიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ფინანსური ჯგუფებისგან (მათ შორის, კრიმინალური დაჯგუფებებისგან).

თუ მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დონე საქართველოს გარდამავალი პერიოდის ძლიერ მხარედ იყო მიჩნეული, პოლიტიკური პარტიების განვითარება კმაყოფილების საფუძველს ნაკლებად იძლეოდა. ეს თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა სამოქალაქო აქტივობის არსებობა მიჩნეულია, როგორც დემოკრატიის კონსოლიდაციის ნიშანი, ეფექტური პარტიული სისტემის ჩამოყალიბება არანაკლებ მნიშვნელოვანია. იმ შემთხვევაშიც, თუ სამოქალაქო სექტორი ჯგუფის მოთხოვნებს გამოხატავს, მისი სტრუქტურა არ იძლევა საშუალებას, ამავე ჯგუფის ინტერესები დააკმაყოფილოს. ეს პოლიტიკური პარტიების მოვალეობაა, რომელიც იდეალურად უზრუნველყოფს საზოგადოებისა და პოლიტიკური რეჟიმის ურთიერთქმედებას. ჯგუფის ინტერესების გაერთიანება და მონაწილეობა საარჩევნო პროცესში, პოლიტიკას ამ ინტერესებისადმი უფრო პასუხისმგებლურს ხდის. საქართველოს პოლიტიკური პარტიების (და მთლიანობაში, პოსტსაბჭოთა პოლიტიკური პარტიების) სისუსტეს, სულ მცირე, სამი მიზეზი განაპირობებდა:

პირველი, ზოგიერთი პარტია (2003 წლის ნოემბრის არჩევნებში 22 პარტია და ფრაქცია მონაწილეობდა) ერთდღიანია, ეფემერულია. მიზეზი - რესურსების მობილიზების უუნარობაა. ხელისუფლებაში მყოფ პარტიებს პირველობის შესანარჩუნებლად შეუძლიათ გამოიყენონ "ადმინისტრაციული რესურსები", მაშინ როცა, ოპოზიციური პარტიები ხშირად აუცილებელი ფულადი სახსრების მოსაზიდად, იძულებულნი არიან, საარჩევნო პარტიულ სიებში ადგილები გაყიდონ, ან ბიზნესწრეებს გაუწიონ ლობირება.

მეორე, საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს შორის ძალიან მცირეა იდეოლოგიური განსხვავება. მკვეთრად კონტრასტული პოლიტიკური პროგრამები არ არსებობს, და თუ არსებობს, მცირედი კავშირი თუ აქვს იმასთან, რასაც ეს პარტიები სათავეში მოსვლის შემდეგ გააკეთებენ; ამის გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური კამპანიები მცირე წარმატებით სარგებლობენ.

მესამე, პარტიული სისტემები ისევ ერთ პიროვნებაზე აგებული რჩება, ორივე მხრივ, როგორც ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში, ასევე, შიდაპარტიულ სივრცეში. გარემოში, სადაც "კლიენტალიზმი" აშკარაა, ხოლო რესურსები - შეზღუდული. ასეთი გადახვევები საკანონმდებლო სივრციდან, ერთადერთი გამოსავალია პარტიული ლიდერებისთვის სარგებლის მისაღებად. რაიმეს მიღწევა მხოლოდ მმართველ პარტიაში შესვლით, ან, სულ მცირე, მასთან ალიანსის გაფორმებით არის შესაძლებელი. ქართული პოლიტიკური სისტემის გადახრა აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოსვლის მისწრაფებისკენ, ამავდროულად, პოლიტიკური პარტიების, პირადი ამბიციების დაკმაყოფილების ინსტრუმენტებად გადაქცევას იწვევს. პირადი ამბიციების დაკმაყოფილების ინსტრუმენტად ქცეული პარტიები დემოკრატიული პროცესებიდან ელექტორატის ზურგის შექცევას უწყობენ ხელს (იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი, ისევ და ისევ გამორჩენის მიზნით, ხანდახან თავიანთი საარჩევნო ოლქის წარმომადგენლების როლსაც კარგად ასრულებენ ხოლმე). ასე რომ, საეჭვოა, ასეთი ფორმით ორგანიზებულმა პარტიებმა საკუთარ ლიდერების გარეშე იარსებონ.

დასასრულს, პარტიული სტრუქტურის შიგნით გაბატონებული კლიენტალიზმი არც პარტიის წევრებს აძლევს საშუალებას, დემოკრატიულ საქმიანობაში და კოლექტიურ გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად ჩაერთონ.

შევარდნაძის მმართველობის დასაწყისში სამოქალაქო საზოგადოების შეზღუდვის ღია მცდელობები ფრიად იშვიათი იყო, განსაკუთრებით - საერთაშორისო დონეზე გამოხატული მხარდაჭერის ფონზე. თუმცა, 1990-იანი წლების დასასრულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში ქართული პოლიტიკური სისტემის ვარდნას თან ერთვოდა სამოქალაქო საზოგადოებაზე გავლენის ზრდის მცდელობა. ეს პროცესი მოიცავდა არასამთავრობო სექტორის ფართოდ გავრცელებას, განსაკუთრებით 1999-2000 წწ. არჩევნების წინა პერიოდში და სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეს, რომლებიც ჟურნალისტების წინააღმდეგ გავლენიანი პოლიტიკური ფიგურების მიერ ფინანსური მაქინაციების ბრალდებით აღიძრა. 2001 წლის ივლისში ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის წამყვანი ჟურნალისტი გიორგი სანაია მოკლეს, სავარაუდოდ, პოლიტიკური მოტივით, ხოლო მომდევნო წელს ტელეარხის ოფისში საგამოძიებო ჯგუფი შეიჭრა, გადასახადებისაგან თავის არიდების ბრალდებით. 2003 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა გაამკაცრა სასჯელი ცილისწამებისთვის, და ამიერიდან, ასეთი დანაშაული ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა. სამოქალაქო სექტორისადმი აგრესიული პროპაგანდა ხელისუფლების მხრიდან აშკარად შესამჩნევი გახდა, სადაც არასამთავრობოები წარმოჩენილი იყვნენ, როგორც გარე ძალების მხრიდან სპეციალურად ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის დაქირავებულები (მათ "გრანტიჭამიებად" მოიხსენიებდნენ). 2002 წლის ზაფხულში, ფინანსთა სამინისტრომ ახალი ინიციატივა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც მთავრობას არასამთავრობო სექტორის მიერ გარედან მიღებული დახმარება უნდა გაეკონტროლებინა. 2003 წლის თებერვალში ამას მოჰყვა უშიშროების სამინისტროს მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც "გარედან მართული გასამხედროებული და სხვა ორგანიზაციების" ანგარიშების გაყინვას ითვალისწინებდა. გლობალური ანტიტერორისტული რიტორიკითა და დასავლური ევანგელიკური ორგანიზაციების საქართველოში მოღვაწეობის მიმართ უარყოფითი საზოგადოებრივი აზრით შეიარაღებული, აღნიშნული კანონპროექტი გარედან დაფინანსების მქონე ნებისმიერი ორგანიზაციის ანგარიშის გაყინვას გულისხმობდა. ასეთმა მცდელობებმა ქვეყნის შიგნით სამოქალაქო სექტორის მხრიდან მძაფრი კრიტიკა გამოიწვია და ხელისუფლება იძულებული გახდა, მასზე უარი ეთქვა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესმა გამოააშკარავა არა მარტო დაუძლურებული რეჟიმის ავტორიტარული მისწრაფებები, არამედ სამოქალაქო საზოგადოების უცხოელ დონორებზე უზომო დამოკიდებულება.

დასასრულს, აღსანიშნავია, რომ შევარდნაძის მმართველობის უკანასკნელ წლებში დამახასიათებელი იყო პირდაპირი თავდასხმები არა მხოლოდ დასავლური ევანგელისტური ორგანიზაციების წარმომადგენლებზე, არამედ არასამთავრობოებზეც, რომლებიც რწმენის თავისუფლების ეგიდით მათ დაცვას ცდილობდნენ. განკვეთილი მართლმადიდებელი მღვდლის ბასილ მკალავიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელებული ეს თავდასხმები დაუსჯელი რჩებოდა. უფრო მეტიც, თავდამსხმელები თავიანთი ქმედებების შესახებ სახელმწიფო ტელევიზიის ეთერში სიამაყით მოგვითხრობდნენ.

სწორედ ამ ვითარების გამო იყო, რომ საქართველოს არასამთავრობო სექტორმა თვითგადარჩენის მოტივით დაიწყო მოქმედება 2003 წლის ნოემბრის არჩევნების წინა პერიოდში, იმის ნაცვლად, რომ, ტრადიციულად, მეტ-ნაკლებად ნეიტრალური პოზიცია შეენარჩუნებინა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს შორის. ეს პოზიცია, რომელიც თითქოსდა უცხოელი დონორების მიერ იყო ნაკარნახევი, სამოქალაქო საზოგადოების ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენლის მიერ, რასაკვირველია, არაადეკვატურად იქნა აღქმული, რადგანაც იგი სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობას უსაფრთხო გარემოს არ უქმნიდა. ამ მოსაზრების მომხრე ზოგიერთი აქტივისტისთვის, ნეიტრალობის შენარჩუნება, იმ დროს, როდესაც რეჟიმი დემოკრატიული ღირებულებებისადმი მტრულ დამოკიდებულებას ავლენდა, თავად სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციასაც გამოიწვევდა, და ისეთ შთაბეჭდილებას შექმნიდა, რომ ისინი მხოლოდ განცხადებების დონეზე არიან დემოკრატიულები. ამ სენტიმენტებმა პრაქტიკული გამოხატულება იმაში ჰპოვა, რომ სამოქალაქო სექტორის ორგანიზაციებმა (აბსოლუტური უმრავლესობა ჯორჯ სოროსის "ღია საზოგადოება-საქართველოს" ფონდის მიერ დაფინანსებული) და თავისუფლების ინსტიტუტმა პოლიტიკურ ოპოზიციასთან მჭიდრო კავშირი დაამყარეს. ნოემბრის არჩევნების წინა პერიოდში თავისუფლების ინსტიტუტი და მასთან მჭიდრო კავშირის მქონე სტუდენტური მოძრაობა "კმარა" სამოქალაქო აქტივობის ბირთვად გადაიქცა, და ოპოზიციურ "ნაციონალურ მოძრაობასა" და "გაერთიანებულ დემოკრატებთან" ერთობლივად მოქმედებდა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ მესამე სექტორსა და პოლიტიკურ ოპოზიციას შორის ალიანსი აქამდეც არავისთვის წარმოადგენდა საიდუმლოს. ასე რომ, თუ ზოგიერთმა ჯგუფმა თვითგადარჩენის ერთადერთ გზად პოლიტიკურ ოპოზიციასთან ალიანსში შესვლა დაინახა, სხვებმა "შეჩვეულ ჭირთან" დარჩენა არჩიეს. პოლიტიკური პარტიებისთვის ეს ალიანსი, ბუნებრივია, უფრო მომგებიანი იყო: მათ ლეგიტიმიზმის დონე აიმაღლეს და ამასთანავე, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით თავიანთი ფინანსური და სხვა სახის რესურსებიც გაზარდეს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მკითხაობა ყვავაზე

თემა - ˝ოსკარი˝



B3

ლიზარაზუს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი 6 თვე



B4

1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა ერეკლე მეორე



B7

ნოდარ ლადარია

დასრულდა, მიიწურა, თვალსა და ხელს შუა შემოგვეფანტა ზეგარდმო უხვად ბოძებული დასვენების დღეები. "24 საათმაც" გულით ისარგებლა ამ ძღვენით: მეჩხერად გვხვდება თეთრნარინჯისფერი ნომრები საზეიმო კვირის ოცდაოთხსაათიან გრაფიკში. ერთგვარი საახალწლო უდარდელობაც გვეტყობა — მაგალითად, დაგვავიწყდა, რომ "ცუნამმა" კი არ უნდა ვწეროთ, არამედ "ცუნამიმ" — მაგრამ, აბა, როდის ვაქცევდით ყურადღებას იმას, რაც არ გვემუქრება? მით უმეტეს, რომ ამ "პრაზდნიკებზეც" გაგვამხნევეს, ქართული გენი ძლიერიაო; თანაც ერთი საქეიფო დღე ჯერაც წინ გვიდევს — კალენდარული შიზოფრენიის მუტანტი შედეგი, "ძველი ახალი წელი".

თუმცა სულ ტყუილად გამოვიბი ძაღლის ყბა: ამ "ახალწლებზე" მეც გვარიანად მოვილხინე და შესაბამის განწყობაზეც მოვედი. იმდენად მაინც, რომ აწ დავიწყებულ, ჩემს ბავშვობაში კი ძალიან პოპულარულ პროფესიას, ეგრეთ წოდებულ სახალხო მთქმელს დავესესხო და მოყირჭებული ფრაზა მეც ვთქვა: ნება მიბოძეთ, დღევანდელი განწყობა ლექსით გამოვხატო. ამ ლექსის ფრაგმენტი **ეკა კვესიტაძემ** გამოაქვეყნა 6 იანვრის ნომერში და ლიტერატურათმცოდნეობითი ექსკურსიც დაურთო თან. მერე კი "კურიერმა" აიტაცა თანამედროვე ქართული პოეზიის ეს ნიმუში და იმავე საღამოს თავისი ეთერიდან "გააბაზრა", მაგრამ პოეტური ქმნილება ნამდვილად იმსახურებს სრულ გამოქვეყნებას, რომ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩამსხდარმა რეფორმირებული მომავლის სტუდენტებმა და პროფესორებმა ეპოქის ამ უტყუარი დოკუმენტის ხილვა შეძლონ. ოღონდ ჯერ მცირე შესავალს წავუმძღვარებ წინ...

1921 წელს, რუსმა მწერალმა **ევგენი ზამიატინმა** გამოაქვეყნა ნარკვევი სათაურით "მეშინია". ტექსტი ასე მთავრდება: "**მეშინია, რომ რუსულ ლიტერატურას მხოლოდ ერთი მომავალი აქვს — მისი წარსული**". არა, ამჯერად იმაზე არას ვიტყვი, რომ საქართველოს პარლამენტში ხან დავით ალმაშენებელს მოიხმობენ ნიმუშად და მაგალითად, ხანაც თამარ მეფეს — პარლამენტის უბედურება მხოლოდ ეს რომ იყოს, რაღა გვიჭირს. მე გაცილებით უფრო ახლო წარსულს ვგულისხმობ, რომელიც ჩვენს მშობლებს ახსოვთ და რომლის ნიშნებს სულ უფრო და უფრო ხშირად ვაწყდებით გარემო სინამდვილეში. აი, თუნდაც ეს დაპირებული ლექსი რად ღირს, რომელსაც გორის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს ზეპირად ასწავლიან:

დღეს ზეიმი გვაქვს პატარებს
და ჩვენი გული ხალისობს,
ვზეიმობთ რადგან დღეს ბაღში
**მიხეილ ქარელს** ვმასპინძლობთ.
რევოლუციით მოსული
მთავრობა რომ გვყავს ქებული,
იმათში თქვენ ხართ ერთ-ერთი
ყოველთვის გამორჩეული.
რაც სათავეში მოხვედით
სიტყვით არ ითქმის რამდენი
კეთილი საქმე აკეთეთ
მტერს დაუყენეთ თვალები.
ყველაფერს უცებ დაატყვეთ
თქვენი ხელი და ლაზათი,
გაალამაზეთ ქუჩები,
გაალამაზეთ ქალაქი.
იცოცხლეთ დიდხანს, იცოცხლეთ,
დღენი გემატოთ მრავალი
სულ ია-ვარდით ფენილი.

ბოლო სტროფში ავტორი, როგორც ეტყობა, შთაგონებამ დაახრჩო და ბოლო ტაეპს დაბადება არ ეღირსა. საინტერესო საკითხავია, ამ ავტორს რა ჰქონდა თავში, როცა მარცვლებს ითვლიდა და რითმებს ეძებდა? მაგრამ ჩვენ უფრო მნიშვნელოვან კითხვებზე შევაჩეროთ ყურადღება.

აი, მაგალითად, ასეთი კითხვა: რატომ უნდა გვეგონოს, რომ ჩვენი სახელმწიფო კაცების მეტყველება უფრო მეტად შეეფერება ჟანრს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი ლექსი? აი, თუნდაც ეს ბოლო ისტორია...

მოცემული გვაქვს ქვეყანა, რომლის მთელი მოსახლეობა საშუალო ზომის მეგაპოლისის ერთი მოზრდილი უბნის ტოლია, მაგრამ მრავალი წლის განმავლობაში არა თუ ცხოვრების დონის ამაღლებას, არამედ მოსახლეობის "გამრიცხველიანებას" ვერ ახერხებს — ძვირი უჯდება. ეს ქვეყანა რატომღაც აცხადებს, რომ მისი ერთ-ერთი პრიორიტეტი თანამედროვე ტიპის ქმედითი შეიარაღებული ძალების აშენებაა. ამ დიადი მიზნის მისაღწევად იქმნება ოსიაურის რეზერვისტთა ბატალიონი და ქვეყნის თითქმის ყველა ტელეარხი გულისწამღები დეტალურობით თითქმის ყოველდღე გვამცნობს იქ მიმდინარე უალრესად მნიშვნელოვან მოვლენებს: რამდენი ხინკალი ჭამეს, ვინ დაინიშნა ოცეულების მეთაურებად, რამდენი ქულა დააგროვეს სროლებში და ა. შ. სამაგიეროდ, მუხროვანის რეგულარულ სამხედრო ნაწილში მომხდარ უბედურებას საიდუმლოების ბურუსი ფარავს. ვხედავთ ომბუდსმენის მოადგილეებს, საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან მოჯარულ სასოწარკვეთილ მშობლებს, თანამდებობის პირებს, მაგრამ ინფორმაციის ზღვაში იკარგება ცხადი პასუხი კითხვაზე: რა მოხდა?

გარდა ამისა, ვხედავთ, რომ თავდაცვის მინისტრის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა პოსტზე თითქმის უტოლდება ტანკის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობას მტრის გამაგრებულ პოზიციაზე ფრონტალური შეტევის დროს. თანაც ყოველი ახალი მინისტრი, როგორც ამბობენ, ლამის დამლაგებლიანად ცვლის სამინისტროს მთელ პერსონალს. ამას უწოდებენ "კარგიდან უკეთესისკენ" სვლას.

ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს "უკეთესი" მინისტრი მართავს ბრიფინგს და "კარგის" კადრებს ციხით ემუქრება. ამ დროს უმაღლესი მთავარსარდალი საქართველოში არ იმყოფება. როგორც ეტყობა, "უკეთესი" მინისტრი თავის ძველ სტრატეგიას მიჰყვება (მეტი პატიმარი — მეტი წესრიგი) და არც ძველ ტაქტიკას ღალატობს (უშუალო უფროსის დაყენება ფაქტის წინაშე).

მაგრამ ამჯერად არც "კარგი" მინისტრი ზის გულხელდაკრეფილი და თავის მხრივ ბრიფინგითვე პასუხობს გამოწვევას. მჭექარე გამოსვლა ტრიბუნაზე (რევოლუციის ტრიბუნს, კიროვს შეშურდებოდა), ბრალდებული კადრების თითქმის სრული და უშიშარი კვორუმი (ლოჯისტიკის განყოფილების ყოფილი უფროსი დროდადრო ჭერში იყურება: ისეთი მომჭირნე ვარ, ბუზებიც კი თვლითა მყავს ჩაბარებულიო), ექსპერტების ამომწურავი ანალიზი (განსაკუთრებით შთამბეჭდავია ქართულ გაგებაზე გათვლილი დამუნათება: იმ დალოცვილებს ისე უნდა გაერკვიათ ყველაფერი, რომ გარეთ არ გამოეტანათო).

ახლა კი უმაღლეს მთავარსარდალს მოვუსმინოთ, რომელიც კარპატებიდან ევროპის მეორედ განთავისუფლების დიადი იდეით დაბრუნდა, შინ კი ბავშვებმა დამსხვრეული სერვიზი დაახვედრეს. მთავარსარდლის სიტყვა მთლიანად გამოქვეყნდა "24 საათში" 7 იანვრის ნომერში.

თავიდან მართლაც ეპიკური ან დრამატულია — გოგოლის "რევიზორის" დასაწყისი და პუშკინის "ბორის გოდუნოვის" ფინალი მოგაგონდება კაცს: "**მე თქვენ მოგიწვიეთ, რათა გავარკვიოთ ბოლო დროის მოვლენები**". ამას კი წარმოუდგენელი რამ მოსდევს: "**საკმარისია, სახლიდან გავსულიყავი რამდენიმე დღით, ჩემს მეგობრებთან უკრაინაში, რომ მარტოდ დარჩენილმა მთავრობის წევრებმა, დამიგულეს რა გარეთ, დაუყონებლივ დაიწყეს კინკლაობა და ცელქობა**". მართალია, ამ წინადადების შეუსაბამობას თვით სააკაშვილიც გრძნობს (შემდეგ წინადადებაში გვაფრთხილებს, ახლა სერიოზულად ვილაპარაკებო), მაგრამ ყოველ ხუმრობაში ხუმრობისა მხოლოდ წილია. ამ წინადადებაში აშკარად გამოსჭვივის მისი პირადი დამოკიდებულება საგნებისა და ადამიანებისადმი. სააკაშვილი — მზრუნველი და მკაცრი მამა. უნებლიეთ ფიქრობ, რომ ოქრუაშვილის მთავარი შეცდომა მისი პირველი ბრიფინგის შინაარსი კი არ იყო, არამედ ის, რომ წინასწარ არ შეუთანხმა უფროსს. მაინც რამ მისცა "სბოი", ოქრუაშვილის სტრატეგიამ თუ ტაქტიკამ? თუმცა ჩვენთვის ორივე შემთხვევა ერთნაირად მძიმეა და ერთნაირად ნიშნავს რევოლუციის კრიზისს.

პასუხის ლანდი ქვემოთ გამოკრთება: "**ჩვენს ხალხს სჭირდება დღეს ჩვენი ურთიერთობა და ურთიერთშეთანხმებული, ზუსტი განრიგით მოქმედება. აქამდე ჩვენი წარმატება ემყარებოდა ყოველთვის ამ ერთიანობას და გათვლილ მოქმედებებს**". გამოდის, რომ ოქრუაშვილის შეცდომა გათვლაში იყო და არა შინაარსში? მაგრამ განვაგრძოთ: "**ჩვენ დღეს იმაზე კი არ უნდა ვმსჯელობდეთ, ადრე რატომ არ გამოსწორდა ეს პრობლემები, არამედ იმაზე, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სიტუაცია კიდევ უფრო უკეთესი იყოს, ვიდრე არის დღეს**". კეთილი და პატიოსანი, მაგრამ კანონი? კანონს რაღა ვუყოთ, ბატონო პრეზიდენტო? კანონიც იმავეს გვიბრძანებს? არა, სულაც არ ვამტკიცებ, რომ ოქრუაშვილის ბრალდებები მართალია, ან ბარამიძის არგუმენტები ფუჭია — შესაძლოა, პირიქითაც იყოს. მე ის მაინტერესებს, რომელ სახელმწიფოებრივ საფუძველს ეყრდნობა პრეზიდენტის დირექტივა, რაზე უნდა ვიმსჯელოთ და რაზე არა. კიდევ ერთი წინააღმდეგობა: წინადადება აშკარად "პიარულია" (ხალხმა ის უნდა იცოდეს, რისი მოსმენაც ესიამოვნება), ოქრუაშვილს კი იმას საყვედურობენ, "პიარს" გადააყოლა საქმეო.

ახლა კი ოდნავ წინ წავიწიოთ: "**მართლაც არის უნიკალური პერსპექტივები იმისა, რომ საქართველოში ეს სტრუქტურა რაღაცას დაემსგავსოს. აქედან გამომდინარე, გვინდა, რომ ჩვენ გვქონდეს სრული ურთიერთქმედება და კონცენტრაცია**". ესეც ასე, "სრული ურთიერთქმედება და კონცენტრაცია", ნეტა რას ნიშნავს? მაგრამ ძაღლის თავის ამოსათხრელად ოდნავ უკან დავიხიოთ: "**ჩვენ ვართ ხალხის მთავრობა. ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა არა ერთმანეთის წინაშე, არა, თუნდაც პრეზიდენტის და პრემიერის წინაშე, არამედ ჩვენი ხალხის წინაშე**". ესეც გვჯერა, ძალიან კარგი, თუ ასეა. მაგრამ როდის იყო, რა ფორმით და სად დაფიქსირდა, რომ ხალხს ჰკითხეს, თანახმაა თუ არა, რომ მაინცდამაინც ეს სტრუქტურა (თავდაცვის სამინისტრო) უნდა "დაემსგავსოს რაღაცას" და არა სხვა რამე, რაც ასევე არაფერს ჰგავს — მერე და რამდენი რამაა ასეთი უმსგავსო და უპატრონო ჩვენს დალოცვილ მიწა-წყალზე!

ვიჩქაროთ, მკითხველო, ვიჩქაროთ! წინ კიდევ უფრო საინტერესო რამ გველის: "**პრესკონფერენციებით ლაპარაკი ნორმალურ მთავრობაში არ ხდება. ეს ხდებოდა ჩემი წინამორბედის მთავრობაში და იმიტომაც დაემხო თავზე ქვეყანა. მე ამის მოსმენას არ ვაპირებ**". მართალი გითხრათ, ვერ ვიხსენებ, შევარდნაძის დროს მინისტრები ერთმანეთს პრესკონფერენციებით თუ ელაპარაკებოდნენ. მაგრამ ამაზე არ შევეკამათები პრეზიდენტს — მთავარსარდლის სიმაღლიდან უკეთ ჩანს. სხვა რამეა აქ საკითხავი: რაო, შევარდნაძეს დაემხო ქვეყანა თავზე, თუ ქვეყანამ დაამხო შევარდნაძე? რაღაც ვერ გავიგეთ. ცოტაც მოვითმინოთ და ამასაც მივხვდებით: "**ორივენი ხართ ჩემი მეგობრები, ახლობლები, ორივეს ძალიან გაფასებთ**". აჰა, ახლა კი გასაგებია: პირადი და საქმიანი ურთიერთობის ჩვეულებრივ აღრევასა აქვს ადგილი. ასეთ პირობებში კი ქვეყანა სრულიად ზედმეტი რეალობაა. შევარდნაძეს დაემხობა თავზე და დაიმსხვრევა, თუ, პირიქით, მის დამხობაში შეასრულებს ინსტრუმენტის როლს, ეგ სულ ერთია. მთავარია, შევარდნაძე გადადგა. ის მეგობარი და ახლობელი არ ყოფილა. ჩვენ კი, ბოდიში და, სულაც ფეხებზე გვკიდია, ოქრუაშვილი და ბარამიძე არიან თუ არა სააკაშვილის მეგობრები და ახლობლები. ამაზე ჟურნალმა "სარკემ" იტეხოს თავი. ჩვენთვის ისაა მთავარი, რომ პრეზიდენტის თუ პრემიერის ურთიერთობას მინისტრთა კაბინეტთან გოგო-ბიჭების დაწიოკების სახე კი არ ჰქონდეს, არამედ არსობრივად კანონის აღსრულებასა და განხორციელებას წარმოადგენდეს. აქ კი მეგობრობა-ახლობლობას რა თავში ვიხლით?!

როგორც ეტყობა, სააკაშვილი ამას გრძნობს, ამიტომაც შემდეგი სიტყვაა "მაგრამ"... "**მაგრამ არა მხოლოდ ამას უნდა დაესვას დღეს წერტილი, არამედ ბატონ ზურაბს მინდა ვთხოვო: თუ მომავალში რომელიმე მინისტრს გაუჩნდება ცდუნება, მთავრობის შიგნით ურთიერთობები ჯერ პრესკონფერენციებზე გაარკვიოს და მერე საქმიან ვითარებაში, კარი ყველასათვის ღიაა, სადაც უნდა, იქ წავიდეს და მიხედოს თავის საქმეს**". აქ რამდენიმე მომენტია საგულისხმო.

ჯერ ერთი, ოქრუაშვილის ინიციატივას მიეცა ერთობ უცნაური კვალიფიკაცია — მთავრობის შიგნით ურთიერთობების გარკვევის ცდა. რას იზამ, როგორც ჩანს, ბარამიძე ერთ რამეში ნამდვილად არის ცამდე მართალი: "**რა ევროკავშირში გაერთიანებაზე და ევროინტეგრაციაზე, რა ცივილურობაზე ვლაპარაკობთ ჩვენ?**". მართლაც, სახელმწიფო ბიუროკრატიის ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება მისი უპიროვნობაა. ჩვენში კი ყოველი ბიუროკრატიული ნაბიჯი განიხილება როგორც რაღაც პირადული მიზნების მატარებელი. ეს მიდგომა იმდენად გამჯდარია ჩვენი საზოგადოების ყველა ფენაში, რომ ძალიან იშვიათად მხვდება ადამიანი, ვისაც ესმის, რომ, მაგალითად, მე ჩემს პუბლიკაციებში პიროვნებებს კი არა, იდეებსა და ტექსტებს განვიხილავ. მართალია, ოქრუაშვილისაგან მეც ბევრს არაფერს მოველი, მაგრამ ნუთუ მის მიერ მოწვეულ პრესკონფერენციაში მხოლოდ ამის დანახვაა შესაძლებელი?

მეორე: თურმე ჩვენი მთავრობის გამჭვირვალებას უნდა დაესვას წერტილი! გასაგებ ენაზე რომ ვთარგმნოთ, პრეზიდენტის სიტყვა ასე ჟღერს: თუ თქვენს კონფლიქტებს სააშკარაოზე გამოიტანთ, პორტფელებს დაგადებინებთ. გამჭვირვალება, რომელიც ლიბერალური დემოკრატიის საფუძველია, პრეზიდენტის სიტყვაში მოულოდნელ რელიგიურ კვალიფიკაციას იძენს: ცდუნება.

მესამე: დაპირისპირებულია პრესკონფერენცია და საქმიანი ვითარება. თურმე საზოგადოების მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში არასერიოზულია, საქმიან ვითარებას კი მთავრობის წევრთა შინაგან "რაზბორკებს" უწოდებენ.

მეოთხე: უკვე მერამდენე ადამიანი მეუბნება (უფრო სწორად, საქართველოს მოქალაქეები, რომელთა წინაშე ანგარიშვალდებულნი არის ჩვენი მთავრობა), პრეზიდენტის სიტყვა რომ მოვისმინეთ, ის აზრი გამოვიტანეთ, რომ ვინც აქამდე დაუჭერია ოქრუაშვილს, ყველა უდანაშაულო ყოფილაო.

ბოლოს კი მიხეილ სააკაშვილი სრულიად მოულოდნელ გადაწყვეტას გვთავაზობს: "**მე დარწმუნებული ვარ, რომ როცა სადმე გავალ, მსგავსი რამე არ განმეორდება და როცა აქ ვარ... არ მომხდარა აქამდე და არც ამის შემდეგ მოხდება, იმედია**". ენა აებნა პრეზიდენტს. ადვილი არაა იმის აღიარება, რომ ყველაფერი ერთი კაცის კისერზე ჰკიდია. მაგრამ არ ეთმობა, მაინც არ ეთმობა ეს არაბუნებრივი მდგომარეობა...

ჰოდა, ის, რაც გოგოლის "რევიზორივით" დაიწყო, იბსენის "მოჩვენებებივით" უნდა დამთავრდეს, მით უმეტეს, რომ სცენაზე ფრუ ალვინგიც ფიგურირებს და მისი მოძღვარი პასტორიც. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენი ქვეყნის მომავალში კვლავ ჩვენი უახლოესი წარსული იჩენს თავს და საქმე მარტო **ეკა ბერიძითა** და **კოკა ყანდიაშვილით** არ ამოიწურება. ტყუილად კი არ იკრიბება საპატრიარქოში თითქმის სრულად ჩვენი პოლიტიკური კუნსტკამერა თუ პანოპტიკუმი. დასპირტულ მუტანტებსა და ცვილის ფიგურებსაც სჩვევიათ ხანდახან გაცოცხლება.

მე კი რა უნდა ვთქვა? ჯერ კიდევ წინაა "ძველი ახალი წელი" და ხალხი თუ სააკაშვილისგან საქმეს ელის, ბუნებრივია, ჩემგან რაიმე მილოცვასა და კეთილ სურვილს ელოდეს. როგორ გავუცრუო იმედი?

ამ ორიოდე კვირის წინ ერთმა ნერვული კრიზისის ზღვარზე მყოფმა ქალმა (კიდევ კარგი, ერთი იყო!) მითხრა, ყველაფერში კომპეტენტური როგორ ხარო? რა ვქნა, სინამდვილეა ისეთი უბადრუკი თორემ, აბა, განა ასეთ რამეებში უნდა ვერკვეოდე? ჰოდა, გისურვებთ, სულ მალე გვეცხოვროს ისეთ რეალობაში, სადაც აღარ იარსებებენ ავტორიტეტები და ავტორიტეტუკები და მე, ნოდარ ლადარია, ერთ ან, ჰა, ჰა, ორ რამეში თუ ვიქნები კომპეტენტური. მრავალს დაესწარით!



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge






## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ლაშა ნოზაძე
"არ გადამრიო"
რეჟისორი: ლაშა ნოზაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**რუსთაველი**
"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 11:00; 17:00; 19:10 სთ.

"პოლარული ექსპრესი"
დას: 13:10 სთ.

"ღრუბლებთან თამაში"
დას: 22:15 სთ.

**ამირანი**
"პოლარული ექსპრესი"
დას: 12:00; 16:00; 20:00 სთ.

"ყველაზე მაგრები მსოფლიოში"
დას: 18:00 სთ.

"საღამო ჟამს"
დას: 22:00 სთ.

**ცირკი**
საშობაო-საახალწლო წარმოდგენა
მოსკოვის საცირკო კოლექტივის ახალი პროგრამა
დას: 12:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
თემო აბუთიძის ფოტონამუშევრების გამოფენა

**საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი**
გამოფენა "შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"

**თბილისის ისტორიის მუზეუმი "ქარვასლა"**
"ქარვასლასა" და სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმში დაცულ ექსპონანტთა გამოფენა

**ჰობი**
საშობაო გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ვერა ქიქოძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)
II დარბაზი

ლერი ჭანტურიას ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება)
I დარბაზი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# საბალეტო საახალწლო სიზმარი

**"მაკნატუნა"- სიმფონია ბავშვობაზე**

სოფო კილასონია

ხუთი წლის წინ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში პეტრე ჩაიკოვსკის ბალეტი "მაკნატუნა" დაიდგა და მას შემდეგ ჩვენი თეატრი ყოველ ახალ წელს ამ სპექტაკლით აღნიშნავს. ასე ხდება მსოფლიოს, თითქმის, ყველა წამყვან თეატრში - "მაკნატუნა" ხომ საბალეტო თეატრების რეპერტუართა ყველაზე დიდი ხიბლისა და სილამაზის მქონე სპექტაკლი-სანახაობაა. ბალეტი, რომელიც კლასიკურ დადგმებს შორის ერთ-ერთი საუკეთესოა, ჩვენთან, გოგი ალექსიძის სურვილითა და დიდი მონდომებით, თავად მისმა დამდგმელმა-ქორეოგრაფმა იური გრიგოროვიჩმა დადგა. მაშინ თეატრში არც გათბობა იყო და არც ხელფასები, ამიტომაც გამოჩენილ ბალეტმაისტერს არაერთხელ მოუხდა მსახიობთა გვერდით დგომა, რომლებიც, პროტესტის ნიშნად, მუშაობაზე უარს ამბობდნენ. ეს ისე, მეორეხარისხოვანი ეპიზოდია, თანაც არა ამ სპექტაკლის, არამედ საბალეტო დასის უახლოესი წარსულიდან. დადგმა მშვენივრად განხორციელდა, თვალისმომჭრელი ბრწყინვალების მქონე სოლიკო ვირსალაძის დეკორაციები შეიქმნა და მაშინ დასისთვის უცხო, ახალი კოსტიუმები შეიკერა; ორკესტრიც ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით, მართლაც, საუკეთესოდ მომზადდა და მაყურებელმაც არაჩვეულებრივი სანახაობა მიიღო.


*სცენა სპექტაკლიდან*

ენთუზიაზმმა, რომელიც დიდი თეატრის რეპეტიტორებმა ქართველ მსახიობებს გაუზიარეს, დასს არაჩვეულებრივად მომზადებული და შეკრული სპექტაკლი შეაქმნევინა. მაშინ, თითქოს, ყველაფერმა ფერი იცვალა. სულ სხვაგვარად აცეკვდნენ, სულ სხვაგვარად გამოიყურებოდნენ, დილიდან საღამომდე მუშაობდნენ და მშვენიერ შედეგსაც მიაღწიეს. თუმცა, ასეთი შემართება დიდხანს არ შერჩენია "მაკნატუნას". მახსოვს, თეატრის დერეფნებში როგორ ამბობდნენ, - "გრიგოროვიჩი წავიდა და ..." მართლაც, ყოველ სპექტაკლს რაღაც აკლდებოდა - ხან "თოვლი" არ ციოდა სცენაზე, ხან კვამლი არ ჩანდა, მერე ორკესტრსაც რაღაც დაემართა. შესაძლოა, ყველა სპექტაკლს ასე ემართება პრემიერის შემდეგ, მაგრამ "მაკნატუნა" იმ სპექტაკლთა რიცხვს ეკუთვნის, სადაც, ქორეოგრაფიის, მხატვრობისა და მუსიკის ერთნაირად უნიკალურობის გამო, სპექტაკლი თავიდან ბოლომდე უნდა ბრწყინავდეს. ასეთი სანახაობის ფონზე, ნებისმიერი ხარვეზი თვალში საცემია. "ეს თოჯინების ბალეტი" მსახიობთაგან განსაკუთრებულ დახვეწილობასა და უნაკლო შესრულებას მოითხოვს.

"ბალეტი ხომ იგივე სიმფონიაა", - ამბობდა პეტრე ჩაიკოვსკი, მაშინ, როდესაც საბალეტო მუსიკას დიდი სერიოზულობით არავინ ეკიდებოდა. "მაკნატუნას" საორკესტრო შესრულებამ დიდი წარმატება დაიმსახურა, მაგრამ თავად დადგმულ სპექტაკლს პეტერბურგის მარინის სახელობის თეატრის მაყურებელი ისეთივე აღტაცებით არ შეგებებია. ჰოფმანის ზღაპარზე შექმნილმა მარიუს პეტიპას ინსცენირებამ და ლევ ივანოვის ქორეოგრაფიამ კრიტიკას ვერ გაუძლო. ეს 1892 წლის 6 დეკემბერს მოხდა. მას შემდეგ არაერთი გამოჩენილი რუსი და ევროპელი ქორეოგრაფი "შერკინებია ჩაიკოვსკის მუსიკის უსასრულო ფერადოვნებას, ფანტაზიასა და არაჩვეულებრივ მელოდიურობას", თუმცა "მაკნატუნა" ხელახლა მხოლოდ იური გრიგოროვიჩისა და სოლიკო ვირსალაძის ნიჭით დაიბადა და მხოლოდ მათმა ტანდემმა აქცია პეტიპას იდეა რუსული, მეტიც, მსოფლიო ბალეტის კლასიკად.

2005 წელი დადგა. ოპერისა და ბალეტის თეატრის დარბაზშიც ბავშვები ახმაურდნენ. 8 და 9 იანვარს სცენა ვირსალაძის საყვარელი - წითელი, ვერცხლისფერი და თეთრი ფერებით აფერადდა და "ბავშვობაზე დაწერილი სიმფონიაც" გიორგი ჟორდანიას დირიჟორობით აჟღერდა.

პირველ სპექტაკლს, რომელსაც დავესწარი, დიდად წარმატებულს ნამდვილად ვერ დავარქმევდი. იქ ყველაფერი იყო, რაც ადრეც ხშირად გვინახავს - მომძვრალი საკოსტიუმო ატრიბუტები, გამძვრალი ფეხსაცმელები, უდროოდ აჩქარებული და ნაადრევად შენელებული მუსიკალური თანხლება. განსაკუთრებით, თვალში საცემი პირველი მოქმედების ერთგვარი დაუხვეწელობა გახლდათ, რაც ჯერ ბავშვების - ანუ "ბიჭუნებისა და გოგონების" უხეშ შესრულებაში, შემდეგ კი "თოჯინათა" ზოგან გაუბედავ, ზოგან კი ზედმეტად გაბედულ ხარვეზიან ცეკვებში გამოვლინდა. საერთოდ, დასისა და ზოგიერთი სოლისტის შესრულება ბოლომდე მოუმზადებლობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ამაზე საუბარი უხერხულად მიმაჩნია, როცა სცენაზე ნინო ანანიაშვილმა, ჩეულებისამებრ, გაიბრწყინა, ხოლო დავით ხოზაშვილმა მას საიმედო და შესაფერი პარტნიორობა გაუწია.

"საახალწლო ღამეს მარის მშობლების სახლში სტუმრები იკრიბებიან. მათ შორისაა თოჯინების ოსტატიც, რომელმაც ბავშვებს არაჩვეულებრივი საჩუქარი - მხიარული მაკნატუნა მოუმზადა"... - ასე იწყება თითქმის ორი საუკუნის წინ დაწერილი ზღაპარი, რომლისადმი გულგრილი დღემდე ვერც ერთი პატარა ვერ რჩება და რომლის საბალეტო ვერსიის ნახვის საშუალება 9 იანვარს გამართულ საქველმოქმედო სპექტაკლზე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ, ინვალიდ და დევნილ ბავშვებსაც მიეცათ.

სანამ საბალეტო დასი მორიგ იაპონურ გასტროლებზე გაემგზავრება, თეატრში "მაკნატუნას" კიდევ რამდენიმე წარმოდგენა გაიმართება, რის შემდეგაც ეს ულამაზესი საბალეტო საახალწლო სიზმარი მომავალ, 2006 წლამდე დაგვემშვიდობება.

# ოცნების ქალაქში დასაბრუნებლად

**ხელოვნების დახმარებით**

ვერა ნეფარიძე

*"გისურვებთ, ძალიან მალე მორიგი გამოფენის გახსნა აფხაზეთში აღგვენიშნოთ", - ასეთი იყო ძირითადი სურვილი, რითაც გამოფენის ავტორს ესალმებოდნენ და ემშვიდობებოდნენ ახლობლები ეროვნულ გალერეაში. გუშინ აქ სოხუმელი მხატვრის ლერი ჭანტურიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა განვითარებისა და რეფორმების ფონდმა მოაწყო.*


იური ლობოდინის ფოტო

*ლერი ჭანტურია (შუაში) გამოფენის გახსნაზე.*

დაკვირვებული მკითხველი, ალბათ, იკითხავს, რა კავშირშია გამოფენის ორგანიზება ამ ფონდთან და შეკითხვა ლოგიკურიც იქნება. საქმე ის არის, რომ ფონდი საქმიანობის არეალის გაფართოებაზე მუშაობს. მისი მთავარი ამოცანა საქართველოს მთავრობის მხარდაჭერაა საჯარო ადმინისტრაციის სისტემის რეფორმაში, რაც საჯარო მოსამსახურეთათვის შესაბამისი ანაზღაურების უზრუნველყოფაში გამოიხატება. ამჟამად ფონდის ინტერესებში აფხაზური თემატიკაა. ამიტომაც ფონდისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ეს პროექტი - როგორც ერთ-ერთი საშუალება აფხაზეთის მკვიდრებთან; როგორც ფონდის წარმომადგენელმა პირად საუბარში გვითხრა, მათთვის საინტერესოა ამ ადამიანთა მოსაზრებები აფხაზეთის დაბრუნებასთან დაკავშირებით; გუშინდელი გამოფენის ავტორს კი, როგორც თავად გაგვიმხილა, "ოცნების ქალაქში" (მისი ერთ-ერთი იდეის სახელწოდებაა) დასაბრუნებლად საკუთარი ხედვა და პროექტიც მზადა აქვს.

ლერი ჭანტურია სოხუმში დაიბადა. მისი ნამუშევრების პერსონალური და ჯგუფური გამოფენები 1973 წლიდან გამართულა როგორც საქართველოში (სოხუმი, თბილისი, სენაკი, ბიჭვინთა), ისე მის ფარგლებს გარეთ (მოსკოვი, ფალსტერბო, ტრელებორგი, ლუნდი, გერმანია). მიღებული აქვს შერვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია (1996 წელს); ასევე პოლოკ კრასნერის ჯილდო: "ეს ერთგვარი დახმარებაა შემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად, რომელიც აბსტრაქციონისტებისთვის დააწესა კრასნერმა. 16 ათასი დოლარი მომცეს, რითაც ძვირად ღირებული საღებავები შევიძინე", - იხსენებს ლერი ჭანტურია. მხატვარი ამჟამად აშშ-ში არსებული საერთაშორისო ქანდაკების ცენტრის წევრიცაა. წლების წინათ, როდესაც ბიძასთან, კარლო გრიგოლიასთან ერთად "ავანგარდისტთა ასოციაცია" ჩამოაყალიბა, მათი მოღვაწეობით ზემოთ აღნიშნული ცენტრი დაინტერესდა. "მოგვიანებით, როდესაც ამერიკაში გამართულ სიმპოზიუმზე ჩავედი, აღმოვაჩინე, რომ იქაც ოპოზიციაში ვარ; იქ ფუნქციონალურია ყველაფერი, აქ - ნონფუნქციონალური". შემოქმედებითი იდეების განსახორციელებლად საჭირო პირობებით არც ახლაა კმაყოფილი. ამბობს, რომ მზად არის გაცილებით ფართომასშტაბიანი პროექტებისთვის, მაგრამ ინტერესისა და საჭირო მხარდაჭერის დრო ჯერ არ დამდგარა. თუმცა, რასაკვირველია, კმაყოფილია პრეზიდენტთან არსებული განვითარებისა და რეფორმების ფონდის, რომელმაც მისი იდეის - "ოცნების ქალაქის" ერთი ფრაგმენტის ეროვნულ გალერეაში დამთვალიერებლის წინაშე გამოტანა შეძლო. მხატვარსა და მოქანდაკეს ასევე მზადა აქვს პროექტი მომავალი საქართველოს განვითარებისთვის, რომელსაც, ალბათ, პირველ რიგში, გუშინდელი გამოფენის ორგანიზატორი ფონდი გაეცნობა. "მე ოდნავაც არ მეპარება ეჭვი, რომ აფხაზეთში დავბრუნდები", - ისევე ამთავრებს ჩემთან საუბარს ლერი ჭანტურია, როგორც გამოფენის გახსნაზე მიწვეული სტუმრები ამთავრებდნენ საკუთარ გამოსვლას მიკროფონთან.

"ღვაწლმოსილი მხატვარი", "არაჩვეულებრივი ფერმწერი", "მისი ნამუშევრები ცხოვრების სიყვარულით გაჟღენთილია, სადაც არ ჩანს ტრაგედია", "ძალიან საინტერესო მოქანდაკე", - ეს გუშინდელი შეფასებების მცირე ნაწილია. მე, უბრალოდ, ვერ დავეთანხმები ერთ-ერთ გამომსვლელს და ვიტყვი, რომ ეროვნული გალერეის კედლებს გუშინ ნამდვილად ვერ ათბობდა ექსპოზიცია, რაც, რასაკვირველია, არა მხატვრის, გალერეის ხელმძღვანელობის გადასაჭრელი პრობლემაა.

თვალსაზრისი

# მორიგი ძალადობა ქართულ ენაზე, ანუ შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება

დალი ფანჯიკიძე

ქართველი მაყურებელი, შეიძლება მოუთმენლად არა, მაგრამ ინტერესით კი ელოდა ე.წ. საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბებას, მით უმეტეს, რომ თავიდანვე ბუნდოვანი ჩანდა მისი კონტურები.

დადგა ახალი წელი, ვიხილეთ განახლებული პირველი არხი და აღმოჩნდა, რომ განახლება მხოლოდ გადაცემების სახელწოდებებს, უფრო სწორად, მათთვის სახელის გადარქმევას შეეხო და, სამწუხაროდ, ეს ოპერაცია ქართულ ენაზე ძალადობით გამოიხატა.

მე თუ მკითხავთ, პირველ არხზე თუ რაიმე შესაცვლელი არ იყო, ეს გადაცემების სახელები გახლდათ. მაგალითად: თავი რომ დავანებოთ იმას, რომ "ადრე" ენობრივადაც და შინაარსითაც უვარგისია, ხმოვანებითაც ვერ სჯობია წინანდელ "ალიონს"; ასევე, ვერ გამოხატავს თავის არსს სახელწოდება "მთავარი" და აქაც ისმის იგივე კითხვა: რით სჯობია იგი მშვენიერ, ტრადიციულ "მოამბეს"? კიდევ ერთი გაუგებრობაა ის, რომ "სარჩევი" ის არ ყოფილა, რაც აქამდე გვეგონა. იგი თურმე "რჩევების" სამჭედლოა და ამას, ლამის, ყოველ გადაცემაში გვიხსნის აშკარად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კარგი მოქართულე წამყვანი თეა გვასალია.

ასევე, არ მესმის, მაყურებლის დასაბნევად, თუ მისაზიდად დაერქვა გია მაჩაბლის მშვენიერ გადაცემას "რაციო".

"განახლებული" პირველი არხის მიმართ ჯერჯერობით ეს კითხვები გამიჩნდა. თუმცა, მგონია, რომ ისინი უპასუხოდ დარჩება.

# მკითხაობა ყავაზე

თემა - "ოსკარი"



მკითხაობა სახალისოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისეთ უწყინარ თემაზე მკითხაობ, როგორიც "ოსკარის" ნომინანტი ფილმებია და ამას მკრეხელობადაც არავინ გითვლის. ალბათ, ამ მიზეზით, თანდათან ძალაში შედის საგაზეთო მკითხაობა იმ ჰოლივუდურ ფილმებზე, რომელთაც "ოსკარით" დაჯილდოების შანსი აქვთ.

ოფიციალურად ნომინანტების ვინაობა 25 იანვარს გახდება ცნობილი. მანამდე კი, ვარაუდობენ, რომ პოტენციურ კანდიდატებს შორის ყველაზე პოტენციურია ორი ფილმი - მელ გიბსონის "ქრისტეს ვნებანი" და მაიკლ მურის "ფარენჰეიტი 9/11". ამ ორმა სურათმა ხომ შარშანდელ კინოცხოვრებაში მართლაც უამრავი რამ განსაზღვრა. ყველაზე დიდხანს ალაპარაკა ხალხი, ყველაზე მეტი დოლარი მოიპოვა და ყველაზე სერიოზული პრიზებითაც დაჯილდოვდა.

თუმცა, მაშინ, როცა კრიტიკოსთა ნაწილი გიბსონისა და მურის ნამუშევრებს წლის ფილმებად აღიარებს, მეორე ნაწილი ეჭვობს, რომ ჟიური მათ გვერდს აუვლის, უფრო სხვა ხასიათის ფილმებზე აიღებს სწორებას, რითაც კიდევ უფრო ამოვარდება საერთო კონტექსტიდან, ვიდრე ოდესმე.

ყოველთვის ძნელია იმის განსაზღვრა, თუ რა ნიშნით არჩევენ ფილმებს "ოსკარზე" წარსადგენად. ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი არ არის კინოთეატრების სალაროებიდან შესული თანხა. მაგალითად, "შრეკი-2" 2004 წლის ყველაზე შემოსავლიანი სურათი იყო, მაგრამ ის არათუ ვერ მოხვდება საუკეთესო ფილმის ნომინაციაში, ალბათ, ვერც თავის - ანიმაციური ფილმების ნომინაციაში იხეირებს. იქ ხომ მას მეორე სუპერ-წარმატებული სურათი The Incredibles უწევს კონკურენციას. იგივე შეიძლება ითქვას საშობაო თემატიკის ფილმზეც "გაიცანით ფოქერსები", რომელმაც პრემიერიდან მეორე კვირის თავზე 42 მილიონი დოლარის დაგროვება შეძლო. ფინანსური წარმატების მიუხედავად, არც ამ ფილმს უწერია ბევრი სტატუეტის მოპოვება.



ბლოკბასტერებისა და მრავალმილიონიანი ფილმების ამ სპექტრის გვერდით ყოველთვის გულისხმობენ მეორე, პოლარულად დაპირისპირებულ მხარეს - დამოუკიდებელ ფილმებს. მათგან გამორჩეული სურათი წელს ალექსანდერ პეინმა წარმოადგინა. "პირისპირ" სევდიანი კომედიაა ორ კაცზე, რომლებიც ღვინის წრუპვის ფონზე საკუთარ შეცდომებსა და განვლილ გზას იხსენებენ. მაგრამ გამარჯვება "საოსკარე დოღზე", ალბათ, არც ამ ფილმს უწერია. მან ჯამში 22 მილიონი დოლარი მოაგროვა და შემოსავლით ჩამორჩა ისეთ სულელურ ფილმსაც კი, როგორიც იყო "მოჯადოებული ელა".

ასე რომ, ამ ფონზე საუკეთესო ფილმის ყველაზე პოტენციურ კანდიდატებად ისევ გიბსონისა და მურის ნამუშევრები რჩება.



გარდა იმისა, რომ "ქრისტეს ვნებანი" ბოლო პერიოდში შექმნილი ყველა ფილმისგან გამოირჩევა თავისი უნიკალური თემატიკით და რეჟისურით, მას ფინანსური წარმატებაც უმაგრებს ზურგს. გიბსონის სურათმა 370 მილიონი დოლარი დააგროვა და წლის მესამე ყველაზე შემოსავლიანი ფილმი გახდა. ამ სურათის უკან იგულისხმება ფანების უზარმაზარი არმიაც. გიბსონმა მოახერხა და კინოთეატრებში მიიზიდა ის მაყურებელიც, რომელიც მანამდე ახლოსაც არ ეკარებოდა მას. ისინი რეჟისორმა ქრისტეს წამების ეკრანიზაციით აცდუნა. ასე რომ, უნიკალური თემატიკა, დიდი ფინანსური წარმატება და ფანების მრავალრიცხოვანი ჯარი - ასეთია "ქრისტეს ვნებანის" მონაპოვარი. და თუ ჰოლივუდი მაინც გადაწყვეტს ფილმის იგნორირებას, მაშინ ის კიდევ უფრო გაიმყარებს ზედმიწევნით ებრაული, ამორალური და უგემოვნო ინსტიტუტის იმიჯს - ასეთია "ნიუსდეის" მიმომხილველის ჯონ ანდერსონის აზრი.

ისედაც ხომ ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკულ შოუბიზნესს გარკვეული ტიპის ცენზურა მძიმე ჯვრად აწევს ზურგზე. ცენზურის თემას კი გიბსონის ფილმიდან მაიკლ მურის აგრესიულ სამყაროში გადავყავართ. მურის "ფარენჰეიტი 9/11" ხომ სხვას არაფერს "ღაღადებს". კანის მთავარი პრიზით აღნიშნული სურათი ყველაზე შემოსავლიანი დოკუმენტური ფილმიცაა და არ არის გამორიცხული, სამხრეთ საფრანგეთში მომხდარი ინციდენტი თებერვალში, "ოსკარის" ცერემონიალზეც გამეორდეს.



თუმცა, თუ პოტენციაზე მიდგება საქმე, მას არც სხვა ფილმები უჩივიან. საუკეთესო ფილმის კატეგორიაში შესაძლო ნომინანტებად შემდეგი სურათები ითვლება:

"ავიატორი" - "ოსკარის" ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო შეცდომა ხომ ის არის, რომ მარტინ სკორსეზე არასდროს დაუჯილდოებიათ საუკეთესო რეჟისორის პრიზით. "ავიატორი" ამ შეცდომის გამოსწორების საუკეთესო შანსია. ამ ფილმს თითქმის ყველაფერი აქვს, რასაც კინოაკადემიის ჟიური ითხოვს ხოლმე. ის ეპიკური მასშტაბისაა, მრავალფეროვანი თემატიკით გამოირჩევა, ცნობილი ადამიანის ბიოგრაფიას ეფუძნება, მთავარ როლს კი დიდი ვარსკვლავი ლეონარდო დი კაპრიო ასრულებს. ასე რომ, არ არის გამორიცხული, სკორსეზეს, ბოლოს და ბოლოს, ეღირსოს თავისი წილი "ოსკარი".

"მილიონდოლარიანი გოგონა" - ამ სათაურის მიღმა სულაც არ იგულისხმება ქალების აუდიტორიაზე გათვლილი გულისამაჩუყებელი რომანტიკული კომედია ან დრამა. ეს კლინტ ისტვუდის - სკორსეზეს მთავარი პრეტენდენტის საკმაოდ კარგი სურათია, რომელიც მოკრივე ქალის ცხოვრებაზე მოგვითხრობს.

"რეი" - რეი ჩარლზის ცხოვრების მიხედვით გადაღებული სურათია. თუმცა, კინოთეატრში მაყურებელი არა მარტო საყვარელი მუსიკოსის ბიოგრაფიის ეკრანიზაციამ, არამედ ჯეიმი ფოქსის შესანიშნავმა თამაშმაც მიიზიდა. როგორც რეცენზენტები ამბობენ, ფოქსი შესანიშნავად ასრულებს რეი ჩარლზის როლს.

"იპოვო ნევერლენდი" - სურათი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ ითვლება ბლოკბასტერად, მაგრამ მაინც მაყურებლისა და მიმომხილველების დიდ სიმპათიას იმსახურებს. ჯონი დეპი პიტერ პენის ავტორის როლს ასრულებს. მას პარტნიორობას უწევენ დასტინ ჰოფმანი და ქეით ვინსლეთი. ეს კი წარმატების სერიოზულ საფუძველს ქმნის.

და ბოლო შესაძლო კანდიდატურა - "უდარდელი გონების მუდმივი ნათება", რომანტიკული კომედია ჯიმ ქერისა და ქეით ვინსლეთის მონაწილეობით. სურათი, რომელიც შესანიშნავი სცენარით, კარგი არტისტიზმით და კომპლექსური სიუჟეტით გამოირჩევა.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ ეს მხოლოდ მკითხაობა და ვარაუდები იყო. ნამდვილ კანდიდატებს ჰოლივუდის წლის მთავარი კინომოვლენისთვის 25 იანვარს შევიტყობთ. მერე კი, თებერვალში, ნამდვილ გამარჯვებულებს გამოვავლენთ.




დათო ტურაშვილის სვეტი

## ყოველ სამშაბათს



SMS
რამდენიმე მოკლე ტექსტური შეტყობინება
(მათთვის, ვინც ტელეფონის ზარებს აღარ პასუხობს)

877 577897

როცა გავიგე, რომ საახალწლოდ თბილისში ყინულის საფარი ჩამოჰქონდათ, დიდად გავიხარე, რადგან, ჩემი ექიმის აზრით, რაც ყველაზე მეტად უშველის ჩემს გაციებულ ბრონქებს, სწორედ ყინულზე სრიალია. მართალია, ჩემთვის ციგურების მორგება და ზამთრის ოლიმპიადაზე ოცნება ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ, როგორც ექიმებმა მირჩიეს, ციგურების გარეშეც, ყინულზე სიარული ან, უბრალოდ დგომაც კი, ჩემი ბრონქებისთვის დიდად სასარგებლოა. ამიტომაც გამახარა დიდად ყინულის ჩამოტანის იდეამ და ამ შეღავათისთვის მერიის თანამშრომლების სადღეგრძელოს თქმაც კი მქონდა ჩაფიქრებული ახალი წლის ღამეს. შეღავათი კი მართლაც სერიოზული იყო ჩვენი ოჯახური ბიუჯეტისთვის - ყინულის გამო, უნდა წავსულიყავი ბაკურიანში, ბაკურიანში მარტო მე არავინ გამიშვებდა, ცოლი თუ არა, შვილები ხომ მაინც ამეკიდებოდნენ და მათი კვება, თხილამურები და ხალისობა რაც ჯდება, მშვენივრად მოგეხსენებათ. ამიტომაც, დეკემბრის მეორე ნახევარი (რაც ეს ინფორმაცია მივიღე), სულ თქვენ ლოცვაში გავატარე და, ალბათ, ჩემსავით კიდევ რამდენი გლოცავდათ, მოსახლეობისათვის უანგარო ზრუნვის გამო. ახალი წლის დადგომაც, ბავშვობის შემდეგ, ასე არ გამხარებია; პირველად დამწყდა გული, რომ საახალწლო სამზადისში არასდროს არანაირი მონაწილეობა არ მიმიღია, რომ არაფერი მეხერხება და ძალიან მომინდა ჩემს გაოგნებულ ცოლს (ჭამის გარდა) რაღაცაში მაინც დავხმარებოდი. სამზარეულოს მისადგომებთან რომ არაფერი გამომივიდა, არანაკლებ გაკვირვებულ შვილებთან ერთად (ხელჩაკიდებულმა) სიმღერით შემოვუარე ჩვენს საოჯახო ნაძვის ხეს და ბავშვებს ავუხსენი, რომ ხვალიდან (აქამდე მოწყენილი) მათი მამიკო იქნება მუდამ ასეთი მხიარული, რადგან სწორედ ამ წელს (მერიის დამსახურებით) მთავრდება მამიკოს ბრონქიტი და, ჩვენი მერიის წყალობით, ეს ბრონქიტი არათუ გადაიზრდება ქრონიკულში, პირიქით - საერთოდ გაქრება. როგორც ჩანს, ჩემს შვილებს (არ ამბობდნენ მაგრამ) ისე ენატრებოდათ მხიარული მამა, რომ ნაძვის ხის გარშემო (სიმღერებს შორის) სიხარულით სკანდირებდნენ სიტყვა "მერიას" - ნიშნად უსაზღვრო მადლიერებისა იმ ხალხის მიმართ, ვინც მათი მამის ჯანმრთელობაზე უანგაროდ და გულწრფელად იზრუნა. როცა უკვე შინიდან გასვლას ვაპირებდი თავისუფლების მოედნის მიმართულებით, რა თქმა უნდა, შვილებმაც გამოთქვეს სურვილი, რომ თავიანთი თვალით ენახათ მერიის წინ მშობელი მამის გამოჯანმრთელების პროცესი, მაგრამ ვთხოვე თუ არა, სახლში დარჩენილიყვნენ, მაშინვე დამთანხმდნენ და ასეთი დამჯერები ჩემი შვილები არასოდეს მახსოვს. როგორც ჩანს, მათ იმდენად სურდათ ჩემი გამოჯანმრთელება, რომ საკუთარ სიამოვნებასა და გართობაზეც კი უარი თქვეს და სიხარულით დაიჯერეს, რომ მამიკო სამკურნალოდ მიდიოდა თავისუფლების მოედანზე და არა ახალი წლის შესახვედრად. და აი, სულ რამდენიმე წუთით ადრე (შინიდან გასვლამდე) ტელევიზიით მოვისმინე მომაკვდინებელი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისში საახალწლოდ ჩამოტანილი ყინული იყო სინთეტური, ანუ ხელოვნური, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზედ ფილტვებითაც რომ ვწოლილიყავი, თუნდაც ძველით ახალ წლამდე, ჩემს ბრონქებს მაინც არაფერი ეშველებოდა. არადა, უკვე სახლიდან გავდიოდი, უკვე ნახევარი ნაბიჯი მრჩებოდა ჯანმრთელობის აღდგენამდე, უკვე ვხედავდი სიხარულით აცრემლებულ ცოლ-შვილს უკანდაბრუნებული, სალბრონქებდამშვენებული მამის დანახვაზე...

აღარ წავედი და უფრო ვინანე - ვინანე, რადგან რომ წავსულიყავი, მხოლოდ იმ თანხებზე დამწყდებოდა გული, რაც იმ უცნაური ყინულის ხალხის ჩამოყვანას მოხმარდა თავისი ლაზერული მინათებით და იმას მაინც ვერ ვნახავდი, რაც ქართულმა ტელეკომპანიებმა გვაკადრეს საახალწლოდ, ოცდათერთმეტ დეკემბერს და იმას ხომ მაინც ვერ აღმოვაჩენდი, რომ, მგონი, ჩიხში ვართ. მგონი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ იმედს ვიტოვებ, რომ ვცდები და, უბრალოდ, მეჩვენება, რომ ჩვენი საქმე ცუდად, ძალიან ცუდად არის.

სხვა რითი უნდა აიხსნას ჩვენი ტელეკომპანიების სრულიად წარუმატებელი მცდელობა (მერამდენე წელია) წარმატებული საახალწლო პროდუქციის შექმნისა იმ ღამეს მაინც, როცა მთელი ქვეყანა ტელეეკრანებთან არის მიჯაჭვული და ყოველ წელს ელოდება რაღაც განსხვავებულს, მნიშვნელოვანსა და ფასეულს. საქართველოში, სადაც ყველაფრის დეფიციტია, ითვლებოდა, რომ უამრავი ნიჭიერი ადამიანი ცხოვრობს და ამ მხრივ მაინც ვართ განებივრებულები. დღემდე იმასაც ვფიქრობდი, რომ ამდენ ტელეკომპანიებს შორის ერთი რომელიმე მაინც შეძლებდა (საახალწლოდ მაინც) ისეთი პროგრამის მომზადებას, რაც მაყურებელს სიხარულისა და ბედნიერების ილუზიას შეუქმნიდა. საუბარია ილუზიაზე, თორემ ტელევიზიას რომ ადამიანისთვის ბედნიერება არ მოაქვს, დიდი ხანია, ვიცი. უკვე დიდი ხანია, ისიც ვიცი (დაახლოებით მაინც), როგორი იქნება საახალწლო პროგრამები და წელს, 31 დეკემბერს, ისევე როგორც შარშან ან შარშანწინ ერთადერთი რამაც ამაღელვა - "მრავალჟამიერია", რომელიც ოცდაათი საუკუნის წინ შეიქმნა და სულაც არ მინდა, რომ ქართული ნიჭიერება მხოლოდ წარსულთან ასოცირდებოდეს. რასაკვირველია, არც ისეთი ბრიყვი და პრეტენზიული ვარ, რომ ქართულ ტელეკომპანიებს შედევრების შექმნა მოვთხოვო, მაგრამ სადაც ამდენი ფული იხარჯება და ასეთი დაფინანსებაა, ხარისხიც უკეთესი უნდა იყოს. თავის მართლება კი იმ არგუმენტით, რომ მომხმარებელია ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია, რადგან ასეც რომ იყოს, ტელევიზიის არსებობასაც გამართლება მხოლოდ მაშინ აქვს, თუ იგი მომხმარებელს - მსენელსა და მაყურებელს უკეთესობისკენ ცვლის. უკეთეს ქვეყანაში ცხოვრება რომ მინდა, ამიტომაც შეგაწუხეთ, თორემ, სუბიექტურად, ტელევიზიისა და ორგანიზებული დღესასწაულებისადმი საკმაოდ გულგრილი ვარ. მინდა, რომ ჩემმა შვილებმა მაინც იცხოვრონ უკეთეს საქართველოში, თორემ კარგ ყინულს (იპოლიტე ხვიჩიასი არ იყოს) სიცოცხლეში რომ არავინ მაღირსებს, მშვენივრად ვიცი...

*გაგრძელება იქნება*

# ლიზარაზუს ცხოვრების უმნიშვნელოვანესი 6 თვე

*გასულ შაბათს ბიქსენტ ლიზარაზუ ჩაფრინდა დუბაიში, სადაც თავის "ძველ-ახალ" გუნდს, მიუნხენის "ბაიერნს" შეუერთდა შეკრებაზე. მეორე დღესვე ლიზარაზუმ თავისი პირველი ვარჯიში ჩაატარა "ბაიერნის" შემადგენლობაში. 35 წლის ფრანგი მცველი თავისი კარიერის უმნიშვნელოვანესი გამოწვევისთვის ემზადება.*



**- მოსიე ლიზარაზუ, ისეთი გრძნობა გაქვთ, თითქოს სახლში დაბრუნდით?**

- ეს მართლაც ძალიან ემოციური მომენტია ჩემს ცხოვრებაში. ძალიან ბედნიერი ვარ.

**- როგორ დაგხვდნენ "ბაიერნში"?**

- ეს რაღაც დაუჯერებელია, ენით აუწერელი. ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მიუნხენიდან ნახევარი წლის წინათ კი არა, ორი დღის წინათ წავედი.

**- "მარსელში" თქვენი გადასვლა ერთადერთი და უდიდესი შეცდომა იყო?**

- არა, არც ასე ცუდად ყოფილა საქმე. მანამ, სანამ "მარსელის" მწვრთნელი ჟოზე ანიგო იყო, ყველაფერი კარგად მიდიოდა. მასთან კარგი ურთიერთობა მქონდა, გუნდიც მეხუთე ადგილზე იყო. თუმცა, შემდეგ მოვიდა ფილიპ ტრუსიე და "კაენის" წინააღმდეგ პირველივე მატჩში ტრიბუნებზე მიმიჩინა ადგილი. ამის შემდეგ ჩვენს შორის უთანხმოება დაიწყო.

**- არ სცადეთ, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაგებრუნებინათ?**

- მოთამაშესა და მწვრთნელს შორის ურთიერთობა ძალიან მნიშვნელოვანია ფეხბურთში, ჩვენი ურთიერთობა კი ცუდი იყო. დეკემბერში არც ერთი მატჩი არ მითამაშია. ბოლოს ვარჯიშზე ისე მივდიოდი, არც კი ვიცოდი, რა მესაქმებოდა იქ. ამიტომ გუნდის შეცვლა ნამდვილი შვება იყო ჩემთვის.

**- ზაფხულში "ბაიერნი" იმიტომ მიატოვეთ, რომ კლუბთან ხელფასზე ვერ შეთანხმდით. რა როლს ანიჭებთ ფინანსურ მხარეს ამჯერად?**

- ფული არ იყო ერთადერთი მიზეზი, რის გამოც მიუნხენიდან წავედი. იყო პირადი, ოჯახური მიზეზებიც. მინდოდა, ფეხბურთს უმაღლეს დონეზე თამაშით გამოვმშვიდობებოდი. "მარსელში" ეს შეუძლებელი იყო და კარიერის ასე დამთავრება არაფრით არ მინდოდა. სწორედ ამიტომ მივიღე ჩემი კარიერის უკანასკნელი, დიდი გამოწვევა.

**- რომელ ტიტულებს უმიზნებთ?**

- დრო ექვსი თვე მაქვს, გასათამაშებელი კი სამი ტიტულია. რატომ არ უნდა მოვიგოთ სამივე ტიტული? ეს უდიდესი გამოწვევაა ჩემთვის. მომავალი ექვსი თვე უმნიშვნელოვანესი იქნება ჩემს ცხოვრებაში.

**- თქვენი ახლანდელი კონტრაქტი ივნისამდე იქნება ძალაში. უფრო დიდი ხნით დარჩენის სურვილი არ გაქვთ?**

- ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ექვსი თვის განმავლობაში აქ ყოფნის საშუალება მომეცა. უფრო ხანგრძლივი კონტრაქტი არ მჭირდება. მინდა, კარიერა უმაღლეს დონეზე თამაშით დავამთავრო და ეს მსოფლიოს მხოლოდ 5-6 კლუბშია შესაძლებელი. "ბაიერნი" ერთ-ერთი მათგანია.

**- ფელიქს მაგათმა თქვა, თუ ყველაფერი ორივე მხარის სურვილისამებრ წარიმართა, კონტრაქტის გახანგრძლივებაზეც შეიძლება დალაპარაკებაო.**

- თუ წარმატებას მივაღწევთ და ტიტულებს მოვიპოვებთ, ყველანი ბედნიერები ვიქნებით. ახლა სხვა ვერაფერს გეტყვით.

**- მიმდინარე სეზონში "ბაიერნის" თამაში გინახავთ?**

- არა, მაგრამ მე ვესაუბრე მაგათს. ვიცი, რომ სისტემა შეიცვალა. ახლა კი მწვრთნელმა დაცვის მარცხენა ფლანგისთვის გამოცდილი ფეხბურთელი იშოვა - ეს მე ვარ.

**- 35 წლის ასაკში ბუნდესლიგის მოთხოვნებს კიდევ აკმაყოფილებთ?**

- ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემა არ მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ექვს თვეს ჩემი ორგანიზმი ნამდვილად გაძლებს. თანაც, საფრანგეთის ნაკრებთან გამომშვიდობების შემდეგ მთლიანად "ბაიერნზე" კონცენტრირების საშუალება მაქვს.

**- დუბაიში ჩასვლის პირველივე დღეს თქვენ ოთხი საათის განმავლობაში მოგიხდათ ვარჯიში. დარწმუნებული ხართ, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღეთ?**

- ცხადია. ის, რომ ფელიქს მაგათი ბევრს ავარჯიშებს, აქამდეც ვიცოდი. ეს არ არის ჩემთვის პრობლემა.

**- რა მოხდება, "ბაიერნში" სათადარიგო სკამზე რომ აღმოჩნდეთ?**

- მაგათმა კარგად იცის, რა შემიძლია ჩემს პოზიციაზე. მე ვივარჯიშებ, ვივარჯიშებ, ვივარჯიშებ...

**- თქვენ "69" ნომრით ითამაშებთ. რატომ?**

- თავიდან ისევ "3" ნომერი მინდოდა, მაგრამ ამ ნომრით ახლა ლუსიო თამაშობს. შემდეგ "35" შემომთავაზეს, მაგრამ ის თვითონ არ ვისურვე. ახლა "69" მაქვს, რადგან 1969 წელს დავიბადე, 1,69 მეტრი სიმაღლის ვარ და 69 კილოგრამს ვიწონი, უფრო სწორად, ადრე ვიწონიდი, მაგრამ ეს ორი წლის წინათ იყო.

## TV-სპორტი

### სამშაბათი. 11 იანვარი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 ჩემპიონთა ლიგა. სეზონი 2004-2005. "ბარსელონა" "შახტიორი"
14:10 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" - "მეტალურგი"
15:50 თავისუფალი დარტყმა
16:05 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. გერმანიის ჩემპიონატი. "შტუტგარტი" - "ბაიერი"
18:40 საფეხბურთო არდადეგების ჟამს. ჰოლანდიის ჩემპიონატი. "ფეიენოორდი" - პსვ. შესვენებისას (19:25) - თავისუფალი დარტყმა
20:40 სახვალიო ტელეპროგრამა
20:45 "ბრინჯაოს ფრთები"
21:45 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:40 თავისუფალი დარტყმა
22:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლილი" - "მარსელი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:00, 21:30 პრესცენტრი
10:20, 21:45 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:40 "ჰოკეი-პლუს"
10:55 მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიო თასი ჩინეთში. ფინალები
13:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
14:00 ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი. ქალები
16:15 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
16:45 "სპორტული გლობუსი" - "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
17:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. ."UTAH JAZZ" - "SAN ANTONIO SPURS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 "გუნდი" - "ლადა"
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
22:00 "ჰოკეი-პლუს"
22:15 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი შვეიცარიაში. ვაჟები. გიგანტური სლალომი
23:00 ჩოგბურთი. "Hopman Cup" ავსტრალიაში. ფინალი. შესვენებისას (00:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**

10:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
11:15 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
12:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი
14:00 რალი. რალი-რეიდი, დაკარი
14:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:00 სამთოსათხილამურო სპორტი. მსოფლიო თასი შვეიცარიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:00 ფეხბურთი - ევროგოლები
16:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი გერმანიაში
19:15 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი
21:00 ფეხბურთი. "Efes Pilsen" თასი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
00:30 რალი. რალი-რეიდი, დაკარი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:15 ახალი ამბები
01:30 მულტისპორტი - აი, მესმის!
02:00 ფეხბურთი - ევროგოლები
02:45 რალი. რალი-რეიდი, დაკარი

## ფეხბურთი

# კოლიზეუმის დონეზე



*ფრანჩესკო ტოტი "რომას" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი.*

შარშანდელი სეზონი "რომას" კაპიტნის ფრანჩესკო ტოტისთვის არც ისე იღბლიანი გამოდგა, მაგრამ სერია A-ს უკანასკნელი ტურის მატჩში "რომას" კაპიტანმა "პარმას" კარში დუბლი შეასრულა (5:1) და რომაული კლუბის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

"რაღაც მომენტში მომეჩვენა, რომ "სკუდეტო" მოვიგეთ", - იხსენებს 28 წლის ფორვარდი. გაიტანარა 108 გოლი "რომას" შემადგენლობაში, ფრანჩესკო ტოტიმ მოხსნა რობერტო პრუცოს რეკორდი, რომელმაც 1983-1984 წლების სეზონში ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში "ლივერპულის" კარში გოლი გაიტანა. "ეს იყო არაჩვეულებრივი გრძნობა, რომელსაც მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ დავივიწყებ", - დაამატა ფორვარდმა.

ტოტი, რომელიც მთელი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში "რომას" ერთგული იყო, არ შეუშინდა ყვითელ ბარათს, როცა სარეკორდო, 107-ე გოლის შემდეგ მაისურა გაიხადა. საკლუბო მაისურის ქვეშ ტოტის ეცვა თეთრი მაისურა, რომელზეც ეწერა: "107... ეს ყველაფერი შენთვის ("რომა")". ასეთივე მაისურები ეცვათ ბავშვებს, რომლებიც ფეხბურთელებს გვერდითი ხაზიდან აწვდიდნენ ბურთს. ბავშვებიც მინდორზე გაცვივდნენ, რათა თავიანთი საყვარელი კლუბის კაპიტნის რეკორდით გამოწვეული სიხარული გაეზიარებინათ.

თავის მხრივ, მაყურებელმა, რომელიც "სტადიო ოლიმპიკოზე" შეიკრიბა, ტოტის მიღწევას ორწუთიანი ოვაცია შეაგება. "იმედი მაქვს, "რომაში" კიდევ ბევრ სეზონს გავატარებ და მრავალ გოლს გავიტან. ეს წუთი დიდხანს დარჩება ჩემს გულში", - განაცხადა ტოტიმ.

საკლუბო რეკორდი ტოტის დაეხმარა, ცოტა ხნით მაინც დაევიწყებინა ის უსიამოვნება, რომელიც შარშანდელ სეზონში განიცადა. "სკუადრა აძურას" ერთ-ერთმა ლიდერმა ვერ გაამართლა ევრო 2004-ზე "ტიფოზების" მოლოდინი. დანიელ კრისტიან პოულსენს შეაფურთხა და სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოიმუშავა. თანაც, ინციდენტი პირველივე შეხვედრაში მოხდა. ამას გარდა, ტოტის კლუბმა ახალი სეზონი წარუმატებლად დაიწყო.

"რომამ" ვერ მოახერხა ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში გასვლა. ჯგუფურ ტურნირზე კლუბმა ექვს მატჩში მხოლოდ ერთი ქულა მოიპოვა. სერია A-ში კი გუნდი მეშვიდე ადგილზეა და გათამაშების ლიდერ "იუვენტუსს" 16 ქულით ჩამორჩება. გუნდიდან ფაბიო კაპელოს წასვლის შემდეგ "რომაში" უკვე მესამე მწვრთნელი მოვიდა - ჩეზარე პრანდელი, რუდი ფიოლერი და ლუიჯი დელ ნერი.

და მაინც, ყველა სირთულის მიუხედავად, ტოტიმ განაგრძო შესანიშნავი თამაში და 14 მატჩში 10 გოლი გაიტანა. "დიდი ბავშვის" (ასე უწოდებენ ტოტის გულშემატკივრები) დებიუტი სერია A-ში 1993 წელს შედგა. მაშინ ფეხბურთელი მხოლოდ 16 წლის იყო. ერთი წლის შემდეგ ტოტიმ იტალიის ეროვნულ ჩემპიონატში გოლების ანგარიში გახსნა. ბომბარდირის პირველი მსხვერპლი "ფოჯა" გახდა. უკვე 13 წელია, ტოტი რომაულ გუნდში თამაშობს. შარშანდელ სეზონში კი მან საკუთარ ანგარიშზე 20 გოლი ჩაიწერა და პერსონალური რეკორდი დაამყარა.

"ტოტისთან განშორება იგივეა, რომ კოლიზეუმი გაყიდო, - შარშანდელ სეზონში განაცხადა ფაბიო კაპელომ. თუმცა, ხმები დადის იმის თაობაზე, რომ ეს წელი ტოტისთვის "რომას" მაისურით უკანასკნელი იქნება. თვითონ ფეხბურთელმა განაცხადა: ის მხოლოდ იმ შემთხვევაში დაყაბულდება კლუბის დატოვებას, თუ გუნდი მომავალ სეზონში უმაღლესი მიზნებისთვის ვერ იბრძოლებს.

"მე, უბრალოდ, მინდა, რომ ჩემმა გუნდმა მნიშვნელოვან ჯილდოებზე განაცხადოს პრეტენზია, - თავისი გადაწყვეტილება განმარტა იტალიის ნაკრების ფეხბურთელმა, - ბევრი წინადადება მივიღე, მაგრამ ჩემი გული "რომას" ეკუთვნის. კლუბის ხელმძღვანელობისგან ახალ იდეებსა და გეგმებს მოველი, რადგან ეს ქალაქი ღირსია, უმაღლესი კლასის გუნდი ჰყავდეს".

"რომა" ყველა ღონეს იხმარს იმისთვის, რომ თავისი კაპიტანი შეინარჩუნოს. "ის მართალია, როცა ამბობს, რომ ძლიერ გუნდში თამაში უნდა. ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ "რომა" ასეთ გუნდად გადაიქცეს", - განაცხადა გუნდის აღმასრულებელმა დირექტორმა როზელა სენსიმ, კლუბის პრეზიდენტის ფრანკო სენსის ქალიშვილმა. თუ "რომა" სერიოზულად აპირებს "სკუდეტოსთვის" ბრძოლას, მაშინ ძნელი წარმოსადგენია, გუნდმა ეს თავისი კაპიტნისა და საუკეთესო ბომბარდირის გარეშე გააკეთოს.

# "დინამოს" ამბიციები



*მოსკოვის "დინამო" წელს "პორტუს" ფორვარდ დერლეით გაძლიერდა.*

მოსკოვის "დინამო" რუსეთის ჩემპიონატის დაწყებამდე მნიშვნელოვნად გაძლიერდა. კლუბმა დაადასტურა, რომ კიდევ ოთხ პორტუგალიელ, უფრო სწორად, პორტუგალიაში მოთამაშე ოთხ ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი. მათ შორის ყველაზე ცნობილი "პორტუს" ბრაზილიელი ფორვარდი დერლეია.

29 წლის დერლეის გარდა, "დინამოს" მაისურას მოირგებს 20 წლის ბრაზილიელი მცველი ტიაგო და სილვა, რომელიც მანამდე "პორტუს" დუბლშემადგენლობაში გამოდიოდა; "ჟილ ვისენტეს 23 წლის მარცხენა მცველი ჟორჟე რიბეირუ და "ბრაგას" 18 წლის ბრაზილიელი ფორვარდი სისერო. დერლეის გარდა, ყველამ მოასწრო მოსკოვის "დინამოს" შემადგენლობაში თამაში უკრაინული "კრივბასის" წინააღმდეგ.

შეთანხმების დეტალებიდან ცნობილია, რომ დერლეის სანაცვლოდ, რომელიც "დინამომ" ბოლო მომენტში თანაქალაქელ "ლოკომოტივს" წაჰგვარა, კლუბი 7 მილიონ ევროს იხდის. 2003 წელს უეფას თასის ფინალში გადამწყვეტი გოლის ავტორი და იმავე ტურნირის ბომბარდირი "პორტუს" თავის დროზე ერთი მილიონი ევრო დაუჯდა, როცა 2002 წელს ფეხბურთელი "ლეირიადან" შეიძინა. სისეროს სატრანსფერო ღირებულებამ დაახლოებით 3,5 მილიონი ევრო შეადგინა. შეთანხმების ვადა კი, პორტუგალიური პრესის ცნობით, სამი წელია (ერთი წლით გაგრძელების პერსპექტივით).

მოსკოველთა კიდევ ერთი ახალწვეული ჟორჟე რიბეირუ "პორტუს" ერთ-ერთი ლიდერის მანიშეს ღვიძლი ძმაა. პორტუგალიის ნაკრების მცველი მიმდინარე სეზონში "ჟილ ვისენტეს" ღირსებას იცავდა, ხოლო ადრე ლისაბონის "ბენფიკაში", "სანტა-კლარასა" (იჯარით) და "ვარზიმის" რიგებშიც გამოდიოდა. 2004 წელს ითამაშა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატში და ოლიმპიურ თამაშებზე. ამას გარდა, რუსებმა ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს ტიაგო და სილვას. ტიაგო ემილიანო და სილვა რიო-დე-ჟანეიროში დაიბადა და "პორტუმდე" "ჟუვენტუდე დე კაიშასის" ღირსებას იცავდა. სექტემბერში ეს ცენტრალური მცველი "გველეშაპთა" მეორე გუნდში გადავიდა. 2004 წლის ბოლოს კი "პორტუმ" ის 2,5 მილიონ ევროდ გამოისყიდა და ფეხბურთელთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა.

"ახალწვეულებმა დაადასტურეს, რომ მათი მოწვევით არ შევმცდარვართ. ყოველ მათგანს შეუძლია "დინამო" გააძლიეროს. ამასვე ადასტურებენ ვარჯიშები, რომლებზეც მათ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ", - "კრივბასთან" მატჩის შემდეგ განაცხადა მოსკოვის "დინამოს" მთავარმა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა. უფრო ადრე "დინამოს" შემადგენლობაში ჩაირიცხა პორტუგალიელი მცველი ნუნუ ფრეშო და პორტუგალიის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი დანი.

# გოლი, რომელიც არ ჩაითვალა

*ინგლისის პრემიერლიგის 22-ე ტურის შეხვედრაში "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ტოტენჰემ ჰოტსპურს" შორის ტოტენჰემელმა პედრო მენდეშმა მოედნის ცენტრიდან დაარტყა კარის მიმართულებით, მასპინძელთა მეკარეს ბურთი ხელიდან გაუვარდა და კარში შევიდა. მსაჯებმა ეს მომენტი ვერ შეამჩნიეს და გოლი არ ჩაითვალა. ამ არჩათვლილი გოლის გამო ინგლისში მითქმა-მოთქმა ატყდა.*

თითქოს ჩანდა, რომ ლონდონის "ტოტენჰემ ჰოტსპურმა" შესანიშნავი გამარჯვება მოიპოვა. ტოტენჰემელი პერდო მენდეშის მოედნის ცენტრიდან დარტყმულ ბურთს "მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე როი კეროლმა საშუალება მისცა, კარის ხაზი გადაეკვეთა და შემდეგ თავპირისმტვრევით მოახერხა, ბურთი კარიდან გამოეგდო. მთელი საფეხბურთო ევროპა, მსაჯთა ბრიგადის გარდა, დარწმუნებული იყო, რომ კარის აღება დაფიქსირდებოდა.

მართალია, პორტუგალიელის გოლი არ ჩაითვალა, მაგრამ "ოლდ ტრაფორდიდან" "ტოტენჰემის" ფეხბურთელები ცარიელი ხელით არ წასულან - 0:0, რაც 1955 წლის მარტის შემდეგ პირველად მოხდა. ამ შედეგმა "დეზებიან მამლებს", რომლებსაც ჰოლანდიელი დიკ იოლი წვრთნის, საშუალება მისცა, თავისი სატურნირო მდგომარეობა გაემყარებინა.

48 წლის სპეციალისტი თავისი გუნდის უიღბლობას ფილოსოფიურად მიუდგა. "რა თქმა უნდა, თავს მოტყუებულად ვგრძნობთ, მაგრამ მთავარ მსაჯსა და გვერდით არბიტრებს შეიძლება ვერც დაენახათ, თუ როგორ შევარდა ბურთი კარში, - განაცხადა იოლმა, - თუმცა, ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა არა ერთი ან ორი სანტიმეტრით, არამედ მთელი მეტრით".

"მთელი ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არ მქონია შემთხვევა, ბურთს მთლიანად გადაეკვეთოს კარის ხაზი და არ ჩათვლილიყოს, - დაამატა პედრო მენდეშმა, რომელიც "ტოტენჰემში" "პორტუდან" ზაფხულში გადავიდა, - რას იზამ, ისღა დაგვრჩენია, ვიცინოთ. მართალია, არ ჩაითვალა, მაგრამ ეს შესანიშნავი, სამახსოვრო გოლი იყო. მოედნის ცენტრიდან ყოველ მატჩში არ გადის გოლი".

თვით "მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარი მწვრთნელი სერ ალექს ფერგიუსონი მიიჩნევს, რომ მის გუნდს აშკარად გაუმართლა. "ნათლად დავინახე, თუ როგორ გადაკვეთა ბურთმა კარის ხაზი. აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს", - განაცხადა მან. ინგლისურმა გაზეთმა "მირორმა" ასე დაასათაურა ამ მატჩის მიმოხილვა: "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ტოტენჰემი" 0:1 (მაპატიეთ, "ემ-იუ" - "ტოტენჰემი" 0:0)".

თუ "მანჩესტერთან" შეხვედრამ "ტოტენჰემის" ფეხბურთელთა გულებში ხინჯი დატოვა, ამ მატჩის წინამორბედი შეხვედრა ლონდონური კლუბის სიძლიერის შესახებ ეჭვს არ იწვევს. დაამარცხა რა 2005 წლის პირველ იანვარს - 5:2 ლივერპულის "ევერტონი", დიკ იოლმა დაამტკიცა, რომ ნოემბერში ჟაკ სანტინის შეცვლით მან შეძლო, კლუბისთვის ძველი დიდება დაებრუნებინა.

ფრანგმა სპეციალისტმა "ტოტენჰემ ჰოტსპურის" მთავარი მწვრთნელის პოსტი 5 ნოემბერს პირადი პრობლემების გამო დატოვა. თუმცა, მას შემდეგ "დეზებიანი მამლები" კიდევ სამჯერ დამარცხდნენ. დიკ იოლი კი, რომელმაც ჰოლანდიის "ვაალვიკი" დატოვა და სანტინის მწვრთნელთა ახალ შტაბში, ტაქტიკის საკითხებში ასისტენტის პოსტი დაიკავა, თავიდან ციდან ვარსკვლავებს არ წყვეტდა.

იოლის ხელმძღვანელობით პირველ სამ მატჩში გუნდი "ჩარლტონთან", "არსენალსა" და "ასტონ ვილასთან" დამარცხდა. თითქოს "ტოტენჰემი" ვერ მოახერხებდა შეეწყვიტა წარუმატებლობათა სერია, რომელიც გუნდს ბოლო 20 წლის განმავლობაში თან სდევდა. თუმცა, იოლმა შეძლო გაერღვია მოჯადოებული წრე.

28 ნოემბერს "დეზებიანმა მამლებმა" საკუთარ მინდორზე უეფას თასის მონაწილე "მიდლსბრო" დაამარცხეს (2:0) და მას შემდეგ მარცხი არ განუცდიათ. გუნდმა ექვსი მატჩი მოიგო, ორი ფრედ დაასრულა და პრემიერლიგაში მე-7 ადგილზე აღზევდა. ამას გარდა, განახლებულმა გუნდმა სერიოზულად დაიწყო ფიქრი მომავალ წელს ევროტურნირების საგზურის მოპოვებაზე.

კლუბის პრეზიდენტ დანიელ ლევისთან დუეტში მუშაობისას მწვრთნელთა საბჭოს შეფმა არნესენმა გუნდში მრავალი ახალი ფეხბურთელი მიიწვია. კლუბის ახალწვეულები: გარემარბები პედრო მენდეში, რეტო ციგლერი და მაიკლ კერიკი, მცველები ნურედინ ნაიბეტი, ნოე პამარო და ერიკ ედმანი, აგრეთვე მეკარე პოლ რობინსონი გამოვიდნენ "მანჩესტერ იუნაიტედთან" ძირითად შემადგენლობაში.

ჟაკ სანტინის ხელში "ტოტენჰემი" იშვიათად აჩვენებდა დალაგებულ, გუნდურ თამაშს. იოლმა კი შეძლო გაეერთიანებინა ფეხბურთელები და მათ წინაშე კონკრეტული ამოცანა დაესვა. ამას სტატისტიკა პირდაპირ ადასტურებს. სანტინის დროს გუნდს მატჩში საშუალოდ ერთი გოლი გაჰქონდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გუნდი იოლმა ჩაიბარა, ეს მაჩვენებელი ორჯერ გაიზარდა.

პედრო მენდეშის ლამაზი გოლი მსაჯებმა არ ჩათვალეს, მაგრამ ჰოლანდიელი სპეციალისტის ძალისხმევით შეიძლება ისეც მოხდეს, რომ მომავალი სეზონიდან "დეზებიანმა მამლებმა" უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლონ.

ინფოთეკა

## კამერუნი პორტუგალიელს ჩააბარეს

მოსკოვის ცსკა-ს ყოფილი პორტუგალიელი მთავარი მწვრთნელი არტურ ჟორჟი კამერუნის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. პორტუგალიური საინფორმაციო საშუალებების ცნობით, არტურ ჟორჟის კამერუნის ნაკრების სათავეში მოსვლა გუშინ კამერუნის სპორტის მინისტრმა ფილიპ მბარგა-მბუამ გაახმოვანა. აქამდე კამერუნის ნაკრებს წვრთნიდა გერმანელი ვინფრიდ შეფერი, რომელიც მას შემდეგ დაითხოვეს თანამდებობიდან, რაც ამხანაგურ მატჩში გერმანიის ნაკრებისგან მარცხი იწვნია (0:3).

## ბეშიქთაშელმა კარეუმ ლიფტით იფრინა

მოსკოვში მიმდინარე ტურნირის Efes Pilsen-ის თასის მონაწილე თურქული კლუბის "ბეშიქთაშის" მოთამაშე ჯონ კარეუ, რომელიც სასტუმრო "Kremlin Palace"-ში თანაკლუბელებთან ერთად ცხოვრობდა, მეექვსე სართულიდან ჩამოვარდა. საქმე ისაა, რომ კარეუ ლიფტში იყო. ლიფტი კი მაშინ ჩამოვარდა, როდესაც მასში კარეუ იმყოფებოდა. თურქულ სააგენტოებზე დაყრდნობით, ფეხბურთელი ჯანმრთელი და უვნებელია. თუმცა, მომხდარით შოკირებულია. კარეუ უნებურად იმ ლიფტში შესულა, რომელიც თურმე არ მუშაობდა.

## ტრეზეგეს "ატალანტას" დაუპირისპირებენ

"იუვენტუსის" მწვრთნელის ფაბიო კაპელოს თქმით, კლუბისა და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელს დევიდ ტრეზეგეს ამ კვირას შეუძლია შეუერთდეს თანაკლუბელებს. "როიტერის" ცნობით, კაპელოს ეს იტალიურ გაზეთთან "Corriere dello Sport-თან ინტერვიუში განუცხადებია.

"რამდენიმე დღეში გუნდის ექიმები ტრეზეგეს თამაშის უფლებას მისცემენ. თუ ასე მოხდება, ტრეზეგეს საშუალება მიეცემა, ქვეყნის თასისთვის ხუთშაბათს "ატალანტას" წინააღმდეგ მინდორზე გავიდეს", - ვითარებაში გვარკვევს კაპელო.

მოგეხსენებათ, ტრეზეგეს "იუვენტუსის" მაისურა ოქტომბრის შემდეგ არ ჩაუცვამს, რისი მიზეზიც დაშავებული მხარი გახლდათ.

## თამაშგარეების გარკვევა, ალბათ, მიკროჩიპებს მოუწევს

უეფას სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელი ვოლკერ როტი ეწინააღმდეგება თამაშგარე ვითარებების გასარკვევად ვიდეოჩანაწერის გამოყენების ინიციატივას, თუმცა, იმავდროულად მხარს უჭერს ბურთში ჩაკერებულ თუ ჩამონტაჟებულ მიკროჩიპის იდეას, რაც ბევრად პერსპექტიულად ესახება: "დადებითად ვეკიდები ამგვარ სიახლეს, რადგან მას ნამდვილად შეუძლია, დახმარება გაგვიწიოს მეტად საჩოთირო ვითარებებში. მაგალითად, როდესაც მიკროჩიპი მსაჯის საათზე სიგნალს გამოგზავნის, იყო თუ არა გოლი ჩასათვლელი ან არჩასათვლელი. რაც შეეხება ვიდეოჩანაწერის გამოყენებას, პირადად მე წინააღმდეგი ვარ, რადგან ზოგადად ფეხბურთი დინამიკური თამაშია და მატჩის შეჩერების ნებისმიერი ქმედება თამაშს სანახაობრიობას მოაკლებს".

როგორც ამბობენ, საფეხბურთო მატჩებში მიკროჩიპების შესაძლო გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილებას თებერვალში კარდიფში, უეფას სხდომაზე მიიღებენ.

## ყოფილი ჩემპიონი ძარცვისთვის დააკავეს

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, კრივში მსოფლიოს სამგზის ყოფილ ჩემპიონს ჰექტორ კამაჩოს (78-5-2, აქედან 38 ნოკაუტით), რომელიც ქალაქ გალფპორტის სამართალდამცავებმა ნოემბერში კომპიუტერული მაღაზიის გატეხვისა და ძარცვის გამო დააკავეს, ხოლო მოგვიანებით 50 ათასი დოლარის თავდებით გაათავისუფლეს, რამდენიმე დღის წინათ დანაშაული დაუმტკიცდა და ის ჰარისონის საგრაფოს ციხეში გამოამწყვდიეს.

ნოემბერში, დაკავებისას, 42 წლის ყოფილ ჩემპიონს ათამდე აბი ექსტაზიც აღმოაჩნდა, რამაც სასამართლოს გადაწყვეტილებაზე გარკვეულწილად იმოქმედა.

## ფორესტი მაისში რინგს დაუბრუნდება

მარცხენა ხელზე განმეორებითი ოპერაცია გაუკეთეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ვერნონ ფორესტს. მოკრივის თქმით, ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა და ახლა მას ორთვიანი სარეაბილიტაციო კურსის გავლა მოუწევს. ფორესტს განზრახული აქვს, მარტში ვარჯიში განაახლოს, ხოლო მაისში, შესაძლოა, რინგზე გასასვლელადაც მზად იყოს.

რაგბი

# სამოელი

პაატა თოთაძე

ქართულ სპორტში მოღვაწე უცხოელ მწვრთნელთა რიცხვს წლეულს კიდევ ერთი მიემატა - სამოელი რიჩარდ ალი, რომელიც სადღეისოდ ლიგის რაგბიში საქართველოს ნაკრებს წვრთნის. თავის დროზე უმაღლეს დონეზე თამაშობდა როგორც 15-კაცა, ისე 13-კაცა რაგბის, ჩვენს ქვეყანაში კი გაეროს მისიით არის ჩამოსული. დღეს, როცა ლიგა პირველ ნაბიჯებს დგამს საქართველოში, მასზე დიდი ინფორმაციის მფლობელი ამ თამაშის შესახებ არავინაა. ასე რომ, ამ ეტაპზე ნაკრების დამრიგებლის პოსტზე უკეთესი კანდიდატურა არ მოიძებნებოდა. მომავალში კი... როგორც გვითხრეს, ახლო მომავალში საქართველოს ნაკრებს ავსტრალიელი მწვრთნელი ეყოლება. ლიგის პრეზიდენტი პაატა ცინცაძე ამჟამად საფრანგეთშია და ამ საკითხსაც იქ გადაწყვეტსო.

- ვმუშაობ გაეროში. თბილისში 2003 წლის მარტში ჩამოვედი. მანამდე სოხუმში ვიყავი მივლინებული. 34 წლის ვარ. რაგბის ოჯახიდან მოვდივარ. ერთადერთი ვარ ოჯახში, ვინც რაგბის გარდა, სპორტის კიდევ სხვა სახეობით იყო დაკავებული - ძიუდოს ვჭიდაობდი და წარმოვადგენდი სამოას 1999 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე. რაგბის ბავშვობიდან ვთამაშობდი. ვიყავი სამოას ნაკრებში 7-კაცა და "ა" ნაკრებში 15-კაცა რაგბიში. ორი წლის განმავლობაში ვთამაშობდი ლიგის რაგბის. რაგბი ჩემს სისხლშია. ოჯახიც ასეა - ყველა რაგბის თამაშობს. როცა მე "ა" ნაკრებში ვიყავი, ჩემი ძმა ეროვნულ გუნდში იყო და 1999 წლის მსოფლიო თასზეც კი ითამაშა, - ასე დაიწყო ჩვენი საუბარი რიჩარდ ალისთან, რომელსაც ვაკეში, მყუდრო კაფეში შევხვდი.

- პირველად რომ ჩამოვედი, სოხუმში გამამწესეს. რაგბის ბურთი თან დამქონდა, ვიფიქრე, ვიღაც ითამაშებს და მეც ვივარჯიშებ-მეთქი. სამწუხაროდ, იქ რაგბის არავინ თამაშობს, ყველა ფეხბურთზეა გადართული. თბილისში ჩამოსვლისთანავე დავიწყე რაგბის კლუბის ძებნა და ახლობლების დახმარებით მივაგენი "ლოკომოტივს". როგორც მითხრეს, "ლოკომოტივის" სტადიონზე იყო ვარჯიშები, მაგრამ რამდენჯერაც მივედი, სულ ფეხბურთელები მხვდებოდნენ. ერთხელაც გადავწყვიტე, საღამოს მივსულიყავი. როგორც იქნა, წავაწყდი მორაგბეებს. ამის მერე დავიწყე ვარჯიში გუნდთან ერთად, მაგრამ სამსახურის გამო მხოლოდ ერთი მატჩი ვითამაშე...

- სექტემბერში ნონომ (ნოდარ ანდღულაძე) მითხრა, ლიგის ფედერაციას ვაყალიბებთო. დახმარება მთხოვა და მეც დავთანხმდი. თავიდან წესების სწავლით დავიწყეთ, რადგან აქ ლიგის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. ბიჭებს ვაჩვენე განსხვავება კავშირისა და ლიგის რაგბის შორის. მერე დამირეკა ლიგის ფედერაციის პრეზიდენტმა პაატა ცინცაძემ და მთხოვა, დავხმარებოდი ნაკრებს, რომელიც მაშინ ყალიბდებოდა. ჩემთვის ეს დიდი პატივი იყო, ასე რომ, უარის თქმა არც მიფიქრია...

- დიდ ყურადღებას ვამახვილებ დისციპლინაზე. კავშირისა და ლიგის რაგბის შორის ამ მხრივაც დიდი სხვაობაა. დისციპლინა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონის მოთამაშეები გყავს. თავიდან ძალიან ძნელი იყო, რადგან თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა დისციპლინა იყო კლუბში, წარმატების მიღწევა შეუძლებელი ჩანდა. დისციპლინა მაღალ დონეზე უნდა იყოს კლუბში და მერე ის ნაკრებზეც გადავა. უდისციპლინოს გაწვრთნა იგივეა, რაც გაზრდილი მცენარის მოდრეკვა. პირველი მიზანი იყო, დისციპლინაზე მემუშავა ცალკეულ მოთამაშეებთან და მხოლოდ ამის შემდეგ გადავსულიყავი გუნდურ დისციპლინაზე. გარდა ამისა, ამ ბიჭებისთვის უნდა მეთქვა ის, რაც მათ აქამდე არ გაეგოთ, არ ენახათ...

- თავიდან კითხვას ვუსვამდი ჩემს თავს, რა იყო ამ უდისციპლინობის მიზეზი. ფსიქოლოგი არ ვარ და, შესაძლოა, ყველაფერი ზუსტად ვერ ავხსნა, მაგრამ, ვფიქრობ, ალბათ ის, რომ აქაურ მოთამაშეებს დიდი მიზნები არ ჰქონდათ. ნაკრებში ძირითადად საფრანგეთში მოთამაშეები არიან, აქაურები კი განზე რჩებიან. საუკეთესო საშუალება იქნება, საფრანგეთში მოღვაწეებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ აქაურებს. ჩემთან მხოლოდ ქართულ კლუბებში მოთამაშეები არიან. ახლა მე მათ ვაჩვენებ მიზანს და დარწმუნებული ვარ, ისინი მოედანზე თავს დადებენ.

- როცა პრეზიდენტმა მთხოვა დახმარება, ვკითხე, თუ რა მომავალი შეიძლება ჰქონოდათ ამ მოთამაშეებს ლიგაში. ყველაფერს ვერ გეტყვით, რა მითხრა, მაგრამ ლიგას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ერთ-ერთი ეს არის უკეთესი მოედანი, ასე ვთქვათ, "ქლაბ ჰაუსი" ანუ კლუბის სახლი, სადაც მორაგბეები დასხდებიან, ისაუბრებენ, მატჩებს გაარჩევენ. ვარკეთილის სტადიონზე ორი კვირის წინ ვითამაშე და დღემდე ტრავმები ვერ მოვიშუშე. თუ გვინდა, რომ ჩვენმა შვილებმა კარგი განათლება მიიღონ, ბუნებრივია, კარგ სკოლაში უნდა მივიყვანოთ. ასევეა რაგბიშიც: თუ მორაგბეს კარგი პირობები არ შეუქმენი, მისგან კარგი მოთამაშე ვერ დადგება. ამ პირობების გამო იძულებული ვარ, რამდენიმე ვარჯიში გამოვტოვო, არ ვავარჯიშო ბიჭები, რადგან ტრავმებს მიიღებენ. ამის გამო რაღაცებს ვერ ვისწავლით, ეს კი საბოლოო ჯამში თამაშზე აისახება - ვითამაშებთ ისე, როგორც ვივარჯიშებთ. ფედერაცია დამპირდა, რომ მოთამაშეებს ელემენტარულ პირობებს შეუქმნიდნენ და დიდი იმედი მაქვს, ასეც იქნება...

- მოხალისე ვარ. ამას ვაკეთებ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს თამაში მიყვარს და ვაკეთებ ამ ბიჭებისთვის, რომლებიც თავს მიტოვებულად გრძნობენ. მე მინდა მათ მივცე კარგი მოედანი, კარგი პირობები. გასამრჯელო რომ შემოეთავაზებინათ, უარს ვიტყოდი. მინდა, ლიგამ გააკეთოს ის, რასაც კავშირი არ აკეთებს. ამას მპირდებიან. მე მაქვს ჩამონათვალი იმ პირობებისა, რომელიც ლიგამ უნდა შეასრულოს. ახლაც მახსოვს პირველი ვარჯიში, როცა მხოლოდ სამი ბურთი გვქონდა და მეოთხედ ჩემი ბურთი მოვიტანე. მეორე კვირას ოთხ ბურთთან ერთად უკვე ორი ბალიში გვქონდა, ახლა კი იმდენად წინ წავედით, რომ ოთხი ბალიში გვაქვს... (იცინის).

- მახსენდება ის დრო, როცა მე ვიწყებდი რაგბის თამაშს. ყველაფერი მქონდა: მოედანი, ბალიშები ბურთები. აქ კი... ეს პრობლემები ბიჭებს არ აჩერებს და ამიტომაც ემოციური ვხდები, როცა მათზე ვლაპარაკობ...

- მყავს ცოლი და სამი შვილი. ორი ბიჭი - 5 და 3 წლის. გოგო 8 თვის. მაისში ან ივნისში ალბათ მათაც ჩამოვიყვან. არის შანსი, უფროსმა აქ დაიწყოს რაგბის თამაში...

- პირველი მატჩი ბრიტანეთის სამოყვარულ გუნდთან თებერვლის შუა რიცხვებში გვექნება, მაისში კი მოსკოვის ტურნირზე გვიწევს თამაში. ჩვენ ახლა ვიწყებთ თამაშს, რეპუტაცია უნდა ავიმაღლოთ. ჩემი მთავარი მიზანია, მოვუგოთ რუსეთს, რომ რეგიონში ჩვენზე ძლიერი არავინ იყოს. მხოლოდ ამის მერე შეგვეძლება შევაბიჯოთ ევროპულ ელიტაში...

- გულშემატკივრის დიდი იმედი მაქვს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ლიგა არ არსებობდა, საქმე ეროვნულ ნაკრებს ეხება. ის ქვეყნის სახეა, მისი დროშის მატარებელია და მას გულშემატკივრობა სჭირდება. ეს არის პირველი და ძალიან ძნელი წელი ჩვენთვის. დღემდე ვაკომპლექტებ ნაკრებს, ვუყურებ ახალ სახეებს. ძალიან ცოტა დრო გვაქვს მოსამზადებლად. ორი თვეც კი არ გამოგვდის ვარჯიშის დაწყებიდან პირველ მატჩამდე. ეს მაშინ, როცა ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ. 40-მდე კაცი უკვე ვნახე. რამდენიმეს ალბათ კიდევ ვნახავ. რამდენიმე უკვე შევარჩიე ნაკრებისთვის. ის, რომ ვიღაცა 15-კაცას კარგად თამაშობს, არ ნიშნავს, რომ აქაც კარგად ითამაშებს. მე უნდა დამიმტკიცოს თავისი სიკარგე. აქ არავის არა აქვს გარანტირებული ადგილი...

- კითხვა, რომელსაც დავუსვამდი ჩემს თავს, თქვენ ადგილზე რომ ვიყო, ასეთი იქნებოდა: რატომ დადექი იმ გუნდის მწვრთნელად, რომლის მოთამაშეებსაც არასდროს უთამაშიათ ლიგის რაგბი, არც პირობები აქვთ და პირველი მატჩი თვენახევრშია? რატომ იყენებ თავს ასეთ მძიმე მდგომარეობაში? ერთმა მეგობარმა ისიც კი მითხრა, გიჟი ხომ არ ხარო. ვიცი, რომ გიჟი არ ვარ...

- იმედი მაქვს, ეს წელი წარმატებული იქნება. ბედნიერი ვარ, რომ პირველ ნაკრებს ვუდგავარ სათავეში...

სამოელი რიჩარდ ალი
ქართველ "ბორჯღალოსნებს" გაწვრთნის



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ინფოთეკა

## სოლტ ლეიკ სიტიში რეკორდები გაიხსენეს

2002 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელმა სოლტ ლეიკ სიტიმ ციგურებით ჩქაროსნულ რბენაში ამერიკისა და ოკეანიის ჩემპიონატს უმასპინძლა. ჩემპიონატის ტრიუმფატორები მასპინძელი შანი დევისი და კანადელი ქალბატონი სინდი კლასენია.

საინტერესოა, რომ შანი დევისი სპორტის ამ სახეობისთვის პირველი შავკანიანი სპორტსმენია. მაგრამ განა მარტო ეს? დევისმა ორი მსოფლიო რეკორდიც დაამყარა 1500 მეტრზე (1 წუთი, 43,33 წამი) და კლასიკური მრავალჭიდის ჯამში დაგროვილი 149.359 ქულით (500 მეტრი - 35,85; 5000 მეტრი - 6.24,21; 1500 მეტრი - 1.43,33; 10000 მეტრი - 13.32,90).

შავკანიანი მოციგურავის მსგავსად, ორი მსოფლიო რეკორდი (1500 მეტრზე და მრავალჭიდში) დაამყარა კანადელმა სინდი კლასენმაც.

## "ფერარის" "მაკლარენ-მერსედესის" ეშინოდეს...

"უილიამსიდან" "ტოიოტაში" გადაბარგებული გერმანელი რალფ შუმახერი დღეს პირველად მიუჯდება იაპონური სუპერკონცერნის ბოლიდის საჭეს. თუმცა, ამ შემთხვევაში აღსანიშნავი ისაა, რომ იაპონელების პირმშო ახალია სახელად - TF105. ერთი სიტყვით, მანქანას რომ გამოვცდი, შთაბეჭდილებები მერე მკითხეთ, ჯერჯერობით კი მხოლოდ კოკპიტის აღწერა შემიძლიაო: "მანქანა კარგად გამოიყურება. აშკარად გამოუვიდათ. ახლა შესამოწმებელია, თუ რამდენად კარგად ფუნქციონირებს, რისი იმედიც ნამდვილად აქვთ აეროდინამიკოსებს. მჯერა, მათი მოლოდინი გამართლდება. დარწმუნებული ვარ, ტექნიკურმა პერსონალმა შესანიშნავად იმუშავა".

რაც შეეხება ახალ სეზონს და შესაძლო პროგნოზებს, რალფის წინასწარმეტყველებით "ვერცხლისფერი ისრების" პროგრესი თვალშისაცემი იქნება. და კიდევ, თუ ვინმეს შეუძლია "დიდი პრიზების" უდავო ფავორიტის "ფერარის" "დაშოშმინება", ეს მხოლოდ "მაკლარენ-მერსედესის" პილოტებს შეუძლიათო.

## ბარელები თამბაქოს მწარმოებლებმა გადაიბირეს

გუშინ ფორმულა 1-ის ბინადარი "BAR-ჰონდა" ბრიტანულ-ამერიკულმა თამბაქოს მწარმოებელმა კომპანიამ BAT-მა შეიძინა. "როიტერის" ცნობით, მეთამბაქოეებმა მოიგეს კონკურსი, რომლის უმთავრესი მიზანი თუ მოხოვნილება საჯინიბოს რესტრუქტურიზაცია გახლდათ. ახალი შეთანხმების მიხედვით, BAT-ის საკუთრებაში BAR-ის აქციათა 55 პროცენტი გადავიდა, ხოლო 45 პროცენტი "ჰონდას" საკუთრებაში დარჩა. კონკურსი ბარელებმა შარშან დეკემბერში გამოაცხადეს.

## კორა შუმახერმა ტელეშოუს წინადადებები იუარა

დაახლოებით სამი კვირის წინათ "ტოიოტას" მრბოლის რალფ შუმახერის მეუღლემ კორა შუმახერმა მონაწილეობა მიიღო ტელეშოუ "Menschen bei Maischberger"-ში. ამან იმდენად დიდი ეფექტი მოახდინა მაყურებელზე, რომ მოგვინებით არაერთი წინადადებით მიმართეს, მონაწილეობა მიეღო ამა თუ იმ ტელეშოუში.

პირველი Gaga-TV იყო. მისი წინადადება იმით იყო საინტერესო, რომ ტელეშოუს მესვეურებს უნდოდათ, კორა ჯუნგლებში გაეშვათ. დაახლოებით ასეთივე წინადადებით მიმართეს კორა შუმახერს Pro7-ის მესვეურებმაც, კერძოდ, გამხდარიყო ჩვენში "რეალითი შოუს" სახელით ცნობილი გადაცემის გმირი, რომელიც დანარჩენ ცხრა მონაწილესთან ერთად შუა საუკუნეების ციხესიმაგრეში 16 დღის განმავლობაში უნდა დაბინავებულიყო.

მართალია, "ტოიოტას" მრბოლის მეუღლეს ასეთი ყურადღება ძალიან ხიბლავს, მაგრამ ტელეშოუებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს: "არა, გმადლობთ. ამ ტიპის გადაცემებში მონაწილეობას არასდროს მივიღებო".

## კლიჩკოსა და რაჰმანის ბანაკებმა ხელი ხელს დაარტყეს

ახლახან ცნობილი გახდა ვიტალი კლიჩკოს წარმომადგენლის შელი ფინკელსა და ჰასიმ რაჰმანის პრომოუტერის დონ კინგს შორის მიღწეული ზოგიერთი შეთანხმების დეტალი. სავარაუდოდ, ცნობილია, რომ ორ მძიმეწონოსანს შორის მატჩი 14 მაისს ნიუ იორკში ან ლას ვეგასში გაიმართება. კლიჩკო-უფროსისა და რაჰმანის ორთაბრძოლის ტრანსლირებას თავის თავზე იღებს ტელეკომპანია HBO.

# ტერორიზმის მრავალფეროვნება

## ნაწილი მეორე

დასაწყისი წინა ნომერში

მარინა კვაჭაძე
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**"ტერორიზმი ამინდივით არის - ყველა მასზე საუბრობს, მაგრამ ვერავინ ვერაფერს ვერ ცვლის".**
***რ. ფრინდლერი***

*მსოფლიოში ტერორიზმის მომძლავრებამ, ტერორიზმის ხასიათის მრავალფეროვნებამ, ტექტიკის შეცვლამ და მრავალრიცხოვან ტერორისტულ ჯგუფთა ახალ პოლიტიკურ ვითარებაში ადაპტაციამ, აქტუალური გახადა სახელმწიფოს ანტიტერორისტული საქმიანობის განხილვა. მრვალფეროვანი გახდა ტერორიზმთან ბრძოლის ტაქტიკაც. წარმოდგენილი პუბლიკაციის მიზანია ტერორიზმის მრავალსახეობისა და მასთან ბრძოლის პრობლემების წარმოჩენა. სტატიაში მოყვანილია რამდენიმე ფრაგმენტი გამოკვლევიდან, რომელშიც შესწავლილია თანამედროვე ტერორიზმთან დაკავშირებით სახელმწიფოს, საზოგადოების, მასმედიის და სხვა სუბიექტების პოზიციები. ამჟამად წარმოგიდგენთ ტერორიზმთან სახელმწიფოს ბრძოლის ზოგიერთ ასპექტს.*

ტერორიზმის ტაქტიკის დახვეწასთან ერთად დაიხვეწა მასთან ბრძოლის სტრატეგია, ტაქტიკა და ტექნიკა. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ კარგად დაგეგმილ კონტრტერორისტულ ოპერაციებს ენიჭება.

მაგალითად, ისრაელმა ტერორისტებთან ბრძოლისას შეიმუშავა 5 ძირითადი კონტრტერორისტული სტრატეგია: "ტერორისტებთან მორალური ომის წარმოება"; ტერორისტ-მკვლელების განთავისუფლებაზე კატეგორიული უარის თქმა; სამხედრო ძალის გამოყენება ტერორიზმის თავიდან ასაცილებლად; საერთაშორისო თანამშრომლობა; იმ სახელმწიფოთა მიმართ მკაცრი პოლიტიკის გატარება, რომლებიც მხარს უჭერენ ტერორისტებს.

გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ ტერორისტული ორგანიზაციების გამოსავლენად შეიმუშავა შემდეგი კრიტერიუმები: პოლიტიკური მიზნის არსებობა და მისი გამოვლინების ანტიდემოკრატიული ხასიათი; ორგანიზაციის მიერ დასაშინებლად ძალადობის სისტემატურად მიზანდასახული გამოყენება; ორგანიზებული სტრუქტურის არსებობა. ტერორისტული მოქმედებების სუბიექტების საზოგადოებრივი იზოლაცია.

ბოლო წლებში ევროპის რიგ ქვეყნებში, კერძოდ, ნიდერლანდებში, ირლანდიასა და ინგლისში გამოიყენება ეგრეთ წოდებული "გაყინვის" ტექნიკა, როდესაც ხდება ფიზიკური ძალადობის შეჩერება, იმ ადგილმდებარეობის იზოლაცია, რომელშიც იმყოფებიან ტერორისტები და მძევლები, მათთვის საკვების და მედიკამენტების მიწოდება, ტერორისტთა დაკავებამდე ან იმ მომენტამდე, ვიდრე შესაძლებელი არ იქნება ანტიტერორისტული ძალის გამოყენება უმცირესი დანაკარგებით. ასე მაგალითად, პერუში მომხდარი ტერორისტული აქტის დროს, როდესაც ტერორისტული დაჯგუფების "ტუპაკა-ამაროს" წევრებმა დიპლომატიურ მიღებაზე მძევალად აიყვანეს ასზე მეტი სტუმარი. მათ მიეწოდებოდათ საკვები, წყალი, ადგილზე დაშვებული იყო სამედიცინო პერსონალი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ტერორისტებთან. ამ ტაქტიკამ შედეგი გამოიღო და შესაძლებელი გახდა მძევლების განთავისუფლება, ხოლო კარგად დაგეგმილი სამხედრო ოპერაციის შედეგად ტერორისტთა ჯგუფი მთლიანად განადგურდა.

სწორედ ეს ტაქტიკა არ იქნა გამოყენებული არც "ნორდ-ოსტის" დროს და არც ბესლანში, რამაც შემზარავი შედეგი გამოიღო. რუსეთის ხელისუფლებამ თავისი ამბიციები მძევალთა სიცოცხლეზე მაღლა დააყენა.

მითითებული ტაქტიკა გამოდგება მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევაში და აბსოლუტურად გამოუყენებელია ისეთი ტერორისტული აქტების დროს, როდესაც ჯერ ხდება ტერორისტული აქტის განხორციელება დიდძალი მსხვერპლით და მხოლოდ ამის შემდეგ ახმოვანებენ ტერორისტები თავიანთ მიზნებს. ასე მოხდა ესპანეთში, როდესაც 150 ადამიანზე მეტი დაიღუპა რკინიგზაზე აფეთქების შედეგად, ასევე - საფრანგეთში ბოლო პერიოდში მომრავლებული ტერორისტული აქტების დროს, ხოლო ისრაელში ტერორისტული აქტები უკვე პერმანენტულ ხასიათს ატარებენ.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელი რიგი სახელმწიფოები უარს აცხადებენ ტერორისტებითვის დათმობასა და მათთან "მოლაპარაკებებზე". მოლაპარაკებაზე უარის თქმა არ ნიშნავს იმას, რომ ტერორისტებთან მოლაპარაკება არ მიმდინარეობს, ვთქვათ, მძევალთა გასათავისუფლებლად. აქ იგულისხმება ის, რომ სახელმწიფო არც ერთ შემთხვევაში არ წავა დათმობებზე და არ შეასრულებს ტერორისტთა მოთხოვნებს (მაგალითად, ამგვარი პრაქტიკა არსებობს აშშ-ში, ისრაელში, რუსეთი ნაწილობრივ იზიარებს აღნიშნულ პრაქტიკას).

ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის დახვეწა ტერორისტთა ფინანსური დახმარების სფეროში. კერძოდ, უფრო ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული გაეროს 1999 წლის კონვენცია "ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის შესახებ". 1996 წელს 8 სახელმწიფოს მინისტრთა თათბირზე პარიზში შემუშავებული იქნა რეკომენდაციები ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით. 1997 წელს, ევროკავშირის ეგიდით, ლუქსემბურგში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია ტერორისტთა დაფინანსებასთან ბრძოლის საკითხებზე. ანალოგიურ თემაზე ჩატარდა კონფერენცია ლონდონში, ასევე, 1999 წელს ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ ჩაატარა კონფერენცია მარ-დელ-პლატაში, რომელზეც მიიღო ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური დეკლარაცია. ამ საკითხის ეფექტურად გადაწყვეტაში მეტად მნიშვნელოვანია ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენციისა და, ასევე, ფულის გათეთრებისასთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია.

განსხვავებით ძველი თაობის ტერორისტებისგან, თანამედროვე ტერორისტული ორგანიზაციები საკმაოდ მდიდარები არიან და მათ ხშირად დიდი და მომგებიანი ბიზნესი აქვთ. ტერორისტთა დაფინანსების წყაროებია: კანონიერ საფუძველზე მოქმედი კომერციული საწარმოები, რომლებიც შეიძლება ეკუთვნოდეთ როგორც ტერორისტებს, ასევე, ტერორისტების გულშემატკივარ საქმიან წრეებს; სოციალური და რელიგიური შემოწირულობები, სპონსორი სახელმწიფოს თანხები და სხვა საქმიანობა.

მიუხედავად იმისა, რომ ტერორისტებისათვის საბოლოო მიზანი გამდიდრება არაა, მათ დიდძალი სახსრები სჭირდებათ თავიანთი მიზნების განსახორციელებლად. ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის ტაქტიკა მეტად მრავალფეროვანია. ზოგიერთ სახელმწიფოს შემუშავებული აქვს იმ ორგანიზაციების სია, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ასეთ ქმედებაში (აშშ, საფრანგეთი, გერმანია, იტალია).

ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო სახელმწიფოს შიგნით საფინანსო და სპეციალური სამსახურების მწყობრ მუშაობას, არამედ საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში. ტერორისტთა დაფინანსების საკითხი სახელმწიფოთა მხრიდან ყველა სამსახურის ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობას მოითხოვს; ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლაში კოორდინირებულად უნდა მოქმედებდნენ არა მარტო სპეცსამსახურები, არამედ სახელმწიფო საფინანსო სტრუქტურებიც. ასეთი ღონისძიებების მიზანს უნდა წარმოადგენდეს ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტთა დაფინანსების წყაროების დადგენა და აღმოფხვრა; ტერორისტთა პირდაპირი და ირიბი დაფინანსების აღკვეთა, განსაკუთრებით იმ ორგანიზაციების მუშაობის გაკონტროლება, რომლებიც საქველმოქმედო მოღვაწეობას ამოფარებული სახსრებს აგროვებენ ტერორისტთა შესაიარაღებლად და დასაფინანსებლად; სახელმწიფოს შიგნით გარკვეული ზომების მიღება იმ კაპიტალის საერთაშორისო ბრუნვის წინააღმდეგ, რომელთა მიმართ არსებობს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომ თანხები გამოიყენება ტერორისტთა დასაფინანსებლად.

**ამასთან, აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული კანონის მოთხოვნები, რათა გამოირიცხოს სახელმწიფოს სტრუქტურების მხრიდან თვითნებობა.**

სახელმწიფოს მხრიდან ტერორიზმთან ეფექტური ბრძოლის მექნიზმი უნდა შეიცავდეს კონტრზომებს - იდეოლოგიურს, ინფორმაციულს, ორგანიზაციულს. სახელმწიფომ მთელი ძალისხმევა უნდა მოახმაროს იმას, რომ მოქალაქეებს არ გაუჩნდეთ ტერორისტული ზრახვები და მიზნები; სახელმწიფო მუდმივად უნდა აწარმოებდეს დიალოგს თავის მოსახლეობასთან, სოციალური დაძაბულობის პირობებშიც კი, როდესაც კონფლიქტის გაღვივების და გაჩაღების დიდი შანსი არსებობს; საზოგადოებაში უნდა ჩამოყალიბდეს აზრი ტერორისტული მეთოდების მიუღებლობის შესახებ; საზოგადოება უნდა დარწმუნდეს, რომ სახელმწიფო ყოველთვის შეებრძოლება ტერორისტებს, მკაცრად დასჯის მათ და არ წავა ტერორისტებთან არავითარ დათმობაზე; ამასთან მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ ტერორიზმთან ბრძოლისას გამოყენებული მეთოდებით, საზოგადება დაარწმუნოს, რომ ტერორიზმთან ბრძოლა არ არის ადამიანის, მთლიანად საზოგადოების უფლებების, თავისუფლებებისა და ინტერესების მუდმივად შეზღუდვის იდენტური. ტერორიზმთან ბრძოლა მოიცავს საზოგადოების დაცვის, ზოგჯერ კი, საერთოდ, გადარჩენის მიზანს, რომლის დროსაც სახელმწიფომ უნდა დაიცვას საზოგადოების ყოველი წევრის ინტერესი. როგორი მძიმე ტერაქტიც უნდა მოხდეს, დაცული უნდა იქნას თვით დაკავებულ ტერორისტთა უფლებებიც, რამეთუ ამ მომენტის გაუთვალისწინებლობა კვლავ შობს ტერორისტულ განწყობას საზოგადოებაში; კონტრზომები - სამართლებრივი, ინფორმაციული, ადმინისტრაციული წინააღმდეგობა ტერორისტული ჯგუფების ჩამოყალიბების საქმეში; ტერორისტული აქტების თავიდან აცილება. მუდმივი კონტროლი ქვეყნის შიგნით ტერორიზმში ეჭვმიტანილ პირებსა და ორგანიზაციებზე; ყურადღება და ინფორმაციის მოგროვება საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათ წევრებზე, განსაკუთრებით - მეზობელ ქვეყნებში; სპეცსამსახურების სისტემატური ურთიერთობა სხვა ქვეყნების ანალოგიურ სტრუქტურებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან; სახელმწიფოში იარაღისა და საბრძოლო ნივთიერებათა ეფექტური კონტროლი; ტერორისტულ ორგანიზაციათა დაფინანსების გამოვლენა და დამფინანსებელ ორგანიზაციათა და სტრუქტურათა დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა; საზოგადოების ფართო ფენების განათლება და სახელმწიფოს მხრიდან ანტიტერორისტული მოქმედებების პროპაგანდა; ზოგადი და კერძო პრევენციის გამოყენება; მასმედიის მხრიდან ტერორისტების გაფეტიშებაზე და მათი ქმედებების პროპაგანდაზე უარის თქმა; საზოგადოებაში "სტოკჰოლმის სინდრომის" უარყოფა; ტერაქტების მსხვერპლთა უფლებების დაცვა და მათი რეაბილიტაცია; ტერაქტების მსხვერპლთა, მოსამართლეთა და სამართალდამცავ პირთა ეფექტური დაცვა, მათ შორის - იმ დაკავებულ ტერორისტებისაც, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობაზე; ექსტრადიციასთან დაკავშირებით ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების დადება; მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების, საელჩოების და აეროპორტებისა და ნავსადგურების, რკინიგზის სადგურების დაცვა; საჰაერო ხომალდთა და საზღვაო ტრანსპორტზე მომსახურე პერსონალის ინსტრუქტაჟი; სახელმწიფო საზღვრების და ტრანსპორტზე უსაფრთხოების ზომების დაცვა.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება ტერორიზმის განვითარებაში დეტონატორის როლი ითამაშონ: დაძაბული პოლიტიკური ვითარება სახელმწიფოში; დაძაბული პოლიტიკური ვითარება მეზობელ სახელმწიფოებთან ან აშკარა კონფლიქტი სხვა სახელმწიფოებთან; დაძაბული პოლიტიკური ვითარება მეზობელ სახელმწიფოებში. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ტერორისტებმა სახელმწიფო გამოიყენონ ტრანზიტად სხვა ტერორისტული ჯგუფებისა ან ტერორისტული აქტებისათვის საჭირო იარაღისა და ტექნიკის გადასატანად; სახელმწიფოს მხრიდან საზოგადოების გარკვეული ჯგუფის მოთხოვნათა სისტემატური უგულებელყოფა; ეთნოკონფლიქტები თვით სახელმწიფოში; მოუგვარებელი ურთიერთობები ეროვნულ უმცირესობებთან; კორუმპირებული გარემო და კორუმპირებული სახელმწიფო აპარატი; უმცირესობათა ინტერესების სისტემატური გაუთვალისიწინებლობა; ამა თუ იმ სახელმწიფო ბლოკში გაერთიანება ან სიტუაცია, როდესაც სახელმწიფოს ტერიტორია ან მისი ნაწილი სამხედრო პლაცდარმს წარმოადგენს სხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალებისათვის. ტერორისტთა აგრესია, შესაძლებელია, არ იყოს თვით მიმღები სახელმწიფოს წინააღმდეგ, მაგრამ ტერაქტები განხორციელდეს მის ტერიტორიაზე განლაგებულ სამხედრო ნაწილების წინააღმდეგ; მძიმე და მოუწყობელი სოციალურ-ეკონომიკური გარემო; უმუშევართა დიდი რაოდენობა (მათ შორის, კვალიფიციური კადრები), რომლებიც ყოველთვის კარგ მონაპოვარს წარმოადგენენ ტერორისტებისათვის; რელიგიური კონფესიების სიუხვე, რომელთა შორის არ არსებობს შემწყნარებლური ურთიერთობები.

ხშირად აღნიშნავენ, რომ ტერორიზმი საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოების ნორმალური თანაცხოვრებისათვის, საზოგადოების უსაფრთხოებისათვის; საფრთხეს უქმნის მსოფლიო მშვიდობას, უსაფრთხოებას, სახელმწიფოთა ურთიერთობებს და სხვა. მართლაც, ტერორიზმის საფრთხე არა მარტო ისაა, რომ ის საშიშია საზოგადოებისათვის, არამედ ტერორიზმთან ბრძოლა, შესაძლებელია, საფუძველი გახდეს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შეზღუდვისათვის. ტერორისტების ზრახვები ხშირად ამ ფაქტორსაც ითვალისწინებენ, რათა სახელმწიფოს მხრიდან გამოიწვიონ შესაბამისი რეაქცია და ამით კიდევ უფრო დაძაბონ სიტუაცია საზოგადოებაში. ამის ნათელი მაგალითია ტოტალიტარული სახელმწიფოები, რომელთა უმეტესობაშიც ტერორისტული აქტები, თითქმის, არ არსებობს (მაგრამ, არის გამონაკლისებიც). დიქტატურა თავის ოპოზიციას ხშირად ტერორიზმთან ბრძოლის ლოზუნგით უსწორდება (ეგრეთ წოდებული "რეპრესიული" ტერორი) და ეს შეიძლება საზოგადოების "ფართო მასების" მოთხოვნითაც კი იყოს გაფორმებული.

ამიტომ, სახელმწიფო ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმების შემუშავებისას ძალიან დიდი საფრთხის ქვეშ დგას და ხელისუფლებას დიდი სიფრთხილე ჰმართებს: კეთილი მიზნების მისაღწევად ანუ ტერორიზმთან ბრძოლის და მისი აღკვეთის მოტივით, არ მოხდეს ადამიანის უფლებათა დარღვევა. ხელისუფლებამ უნდა გაუძლოს ცდუნებას, არ მოახდინოს საზოგადოებრივი ინტერესების ისეთი შეზღუდვა, რომელიც, ერთი მხრივ, გამოიწვევს საზოგადოების მხრიდან ნეგატიურ შეფასებას (ეს საფრთხეს შეუქმნის ხელისუფლებას და დააკარგვინებს საზოგადოების მხარდაჭერას ტერორიზმთან ბრძოლაში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია), ხოლო, მეორე მხრივ, გამოიწვევს ახალ ტერორისტულ აქტებს, სახელმწიფო ხელისუფლებით უკმაყოფილო ჯგუფების გამრავლებასა და ახალი ტერორისტული ჯგუფების გაჩენას.

ტერორისტები ყოველთვის ორ მიზანს ისახავენ. პირველი და მთავარი მათი პოლიტიკური მიზანია; მეორე მიზანი კი ისაა, რომ აიძულონ სახელმწიფო, რაც შეიძლება, მეტი შეცდომა დაუშვას ტერორისტებთან ბრძოლის დროს. მაგალითად, მძევალთა განთავისუფლება მოხდეს დიდი დანაკარგებით; უდანაშაულო მოქალაქეებისა და მათი ქონებისათვის ზარალის მიყენებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვებით და სხვა.

სწორედ ამ საკითხში ჰმართებს სიფრთხილე სახელმწიფოს, სწორედ აქ უნდა მოინახოს ის ოქროს შუალედი - ბალანსი საზოგადოებრივ ინტერესებსა და ცალკეულ ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვას შორის.


ბესლანი


მადრიდი


ბესლანი


ბესლანი


ნიუ იორკი

# 1798 წლის 11 იანვარს გარდაიცვალა ერეკლე მეორე

ანდრე კარბელაშვილი

ილია ჭავჭავაძე წერდა, რომ მეფე ერეკლე: "ნახევარ საუკუნეზე მეტი ხმალამოღებული პატრონობდა და თავგამომეტებით, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ინახავდა ყველა მილეთის და თესლის კაცს, ვინც კი შემოკედლებულები იყვნენ მის საფარველს ქვეშ... ერეკლე ბრწყინვალე მეფე საქართველოსი და ტფილისი მისი სატახტო ქალაქი"!..

თუ როგორ პატივს სცემდა დიდი ილია მეფე ერეკლეს ხსოვნას, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მას თბილისში, თავის სამუშაო კაბინეტში ერეკლე მეორის ფერწერული პორტრეტი ეკიდა.

## ევროპაში ქართველ მეფეზე

1754 წელი. პარიზში ერეკლე მეორეს შესახებ სპეციალური წიგნი გამოიცა. მეორე წელსვე გერმანულად უთარგმნიათ და დაუბეჭდავთ მაინის ფრანკფურტში.

1766 წელი. პორტუგალიის დედაქალაქ ლისაბონში ორი ბროშურა გამოქვეყნდა ქართველი მეფის მამაცობაზე.

1767 წელი. ჰამბურგის ნაციონალურ თეატრში პირველად დაიდგა პიესა "მინა ფონ ბარნჰელმი" და მაყურებლებმა პირველად შეიტყვეს ერეკლე მეორის ამბავი. პიესის ავტორი გახლდათ პოეტი, მწერალი და დრამატურგი გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგი (1729-1781) - გერმანული კლასიკური ლიტერატურის ერთ-ერთი ფუძემდებელი. მისი ეს პიესა მაშინვე გადავიდა გერმანიის სხვადასხვა ქალაქში, შემდეგ საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის თეატრებში.

ლესინგმა ევროპას გააცნო საქართველოს სახელმოხვეჭილი სარდალი. ლესინგმა თავისი პიესით ძეგლი დაუდგა ერეკლე მეორეს. მას ხომ ევროპის პრესა სამართლიანად ეხმაურებოდა. აი, რატომ მოხდა, რომ პიესის გმირი პაულ ვერნერი გაოცებული ეკითხება ერთ მსახიობს სცენაზე: "ნუთუ არაფერი იცით აღმოსავლეთის დიდ გმირზე?.. ადამიანო, ვხედავ გაზეთებსაც იშვიათად კითხულობ, როგორც ბიბლიას. მაშ, არ იცნობ პრინც ერეკლეს? იმ მამაც ვაჟკაცს"?..

ერთ-ერთი წარმოდგენის დროს ვერნერმა აცნობა მაყურებელს, - პრინცი ერეკლე დიდი ბრძოლისათვის ემზადება და მეც გადავწყვიტე, მივიღო მონაწილეობა ამ ლაშქრობაში უბრწყინვალესი ერეკლეს მეთაურობითო". დარბაზში ოვაცია გაუმართავთ.

## ერეკლეს გარდაცვალება

საქართველოს დიდი მეგობრის, გერმანელი არტურ ლაისტის დაბადებიდან 150 წლისთავი განსაკუთრებით აღინიშნა 2002 წელს. სახლზე, სადაც ცხოვრობდა არტურ ლაისტი (ძმები ზუბალაშვილების ქუჩა), საზოგადოების თანდასწრებით გაიხსნა მემორიალური დაფა.

ლაისტმა, რომელმაც შესანიშნავად შეისწავლა საქართველოს ისტორია, რაც ასახულია მის წიგნში "საქართველოს გული", დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატა ერეკლე მეორესადმი. მან გაიხსენა ერეკლე მეორეს გარდაცვალებაც.

"1798 წელს 11 იანვარს ერეკლე მეფე გარდაიცვალა. მეფის სიკვდილი ხალხს შეატყობინეს განცხადებით, რომელიც დაატარა შიკრიკმა ყველა კუთხეში. ერი უზომო გლოვამ მოიცვა.

დაკრძალვა და ტირილი მოწყობილი იყო ძველებური წესით. თელავში დიდებული ცერემონიისათვის შეიკრიბა მთელი საქართველო: კახეთი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი, თუშები და იმერლებიც კი", - იწყებდა ლაისტი იმ დღის გახსენებას.

აი, კიდევ ასეთი ადგილები:

"თელავს თავის დღეში არ ენახა ამოდენა ხალხი. ეს იყო უკანასკნელი ძველ-ქართული სამგლოვიარო ცერემონიალი, ფრიად თავისებური და საინტერესო საქართველოს ისტორიის, საქართველოს კულტურის ისტორიისათვის.

წარმოიდგინეთ თელავში მიმავალი გზები ურმების განუწყვეტელი ნაკადით, ცხენოსანი და ქვეითი ხალხით სავსე. ყველა კუთხის მცხოვრებს ეცვა თავისებური ტანსაცმელი, განსაკუთრებით მთიელებს, დასაფლავებას დაესწრნენ თბილისელი სომეხი ვაჭრები და ბორჩალოს თათრები, რომლებიც მეფე ერეკლეს ბრძოლებში მონაწილეობას იღებდნენ და კარგი მეომრებიც იყვნენ".

"ახლად მოსულნი პატარა ჯგუფებად მოდიოდნენ კუბოსთან და ტიროდნენ; ტირილი და გოდება არ წყდებოდა დილიდან საღამომდე.

დაიტირეს არა მარტო მხედარი, მისი იარაღი, ტანსაცმელი და მისი საყვარელი ცხენიც. სასახლის წინ ამაღლებულ ადგილზე ხალებით დაფენილ ტახტზე ელაგა ყველა ეს საგანი და უნაგირი, რომელზედაც მეფე ერეკლე იჯდა ნადირ-შაჰთან ლაშქრობის დროს. ეს იყო ზამთარში, ყველასათვის არ იყო თავშესაფარი და ბევრი ღამეს ცის ქვეშ ატარებდა. ბუტკოვის გადმოცემით, აქ შეიკრიბა, აგრეთვე, ოცი ათასამდე ჯარისკაცი. სამძიმრისათვის მოსული ბატონიშვილები და ფეოდალები შავად მოსილ დარბაზში მიიღეს, სადაც დედოფალი დარეჯანი იჯდა ხალზე მოკეცილი თავის ამალით, ქალითა და კაცით გარშემორტყმული".

ვინ იცის, რას არ ფიქრობდა დედოფალი დარეჯანი შავადმოსილ დარბაზში ერეკლე მეორის კუბოსთან!

თუმცა, ისევ არტურ ლაისტი:

"ექვსი კვირა გასტანა ცერემონიამ. ჩამოვიდა კათალიკოსი ანტონი სამღვდელოებით ანდერძის ასაგებად. თოფ-ზარბაზნების გრიალში გაასვენეს კუბო თელავის სასახლიდან. სამგლოვიარო პროცესია მცხეთისაკენ დაიძრა. მცხეთის ტაძარში დაკრძალეს ერეკლე. საფლავზე დადებულმა ქვამ დახურა ძველი საქართველოს ისტორია".



მერაბ ბერძენიშვილი. ერეკლე მეორეს ძეგლი.

## ილია ჭავჭავაძე წერდა

1898 წლის 12 იანვარს გაზეთ "ივერიაში" ილია ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა წერილი "ასი წლის თავი ერეკლე მეფის გარდაცვალებიდან".

აი, ერთი ადგილი დიდი ილიას წერილიდან:

"11 იანვარს, როგორც მოეხსენებათ ჩვენს მკითხველებს, წირვა და პანაშვიდი იქნა გარდახდილი საქართველოს მეფის ერეკლეს მოსახსენებლად ლოცვითა და კურთხევითა. დიდძალი ხალხი მიაწყდა ამ დღეს სიონის სობორს, ასე რომ, შიგ ეკლესიაში ტევა არ იყო. გარეთ მთელი სიონის ქუჩა ორ პირად დაჭერილი იყო ხალხითა და პოლიცია ძლივს ამაგრებდა, რადგან ყველა ეკლესიაში შესასვლელად იწევდა და ეკლესიაში-კი ადგილი არ იყო".

ილია ჭავჭავაძის მეორე წერილი ამავე საკითხზე იმავე წლის 21 თებერვალს დაიბეჭდა "ივერიაში":

"ამ თებერვლის 22-სა დღესა შესრულდება ასი წელიწადი მას აქეთ, რაც მეფე ერეკლე მიებარა მიწას და დასაფლავებულ იქნა მცხეთის სამეფო ტაძარში. ამ დღეს მის საფლავზე გადახდილი იქნა წირვა და პანაშვიდი და ქართველობა ერთხელ კიდევ ეტყვის საუკუნო ხსენებას სახელოვან გვირგვინოსანსა. ხსენება ღვაწლით მოსილი მამულიშვილისა, მეფეა თუ უბრალო სიკვდილის შვილი, სესხი და ვალია შთამომავლობისა. საფლავი ქვეყნის მოღვაწე ვაჟკაცისა წმინდა სალოცავია მამულისათვის, თუ ერი ერობს და "სამარესკენ ფეხი არ გაუშვერია", მაგრამ საკმაო-კია მარტო სიტყვით, მარტო ლოცვა-კურთხევით ხსენება? ეს ყველა ხომ წავა და გათავდება, სხვა რა დაგვრჩება, რომ მართლა საუკუნო სახსენებელი იყოს ჩვენთვის ამისთანა კაცი?

თითოეულის ადამიანის საფლავის ქვეშეო, - ამბობს გერმანიის სახალხო პოეტი ჰაინე, - დამარხულია მთელი ქვეყნიერების ისტორია. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე თვითოეულად, მაშ უფრო ბევრრიგად მართალია თ.გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: "დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო". უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდბუნებოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლმოსილება გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და "მამული ვეღარ იხილავს ერეკლეს ხმალსა მღელვარეს".

ერმა ამისთანებში უფრო მოსწრებული და ზედგამოჭრილი სიტყვა იცის, იმიტომ, რომ ბაგენი მისნი მეტყველებენ მარტო ნამეტანობისაგან გულისა, ესე იგი, მაშინ, როცა გული სავსეა. "ვერ გაიგითა, ქართველნო, შეგეხსნათ რკინის კარია, აღრ გყავთ მეფე ერეკლე, ბაგრატიონთა გვარია"-ო, - ასე ამოიკვნესა ერმა, როცა დასტიროდა გვამს თავისი სახელოვანი მეფისას. "მეფე ერეკლე რკინის კარი იყო საქართველოსი".

ერის ასეთი მოწმობა უტყუარი საბუთია მეფე ერეკლეს დიდბუნებოვანობისა ეს რკინის-კარობა პატარა კახისა ოთხ კედელს შუა მოგონილი და ხელად გამომცხვარი ეპითეტი კი არ არის, ეს სიტყვა ერის გულით შობილი და ერის ელდაცემული გულიდან ამოხეთქებული, ვითა თოფის წამალი, როცა ცეცხლი ეცემა. აქ ლაპარაკობს თვით ერი, რომელიც ამისთანებში მეტის-მეტად სიტყვა-ძვირია და თავდაჭერილი და არა ჰგავს კარჩაკეტილს მწიგნობარსა, რომლისათვისაც დაუვალებიათ, უსახელოს სახელი რომ მიკეროს მახლობელთა სანუგეშოდ".

ილია ჭავჭავაძემ თავისი ვრცელი წერილი ასეთი სტრიქონებით დაამთავრა:

"სახელოვანი ერეკლე მისთანა კაცი ყოფილა, რომელსაც შთამომავლობისაგან სამართლიანად ეთქმის: "მოკვდა თავის ანდერძითა, აწ ისევ საქმობს მკვდარიო".

## ვინ შეიპარა სვეტიცხოველში?

როგორც კრებული "ვესტ კავკაზ"-ი იუწყებოდა, 1903 წელს: "როცა ერეკლე მეორის ნეშტი მცხეთაში ჩაიტანეს დასასაფლავებლად, ალექსანდრე ღამით, ფარულად შევიდა ტაძარში, უკანასკნელად ეამბორა თავისი მამის უსულო სხეულს და დუშეთის მიღმა, მთებში გაიხიზნა".

დიახ, ერეკლე მეორეს შვილი ალექსანდრე ბატონიშვილი მთებში გაიხიზნა. ამის მიზეზი იყო სამშობლოში სხვადასხვა ხასიათის დაპირისპირება, მათ შორის, რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ.

თავისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდში ალექსანდრე სპარსეთში იმყოფებოდა.

"ალექსანდრეს სპარსეთში ჰქონდა "მირზას", "ხანის", "გურჯისტანის ვალის" ტიტულები და სიკვდილამდე სხვადასხვა თანამდებობა ეკავა, მაგრამ ბოლოს მაინც უკიდურეს სიღარიბეში დალია სული. როგორც მოწმეები გადმოგვცემენ, იგი გარდაიცვალა 1844 წელს და დაკრძალულია თეირანში სომეხთა ეკლესიის კარიბჭესთან, მარჯვნივ.

უბრალო საფლავის ქვა ახლაც მიგვანიშნებს იმ ადგილს, სადაც მისი ნეშტი განისვენებს"... - წერდა "ვესტ კავკაზ"-ი.

1828 წელს დაიბადა ალექსანდრეს შვილი ირაკლი, ერეკლე მეორეს შვილიშვილი; 1882 წელს თბილისში გარდაიცვალა.

ქართველმა ხალხმა დიდი პატივისცემით დაკრძალა ირაკლი სვეტიცხოველში თავისი პაპის - ერეკლე მეორეს გვერდით.

## TV პროგრამა

11 იანვარი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელეღიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ფორტ ბოიარდი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "წითელი დრაკონი" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელეღიპუცები **18.20** "ჯეტიქსი" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ღამის შოუ **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "ჩაპლინი" (12) (რობერტ დაუნი-უმცროსი) **02.50** პატრული

### პირველი არხი

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "გრანდიოზული გაქცევები" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმები "კლიფორდი" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.30** მხედრობა **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "ბაჯამა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერიალი "ჯეტ ჯექსონი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "კლეოპატრა" 1-ლი ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "სუპერმასიური შავი ხვრელები **23.00** პროფესიონალი **23.30** ქართ. ფილმი "ჩემი ძვირფასი სანატრელი ბაბუ" **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** საბავშვო სერიალი "დიუნის შვილები" **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ყველაზე, ყველაზე" **16.05** სერიალი "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** "ჯეოსტარი" **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** გიორგი კალანდია "გელინო 2" **23.45** მხ. ფილმი "თუნუქის დოლი" (12)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **19.50** "ბაბილინა" **20.05** ანიმაცია "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავლები" **20.30** დოკ. ფილმი "რიგა" **21.30** კონცერტი **22.10** კინოსეანსი "ზერიკაცები"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "საზღვაო ისტორიები" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.20** "დუბლიორი" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კამენსკაია" **12.20, 14.30, 17.10, 04.10** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 03.40** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ბურატინოს თავგადასავალი" 1-ლი ს. **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 03.30** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "უცნობი აფრიკა" **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "კამენსკაია" **22.40** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.00** პირველები **23.40** მხ. ფილიმ "ესპანური სასტუმრო" (15) (ო. ტოტუ) **01.40** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.35** გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.20** კომედია "ინსპექტორი გაჯეტი 2" **10.50** მუსიკა **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.40** "სტარტი" **12.10** მხ. ფილმი "მე იქ ვიქნები" **13.50** დოკ. ფილმი **14.45** კომედია "თავდავიწყებული სიყვარული" **16.15** მულტფილმი **17.45** დოკ. ფილმი **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** ბოევიკი "ვირტუოზი" **21.00** დრამა "კარლიტოს გზა" **23.30** საინფ. დაიჯესტი **23.50** მხ. ფილმი "სილვია"

### კავკასია

**12.00** ტუწ-ემ **14.00** მხ. ფილმი "მაქსიმალური ექსტრიმი" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "შიშის სახლი" (გ) **00.30** ტუწ-ემ

### ОРТ

**КАНАЛ "ОРТ-ТБИЛИСИ" ТРАНСЛИРУЕТ ПРОГРАММУ ПЕРЕДАЧ НА 1 ЧАС ПОЗЖЕ ОСНОВНОГО ПЕРВОГО КАНАЛА. 06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Николай Караченцов в фильме **"КОЛХОЗ ИНТЕРТЕЙНМЕНТ". 11.20** "Шутка за шуткой". **12.20** Георгий Тараторкин в фильме **"ПОБЕДИТЕЛЬ"**. **14.10** Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха". **15.20** "Угадай мелодию" **15.50** Валерий Николаев в многосерийном фильме **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 17.00** "Пять вечеров". Вторник. **18.20** Док. фильм "Встань и иди: семь лет одиночества". **19.00** Сериал **"КЛОН". 19.50** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00** Время. **21.30** Джулия Робертс в комедии **"ЛЮБИМЦЫ АМЕРИКИ" 23.30** Эрик Робертс в боевике **"РАСКАЛЕННОЕ РОЖДЕСТВО".** Рождество - один из самых любимых праздников для миллионов людей. Его ждут, к нему готовятся, загадывают желания. У чикагского полицейского Корнелиуса Моргана в канун праздника не было ни желаний, ни надежд. Полицейский департамент изъял у него значок, а преступники отняли любимую жену. Жизнь потеряла смысл. И только страстная жажда мести не дает опустить руки. К тому же в Рождество принято дарить подарки: это традиция. Морган решает ее не нарушать и преподнести небольшой, но памятный сувенир Джимми Скальцетти, главарю банды, повинной в смерти его жены. **01.10** Ричард Харрис в боевике **"СМЕРТЬ СРЕДИ АЙСБЕРГОВ"**. **02.40** Гэри Бьюзи в боевике **"ПУЛЕНЕПРОБИВАЕМЫЙ"**. **04..20** Док. фильм "Дело "Аполлон": были ли американцы на Луне?". **05.05** "Подводный мир Андрея Макаревича".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.20** Премьера. "Анатомия преступлений". **10.55** Комедия **"ЗА БОРТОМ". 13.35** Комедия **"МЫ НЕ АНГЕЛЫ". 15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Комедийный сериал **"ОТРАЖЕНИЯ". 18.00** Игры разума. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Игорь Костолевский в детективном сериале **"УСАДЬБА". 20.45** Инна Чурикова в остросюжетном сериале **"ВИНТОВАЯ ЛЕСТНИЦА". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.00** "Сегодня 22.00". **22.40** Юрий Стоянов в сериале **"ЛАНДЫШ СЕРЕБРИСТЫЙ" 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.20** Пьер Ришар в комедии **"РАССЕЯННЫЙ". 01.45** Особо опасен! **02.20** Сериал **"БРЭМ И ЭЛИС". 03.05** Коллекция Национального географического общества. "В поисках ягуара". **04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ОПЕРАТИВНИК". 05.35** Чрезвычайное происшествие.

## სკანვორდი



# „ოაზისი" ინკოგნიტო ქმნილებით

ჯგუფ "ოაზისის" გიტარისტის ნოელ გალაჰერის თქმით, მათი ახალი ალბომის პრეზენტაცია 16 მაისს გაიმართება. ამ დღეს "ოაზისის" რიგით მეექვსე კრებული საერთაშორისო ბაზარში ჩაეშვება. "ბი ბი სი"-ს "რადიო 1"-ის ეთერში გალაჰერმა ისიც დაადასტურა, რომ ალბომს უკვე სათაურიც აქვს, ოღონდ მისი გამხელისგან თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ "ოაზისი" ახალი ალბომით მსმენელის წინაშე სამწლიანი ინტერვალის შემდეგ წარდგება. სამი წლის წინ კი ისინი მსოფლიო მუსიკალურ ბაზარზე დისკით Heathen Chemistry გამოჩნდნენ.

ახალ კრებულში გაერთიანებული იქნება 12 სიმღერა, რომელთა ავტორებიც ჯგუფის ოთხივე წევრია - ნოელი, მისი ძმა ლიამი, ბასისტი ენდი ბელი და გიტარისტი გემ არჩერი. ესეც "ოაზისის" ახალი სიტყვაა, რადგან წინათ ჯგუფის თითქმის ყველა სიმღერის ავტორი ნოელ გალაჰერი იყო.



დღეს ის ამბობს: "ალბომი, რომლის პრეზენტაცია 16 მაისს გაიმართება, ბოლო ოთხიდან ჩემთვის ყველაზე საყვარელი დისკია. საყვარელი იმიტომ, რომ სიმღერის წერის პროცესში ყველამ მივიღეთ მონაწილეობა. ეს კი განსაკუთრებულ გრძნობებს აღძრავს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ყველაზე "ოაზისურად" მაინც ენდი ბელის მიერ დაწერილი სიმღერები ჟღერს".

რაც შეეხება ცალკეულ სიმღერებს, ალბომში გაერთიანებული იქნება კომპოზიციები სათაურებით: The Importance of Being Idle, Guess God Thinks I'm Able და Part of the Queue. თუმცა, ჯგუფის წევრებს ჯერ პირველი სინგლი არ შეურჩევიათ. "თავიდან გვქონდა ერთი სიმღერა, მაგრამ მას მე ვმღერი. ეს გარემოება კი, მივხვდით, ბევრს დააბნევდა. "ოაზისის" 12-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ უცებ მე ვმღერი. ხომ შეიძლება, ხალხმა იფიქროს, რომ ლიამმა ჯგუფი საერთოდ დატოვა".

ასე რომ, რა იქნება "ოაზისის" პირველი სინგლი, ჯერჯერობით, უცნობია. სამაგიეროდ ნოელმა "ბი ბი სი"-ს რადიოეთერში საკონცერტო გეგმების შესახებ ილაპარაკა. მისი თქმით, "ოაზისი" 29 ივნისს გლაზგოს სტადიონზე გამართავს კონცერტს, 2 ივლისს - მანჩესტერში, 9 ივლისს კი - ლონდონში. ახალი ალბომის პრომოუტირებისთვის დანარჩენი გეგმა ჯერაც დამუშავების პროცესშია.

# ოუშენი წინ, სრული სვლით!

მას შემდეგ, რაც ოუშენს მე-12 მეგობარი გამოუჩნდა, ის საგრძნობლად გაძლიერდა. ეს, პირველ რიგში, ფინანსებზე აისახა. ბოლო შაბათ-კვირას ფილმმა საერთაშორისო მასშტაბით ყველაზე შემოსავლიანი სურათების სიაში პირველ ადგილზე გადაინაცვლა. მისი მოგება დაახლოებით 17.7 მილიონი დოლარით გაიზარდა, რითაც საერთაშორისო ქისა 137 მილიონ დოლარამდე შეავსო.

თუ დავწვრილმანდებით და ციფრებს ჩავუღრმავდებით, "ოუშენის 12 მეგობარმა" ჩრდილოეთ ამერიკის კინოსალაროებიდან 115 მილიონი დოლარი იშოვა, სამხრეთ კორეაში - 1.8 მილიონი, ფილიპინებზე - 370 ათასი.



სტივენ სოდერბერგის ვარსკვლავებით დახუნძლულმა ფილმმა არანაკლები წარმატება მოიპოვა ევროპის ქვეყნებსა და არგენტინაში. თუმცა, განსაკუთრებული პოპულარულობა მას მაინც პორტუგალიაში ხვდა წილად.

ბოლო დროს ჰოლივუდში შექმნილი კინოპროდუქციიდან ბრიტანელებს ყველაზე მეტად "ავიატორი" მოეწონათ. გერმანიაში პირველ ადგილზე "რეი" გავიდა, ჩრდილოეთ ამერიკაში კი - საშობაო-საოჯახო კომედია "გაიცანით ფოკერსები". რაც შეეხება იტალიას, იქ ყველაზე მეტად ჩასუქებული გაუთხოვარი ბრიტანელი ქალის სასაცილო ისტორიებით იხალისეს და "ბრიჯიტ ჯონსის" ყულაბა 4.3 მილიონი დოლარით გაასქელეს.

ასეთია ევროპელი და აზიელი მაყურებლების წვლილი ჰოლივუდის ფაბრიკის გამდიდრებაში, რათა ამ უკანასკნელმა ერთ თარგზე გამოჭრილი, სულ ახალ-ახალი სურათებით მოგვამარაგოს.

# „სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს უზრდელობის თავისუფლებას„

## მორწმუნეები "ბი-ბი-სის" წინააღმდეგ

ინგლისში რელიგიურ თემაზე მორიგი სკანდალი აგორდა. თუკი ამას წინათ სიკხების აქციების მიზეზი ბირმინგემის თეატრში გამართული სპექტაკლი (აქციამ თავისას მიაღწია და სპექტაკლის ჩვენება, დროებით თუ სამუდამოდ, შეჩერდა) იყო, ამჟამად ინგლისში არსებული ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიური ორგანიზაციების წევრთა გამოსვლებს საფუძველი მისცა ბი-ბის-სის სატელევიზიო ეთერში გასულმა მიუზიკლმა "ჯერი სპრინგერი. ოპერა". ამიტომაც ბრიტანეთის საზოგადოებრივი ტელევიზიის შენობის წინ ასობით ქრისტიანისა და მუსულმანის საპროტესტო აქცია გაიმართა.

საქმე ის არის, რომ, აქტივისტთა აზრით, ეს სპექტაკლი მორწმუნე ქრისტიანების გრძნობებს შეურაცხყოფს. სპექტაკლში, რომელიც წარმატებით მიმდინარეობდა უესტ-ენდში, უამრავი უცენზურო გამონათქვამია; მათი განცხადებით, საერთო ჯამში, პროგრამაში რვა ათასჯერ ისმის გინება. ეს ციფრი მაშინ მიიღეს, როდესაც გუნდის 27 წევრის მიერ გამოთქმული სიტყვები დათვალეს. თუმცა, ტელეკომპანიის წარმომადგენლის მონაცემებით, ამგვარ გამონათქვამთა რაოდენობა სამასია. მოქმედ პირებს შორის არის იესო ქრისტე; ქრისტიანთა განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია სცენამ, სადაც მესიას პამპერსი აცვია და თავს ნაწილობრივ ჰომოსექსუალისტად აცხადებს. ამ ყველაფრის გამო ტელეკომპანიამ 45 ათასამდე საჩივარი მიიღო; კომპანიის ხელმძღვანელობა კი მიიჩნევს, რომ პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე ცხოვრების მახვილგონივრული პაროდიაა.

კორპორაციის გენერალური დირექტორი მარკ ტომპსონი აცხადებს, რომ პროგრამაში არაფერი იყო ღვთის საგმობი; რაც შეეხება ლექსიკას, მისი თქმით, ამასთან დაკავშირებით მიუზიკლს წინ უძღოდა გაფრთხილება.

ქრისტიანული ორგანიზაციები მზად არიან სასამართლოს მიმართონ. "აღმაშფოთებელია, როდესაც მარკ ტომპსონი და დევიდ სოული (მთავარი როლის შემსრულებელი) თავს ქრისტიანებად აცხადებენ და ვერ ხედავენ, რომ ეთერში გაშვებული მიუზიკლის მიხედვით ეს ასე არ არის. რა არის იმაში ქრისტიანული, როდესაც ისინი დასაშვებად მიიჩნევენ ღმერთის დაცინვას? შოუში წინასწარმეტყველი მუჰამედი და ვიშნუ რომ ყოფილიყვნენ ჰომოსექსუალისტებად წარმოჩენილი, სპექტაკლს ვერასდროს იხილავდა მაყურებელი, - აცხადებს ორგანიზაცია "ქრისტიანული ხმის" ეროვნული დირექტორი". "სიტყვის თავისუფლება არ ნიშნავს საზიზღრობის თავისუფლებას", - აცხადებენ აქციის მონაწილეები. ტელეკომპანიის პოზიციის მხარდასაჭერად საზოგადოების ელიტარული ნაწილი გამოვიდა. მათ "ბი-ბი-სის" ხელმძღვანელობას მოუწოდეს, არ აყვნენ რელიგიური წრეების მუქარას. "ესაა ორგანიზებული ზეწოლა - რათა რელიგიურმა ძალებმა აკონტროლონ, რას უნდა ვუყუროთ ამ ქვეყნის მოქალაქეებმა და რას არა", - ამბობს ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი ტერი სანდერსონი.




# ფილმი აღმაშენებელზე

ქართულ კინოინდუსტრიაში უახლოეს პერიოდში ახალი ქართული ფილმი გაჩნდება. ფილმი დავით აღმაშენებლის მოღვაწეობას და მისი მეფობის პერიოდს შეეხება. ვინ იქნება ქართულ-ირლანდიური ერთობლივი პროექტის რეჟისორი, ჯერჯერობით, უცნობია.

ამ საკითხთან დაკავშირებით გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან შეიკრიბნენ კულტურისა და სპორტის მინისტრი გიორგი გაბაშვილი, ასევე ფილმის იდეის ავტორები - დავით ტურაშვილი და ლევან კორინთელი.

პრეზიდენტის თქმით, ეს უნდა იყოს ისეთი ფილმი, რომელსაც მთელი მსოფლიო ნახავს. "პრეზიდენტის ფუნქცია არ არის ფილმებთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ, ვფიქრობ, ეს ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედების მხრიდან სრულიად განსაკუთრებული ინიციატივაა. საქართველოში მრავალი წელია ფილმები თითქმის არ გადაღებულა. გვყავს ბევრი ნიჭიერი ხელოვანი, რეჟისორი, ოპერატორი, მსახიობი, მაგრამ არ გვაქვს კინოინდუსტრია", - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

ფილმის გადაღებისთვის საჭირო თანხა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა, თუმცა მას ბიზნესმენებიც შეეწევიან. ***მედიანიუსი***

# სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილის ნიკოლოზ ვაჩეიშვილის თქმით, იტალიიდან ჩამოტანილი სადრენაჟორო სისტემები თებერვლის პირველ ნახევრამდე დამონტაჟდება. მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების პირველი ეტაპისთვის 80 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. მეორე ეტაპის დასაფინანსებლად თანხის რაოდენობა უახლოეს დღეებში დადგინდება".

მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს მუზეუმში ტენიანობის, ტემპერატურისა და ჰაერის გამანაწილებელი დასავლური სადრენაჟორო სისტემის შექმნას.

ცნობისთვის: მესტიის ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმში XII-XIII საუკუნეების უნიკალური ქართული ხატები და ხელნაწერები ინახება. ***მედიანიუსი***

# ახალი ბიზნესი

მუსიკალურ ბიზნესში უყურადღებოდ არ დარჩებოდა ინფორმაცია მობილური ტელეფონების მელოდიებისადმი მოთხოვნილების ზრდასთან დაკავშირებით; სხვათა შორის, 2008 წლისთვის ამ სფეროდან 721 მილიონი ამერიკული დოლარის შემოსავალს ელოდებიან. ჰოდა, ევროპული მედიაკონცერნის Lagadere-ის ამერიკული განყოფილება აყალიბებს მუსიკალურ კომპანიას BlingTones, რომელიც ფიჭური ტელეფონებისთვის მუსიკის დამუშავებითა და გაყიდვით იქნება დაკავებული.

კომპანია თავის მოღვაწეობას შეერთებული შტატების ტერიტორიაზე დაიწყებს; მას უკვე შეუძლია დაიტრაბახოს მსოფლიოში ცნობილ მობილურ ოპერატორებთან თანამშრომლობაზე კონტრაქტების გაფორმება. რაც შეეხება ბიზნესის მუსიკალურ მხარეს, იმის მიხედვით, თუ ვინ სარგებლობს ახალგაზრდებს შორის პოპულარობით, BlingTones-ის პარტნიორობაზე უკვე დათანხმდნენ "როკუაილდერი" და დენუალ პორტერი, რომლებთანაც გაზეთი "ნიუ იორკ პოსტი" აიგივებს ისეთ კაშკაშა ვარსკვლავებს, როგორებიც არიან: Jay-Z, ემინემი, 50 Cent და მისი ელიოტი.

დღეისათვის კომპანიის კატალოგი 60 ლიცენზირებული მელოდიისგან შედგება. შესაბამისად, შემოსავლებზე საუბარიც ზედმეტია ამ ეტაპზე. კომპანიამ თავდაპირველი დაფინანსება მშობელი Lagadere-სგან მიიღო; ძირითადი ხარჯი მარკეტინგსა და ახალგაზრდებს შორის პროექტის ფართოდ რეკლამირებას დასჭირდება. თუმცა, უახლოეს ხანში რომ ყველა დანახარჯს მონაგები გადაამეტებს, ამაში ეჭვი არავის ეპარება.

საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი.
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word.
- აღრიცხვა,საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი,ინტერნეტი,ელ-ფოსტა.
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის N70 ტელ:29-48-61

ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.